ხერი
REGION
ყოველთვიური ჟურნალი
ფასი 1,50 ლარი
№8, 2014, ოქტომბერი
ნათია ლუმბაძე
ლა საიდუმლო ლუმალეს ქალებმა ვიცოცხლეთ
ყველის ინდუსტრიის მთავარი სტილეები
ჩოხატაურის ყველის საბლის მეჩვენებული პროექტი
ელვა ნოდარ ალადაშვილი

ნაკაშიძეების საგვარეულო მეკრება

ვისთვის და რატომ გახდა ქამრების შემოჭერა მიუღებელი 2

ბეჭდის აუცილებლობის შემოღება 3

სუფსის ხეობის ქრონიკები 5

ხალხს ვერაფერს გამოაპარებ - ვერც ჯარგს, ვერც ცუდს 8

სოციალურად დაუცველთა სტატუსის გამარტივებული პროცედურები 9

სტიქია გურიაში 10

რატომ გადაიდო საჯარო მოხელეთა კონკურსი 11

მედპერსონალით და პაციენტებით დაცარიელებული ჩოხატაურის საავადმყოფო 12

ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში გარდაცვლილი ერთი მცირეწლოვანი და ორი ახალშობილი 14

ამორტიზირებული სასწრაფო დახმარების მანქანები 15

ჩვენი თვალით დანახული არჩევნების შედეგები 16

ფუტკრის წარმოშობის ცენტრი საქართველოა 19

ქართული ფუტკარი ეროვნული სიმდიდრეა 21

რა საიდუმლო დაუმალეს ქურუმებმა ჰიპოკრატეს 22

გურული თოკჭინის ისტორია 23

ნაკაშიძეების საგვარეულო შეკრება ციხისფერდთან 27

დათო ულრელიძის პერსონალური გამოფენა 29

გურიას ჩემ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს 30

იური შაქარიშვილის შვილიშვილობა მეამაყება 31

ასეთები ვართ გურულები 32

გურული ქალების რამდენი პროცენტი მიიჩნევს თავს ძალადობის მსხვერპლად 33

მკვლელობის ვერსია 34

რა არის თავისუფლება 36

რევაზ ცინცაძის პოეზია 38

ვიტამინების დეფიციტი გაზაფხულზე შეივსეთ 39

გურული ხუმრობები 40

დამფუძნებელი – **ანა თოხაძე**
მთავარი რედაქტორი – **ლელა სურმავა**
მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38
ტელ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01
ელფოსტა: **Guriaregion14@mail.ru**

ძვირფასო მკითხველებო!
მოგვაწოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მოწოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი,
ხოლო სარეკლამო ტექსტზე პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ვისთვის და რატომ ვაცდა „ქაქრების შემოჭერა“ ბიუჯეტელი

ოზურგეთის საკრებულოს სხდომა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას 43-დან 37 დეპუტატი ესწრებოდა, დღის წესრიგით კი 10 საკითხი იყო გათვალისწინებული.

მათ შორის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების თაობაზე, გამგეობაში კონკურსის ჩატარებასა და ქალაქსა და მუნიციპალიტეტში დასუფთავების მომსახურების გაწევის მიზნით საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით პირველ საკითხად გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოხსენებით წარსდგა.

მამაკაიშვილმა განმარტა, რომ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით მიღებული თანხიდან 15 ათასი ლარი 6 შტატგარეშე თანამშრომელზე სახელფასო სარგოდ გაიცემა, აქედან ორი გამგებლის თანაშემწე, 3 დამლაგებელი და ერთი მძღოლია.

საკითხის განხილვას დეპუტატის, ხვიჩა წულაძის ახალი ინიციატივა მოჰყვა. შემოქმედის მაჟორიტარი დამატებით 5 ათასი ლარის გამოყოფას, სოფლებში დამლაგებლის შტატის დასაშვებად ითხოვდა.

– გამომდინარე იქედან, რომ არ გვყავს დამლაგებლები, ამ ფუნქციის შესრულება ჩვენ გვეკისრება, ვითხოვთ, გამოიყოს თანხა და შეიქმნას დამლაგებლის შტატი...

გაგვაგებინეთ დამლაგებლები ვართ თუ დეპუტატები? – თქვა წულაძემ.

წულაძის ინიციატივა მისაღები გახდა ყველა დეპუტატისთვის. ისინი სოფლების ცენტრებისა და ადმინისტრაციული შენობების დასუფთავებას სასწრაფო გადასაწყვეტად მიიჩნევენ.

მამაკაიშვილის თქმით, ამ პრობლემის მოწესრიგებაზე იზრუნებს მომსახურების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის ცენტრიდან ნარჩენების გატანას, არაფერი თქმულა ადმინისტრაციული ცენტრების დასუფთავების მოგვარებაზე.

მის მოსაზრებას არ დაეთანხმნენ დეპუტატები, გამომდინარე იქედან, რომ ახლადშექმნილი მომსახურების ცენტრი ყველა სოფელში ერთდროულად ვერ უზრუნველყოფს დასუფთავების საკითხის მოწესრიგებას:

– გამორიცხულია, მოახერხონ ყველა სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავება. უმჯობესია, ყველა სოფლიდან თითო კადრი ოფიციალურად გააფორმოთ ამ მომსახურების ცენტრში და ისინი იზრუნებენ თავიანთი სოფლების დასუფთავებაზე, მერე გაიტანეთ მანქანებით ეს ნარჩენები.

– ქალაქს ვერ პატრონობს დასუფთავების სამსახური, 2 დღე მკვდარი ძაღლი ეგდო აღმაშენებლის ქუჩაზე და ყველა სოფლის ერთდროულად მიხედვას როგორ შეძლებს თქვენი მომსახურების ცენტრი?! – დასძინა ლელა ნაცვალაძემ.

მამაკაიშვილის თქმით, არსებული პრობლემის მიუხედავად, ამ საკითხის გათვალისწინება უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება, რადგან ფინანსები არ არის.

საკრებულოს თავმჯდომარის თქმით კი, ეს საკითხი აუცილებლად მოგვარდება და ამ თემაზე მსჯელობა შეაწყვეტინა დეპუტატებს.

რაც შეეხება ნაგვის მანქანებს, მამაკაიშვილის თქმით, მათი შესყიდვა უახლოეს მომავალში იგეგმება: „პირველ ეტაპზე მოსაგვარებელია 2 მანქანის შეძენის საკითხი, ვცდილობთ, რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასებში მოვახერხოთ, რომ დარჩენილი თანხით სოფლებისთვის ნაგვის ურნები შევიძინოთ“.

სოფლის ადმინისტრაციული ცენტრების დასუფთავებაზე მსჯელობას ჩოლოქის შესართავთან არსებული პრობლემების განხილვა მოჰყვა. დეპუტატების თქმით, წლებია ქობულეთიდან და ბათუმიდან შემოტანილი ნაგავი მერიის ტერიტორიაზე იყრება, გამომდინარე აქედან, აუცილებელია საკრებულომ იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და პრობლემა მალე მოგვარდეს: „შექმნილი ანტისანიტარიის გამო ჩოლოქის ტერიტორიაზე მინახავს მოწამლული თევზები, იქ ისეთი ამბავია, ნისლი გეგონებათ, მთელი დღე იწვის“ – აღნიშნეს დეპუტატებმა.

ხანგრძლივი პოლემიკა გამოიწვია რიგით მერვე საკითხმა, რომელიც საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცებას შეეხო.

„ნაციონალური მოძრაობიდან” დეპუტატი მიხეილ გოგოტიშვილი დადგენილებიდან მეორე მუხლის ამოღების ინიციატივით გამოვიდა, სადაც უფლებამოსილების, ხარჯების შემცირებაზე და დეპუტატების ვალდებულებაზეა საუბარი:

– მინდა ცვლილება შეიტანოთ დადგენილებაში და ამოიღოთ მეორე მუხლი, სადაც მინიშნებულია, რომ ხარ-

ჯების შემცირება დეპუტატების მხრიდან არა ნებაყოფლობითი, არამედ სავალდებულო იყოს. ეს არის კოალიციის მოთხოვნა და ამას არ ვიზიარებ. ისევე როგორც შეიძლება არ იზიარებდეს, სხვა ოპოზიციური პარტიის დეპუტატები, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ქველმოქმედების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ისიც გამიგია, რომ ქველმოქმედება დაფარულად უნდა გაკეთდეს, – აღნიშნა გოგოტიშვილმა, რომელსაც ასევე ოპოზიციონერი ლელა ნაცვალაძე გამოეხმაურა, პასუხად კი ორივემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისგან უარი მიიღეს.

ლელა ნაცვალაძე: – მიშიკოს ვეთანხმები, ეს დეპუტატებისთვის იძულება არ უნდა იყოს. ამ გადაწყვეტილებაში თქვენ კი დაგეთანხმათ უმრავლესობიდან დეპუტატები, მაგრამ როგორ და რანაირად ეს კარგად ვიცი. საერთოდ ჯობია თავი დაანებოთ ამ პოპულისტურ გადაწყვეტილებებს, რაც მხოლოდ ვიღაცასთან თავის მოწონებისთვის კეთდება. თორემ, გაგახსენებთ იანვრის თვეში როგორ იჭერთ თქვენ ქამრებს, ხელფასებს გადახედეთ და მერე მელაპარაკეთ. არ არის საჭირო პოპულისტური ქამრების შემოჭერა! – თქვა ნაცვალაძემ.

ნაცვალაძეს კვერღელიძესთან კითხვა გაუჩნდა იმასთან დაკავშირებითაც, თუ რატომ არ არის უფლებამოსილების ხარჯებიდან დაზოგილი თანხა აღრიცხული სამედიცინო დახმარების პროგრამაში, სადაც მის მობილიზებას აპირებდნენ:

– როდესაც მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ უნდა შემცირებულიყო დეპუტატთა უფლებამოსილების ხარჯები, აღნიშნეთ, რომ ეს დაემატებოდა სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ თანხებს. რადგან ეს საკითხი დღეს ადმინისტრაციულ წარმოებაზე დადგა, თანხებიც შესაბამისად უნდა გადატანილიყო ამ მუხლში, მაჩვენეთ სად არის ამის ოფიციალური დოკუმენტაცია, რომ თანხები არ გაიცა ძველი წესით, თუ ახალი წესით გაიცა, სად ფიქსირდება დაზოგილი თანხა?

აღნიშნულ კითხვებსა თუ პრეტენზიებზე ნაცვალაძემ და გოგოტიშვილმა დიმიტრი კვერღელიძისგან პასუხად მიიღეს დადგენილებაში ცვლილების შეტანას არ აპირებენ: – მეორე მუხლი დარჩება ისე, როგორც არის. მიშა, შენ ეს შეცვალე მაშინ, როცა ხელისუფლებაში მოვა შენი პარტია. თუ ახლა არის ეს ნებაყოფლობითი, მალე გახდება კანონით გათვალისწინებული. რაც შეეხება თანხების დამატებით მობილიზებას სოციალურ პაკეტში, ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ცვლილება შევა მუხლში, 30 ათასი ლარით გაიზრდება ეს პაკეტი.

ნინო ონიანი

ბეჭდის აუცილებლობის შემოღება – ბეჭედს წესი უნდა მოარგო, წესი

2014 წ. 24 სექტემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას 28 დეპუტატი ესწრებოდა.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი საკითხები:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და გამგებლის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის, მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო საქმის წარმოებისას დოკუმენტების ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების, ნებართვის შემოღებისა და რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტერიტორიული ორგანოების

საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის № 33 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნის დამტკიცების შესახებ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შერჩეული საპროექტო წინადადებების

მოწონების შესახებ.

საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისი №56 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

კურორტ ბახმაროს სტრატეგიული განვითარების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა დავით შარაშიძემ ისაუბრა კულტურის სისტემაში განსახორციელებელ ცვლილებებზე. აღნიშნა, რომ საჭიროა ამ მხრივ ბიუჯეტის გეგმის დამტკიცება, აუცილებელია, დაგეგმილი და დაუგეგმავი ღონისძიებებისთვის სარეზერვო თანხის გამოყოფა.

– კულტურის სისტემაში არ არსებობს ელემენტარული პირობები იმისათვის რომ წელიწადში ორჯერ მაინც დაიდგას სპექტაკლი, ეს ის სისტემაა, სადაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ცვლილებები, – განაცხადა დავით შარაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე კი ამ მხრივ გამოსავალს პროგრამულ დაფინანსებაში ხედავს. იგივე მდგომარეობაა სპორტშიც.

შემდეგ საკითხზე – „ადმინისტრაციული ბეჭდის ნიმუშის შესახებ“ – ისაუბრა ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა თეა უჯმაჯურიძემ.

– ამ მხრივ ცვლილება შედის ბეჭდისა და გერბის დამტკიცების შესახებ.

– ბეჭედი გამოიყენება ნოტარიუსის მიერ დოკუმენტის დასამტკიცებლად, სხვა მხრივ რა საჭიროა ბეჭედი, ახსენით მისი ფუნქცია, გაისმა რეპლიკა დარბაზიდან. უჯმაჯურიძის განმარტებით კი ბეჭედი საჭიროა სხვადასხვა ცნობისთვისაც.

– ბეჭედს წესი უნდა მოარგო, წესი, – ბრძანა ბატონმა დავით შარაშიძემ.

მომდევნო საკითხზეც ქალბატონმა თეა უჯმაჯურიძემ ისაუბრა, რომელიც გამგეობის დებულების დამტკიცებას შეეხო.

რაც შეეხება საკითხს „საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბექა შენგელია, – „საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ აუცილებელია თანამდებობის დასაკავებლად, რომ თანამდებობის პირს მოეთხოვება გარკვეული სამართლებრივი აქტების ცოდნა და ამის მხრივ კვალიფიკაციის ამაღლებაა საჭირო. მანვე გააკეთა განმარტება ცალკე საკითხზე, – „ადმინისტარაციული სამართალდარღვევათა ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“. ამ საკითხის შესაბამისად აქამდე ხელს აწერდა საკრებულოს თავმჯდომარე, ამჟამად კი ეს ფუნქცია გამგებლის მოვალეობაში შედის. ესაა ძირითადი არსი, რის გამოც ცვლილება შევიდა აღნიშნულ ფორმატში. შენგელიამ ასევე აღნიშნა, რომ სტიქიური უბედურებებისთვის გამოსაყოფია 154 ათასი ლარი, რომელიც დანიშნულების შესაბამისად უნდა დაიხარჯოს. 2014 წლის იანვრისთვის გამოყოფილი იყო 325 ათასი ლარი.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობების ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ.“ განმარტება გააკეთა ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელმა გიორგი ბოლქვაძემ, – ამ ცვლილების ძირითადი არსი ისაა, რომ მშენებლობის ნებართვა უნდა გაიცეს მკაცრი დანართის შესაბამისად.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მარინე ბერაძემ განმარტა საკითხი, – „გარე რეკლამის განთავსების წესის შესახებ“, რომლის გაცემის უფლებაც აქვს გამგეობას, დადგენილება საკითხის შესახებ ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო – სატესტაციო კომისიის დებულების შესახებ“ კანონი ამოქმედდება დამტკიცებისთანავე, – აღნიშნა ქალბატონმა მარინამ. რაც შეეხება მეცამეტე და მეთოთხმეტე საკითხს, „სამანდატო, საპროცედურო საკითხთა დამტკიცების შესახებ“ და „სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დამტკიცების შესახებ“ – ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, ამ მიმართებაში ცვლილება შედის იმ მხრივ, რომ პირველ ვარიანტში გამოაკლდა ორი და დაემატა ერთი წევრი, რაც შეეხება მეორე ვარიანტს, დაემატა ერთი წევრი.

სხდომაზე მცირე კამათი გამოიწვია ჩატარებული სამუშაოების არადამაკმაყოფილებელმა მდგომარეობამ, რის შესახებაც თავისი გულისტკივილი გამოთქვეს სოფლის მაჟორიტარებმა – თუ გაკეთდება საქმე, კარგად უნდა გაკეთდეს, ცუდად გაკეთებული საქმე დანაშაულია, აღინიშნა მათი მხრიდან.

ირინა რამიშვილი.

ᲡᲣᲤᲡᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

5 წლის წინ დაუჯერებელი ისტორია მოვისმინე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოსურებში 10 წლის ბავშვს ანთებული ნათურა არასდროს უნახავს. 25 წელი სოფელი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი, ადგილობრივებისთვის სინათლე „ნატვრის თვალი“ გახდა, რომელსაც ხელისუფლების ცვლილებების კვალდაკვალ უშედეგოდ ეძებენ.

დიდი ვანიდან, შუასურებიდან და ზემოსურებიდან წამოსულმა სურებლემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია მეორეს განცხადებით მიმართეს.

სოფელში საარსებო პირობების გაუარესების გამო, ოჯახებისა და შვილების გადასარჩენად სახლ-კარი დავტოვეთ, სხვადახვა ქალაქებს შევეკედლეთ. გულისტკივილს გამოვთქვამთ, რომ სოფლები: დიდი ვანი, შუასურები და ზემოსურები თანდათან იცლება. 90-იანი წლებიდან სამ სოფელში 2000 კომლი იყო, დღეს, 150-200 კომლია შემორჩენილი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ზემო სურებამდე მანძილი 25 კმ-ია. ამ მანძილის დასაფარად მსუბუქ ავტომობილს ორსაათნახევარი სჭირდება. გზები ავარიულ მდგომარეობაშია. ზემო სურებში 3კმ. სადენის და ტრანსფორმატორის უქონლობის გამო არ არის ენერგო-პრო-ჯორჯიას ელექტროენერგია, რამდენიმე წლის წინ მაღალმთიან სოფელში მიკროჰესი დაიდგა, რომელსაც სურების თემი ელექტროენერგიით უნდა მოემარაგებინა. თუმცა 1960 წელს გამოშვებული, ამორტიზებული გენერატორი წელიწადში მხოლოდ 4-5 თვეს მუშაობს და მხოლოდ ზემო სურებს ამარაგებს. სოფელში არ არის ავტობუსი, აფთიაქი, სამედიცინო პუნქტი, ბიბლიოთეკა, კლუბი, იჩეხება ტყეები, 14.20 კუბი წიფლის მორები ურალებით გამოაქვთ, განადგურდა სოფლის და მუნიციპალიტეტის გზა. შეიქმნა შეშის დამამზადებელი ბრიგადები, რაც სურების გზას უფრო აზიანებს. ჩოხატაურში კორუფცია ბუდობს, სოფლის მკვიდრებს შეშის და საღობე მასალის მოჭრის საშუალებას არ აძლევენ. ჩვენი ძალებით სოფლებში ზემოსურები და შუასურები ავაშენეთ წმინდა გიორგის ეკლესია. უგზოობის გამო ხშირად წირვები ვერ ტარდება.

თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ, შუამდგომლობა გაგვიწიოთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, შეაბამის ორგანოებს დაავალოს, გამოინახოს სახსრები და ჩოხატაური სურების გზის ნაწილი მაინც მოასფალტდეს. სამი სოფელი გადარჩება და გლეხი თავის სახლ-კარს არ დატოვებს.

სამწუხაროდ, ხეობის მკვიდრთა გასაჭირი ადრესატამდე არ მივიდა, ამიტომ განცხადების ინიციატორებმა სხვა ხერხს მიმართეს.

გამარჯობათ სურებლებო! დიახ, ჩვენ ცოცხალი ვართ, საქართველოს შვილებს გვიყვარს ჩვენი სოფლები. არ დავუშვებთ, რომ უგზოობისა და უსინათლობის გამო ჩვენი სოფლები გაუქმდეს. აქ დაიბადნენ – *ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ვახტანგ კიკვაძე, ნინო რამიშვილი. რევოლუციონერები – კაპიტო სანიკიძე, მაკარიონ კიკვაძე, ჯიმშეთი ბარამიძე, ჭოლა და ელექვთესი კიკვაძეები, მღვდელი ვლადიმერ დარსალია. ამ სოფელში საბრძოლო იარაღს ამზადებდნენ, რომლის ორიგინალი ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. დიდი ვანიდან, შუასურებიდან და ზემოსურებიდან მეორე მსოფლიო ომის დროს 600 ჯარისკაცი იბრძოდა.*

დღეს, სოფელი ჩაბნელებულია, ახალგაზრდები თურქეთში არიან წასული, საჯარო სკოლა გაუქმების პირას არის, გაჩეხილია ტყეები. ერთი საუკუნეა ადგილობრივები იმედის თვალით შეჰყურებენ სოფლიდან მუნიციპალიტეტში დამაკავშირებელ 17 კილომეტრიან გზას. 25 წელია ზემოსურებს ელექტორენერგია არ მიეწოდება, ადგილობრივი ჰესი, რომლის პროექტი არ მომზადებულა, არასტაბილურ ელექტროენერიას გამოიმუშავებს.

ჩვენი სოფლის გადასარჩენად ყველამ ხმა ავიმაღლეთ, ბიზნესმენებმა იქნებ ქველმოქმედების სახით სურებს ერთი მიკროავტობუსი აჩუქონ. 19 სექტემბერს საინიციატივო ჯგუფის წევრები იორდან რამიშვილი და მე, ზურაბ დარსალია გულთბილად მიგვიღო ჩოხატაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა თემურ ჭკუასელმა, სოფლის პრობლემების მოგვარებაში დახმარება აღგვითქვა. მისი თქმით 2014 წლის ბოლომდე ზემოსურებში ენერგო-პრო-ჯორჯის მიერ დაიწყება გამრიცხველიანება. გაიწმინდება და შეკეთდება ჩოხატაური სურების გზა, მომავალი წლიდან კაპიტალური სამუშაოები დაიწყება. წელს სურებლებს თხილის, სიმინდის და ყურძნის მოსავალი არ აუღიათ. დაგვპირდა, მთავრობაში ამ საკითხს დასვამს და დახმარებას გამოუყოფენ.

საინიციატივო ჯგუფის წევრების თხოვნაა – სამივე სოფლის მცხოვრებლებს ქველმოქმედების მიზნით მიეწოდოთ ერთი ტომარა ფქვილი და შაქარი, გაიწმინდოს და ამოივსოს ჩოხატაური სურების გზის ორმოები, სანიაღვრე არხებში ჩაწყობილი ბეტონის ფილების ამოწმენდა პრობლემას შექმნის. გლეხს საშულება უნდა მიეცეს ახლო მანძილიდან მოჭრას და გაიტანოს შეშა. ადგილობრივებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდეთ, საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, ონკოლოგის თამაზ ხუნდაძის განცხადებით, დასავლეთ საქართველოში სიმსივნით დაავადებულთა რაოდენობა გაზრდილია. – თუ ამ სოფლებს დროული დახმარება არ აღმოუჩინეს, ორ წელიწადში აღარ იარსებებს – ამბობენ საინიციატივო ჯგუფის დამფუძნებლები ზურაბ დარსალია და იორდან რამიშვილი.

25 სექტემბერი, ზემოსურების სკოლის ეზოში ხალხმრავლობა იყო. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყება თბილისის მამა დავითის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, არქიმანდრიტ იოანე კიკვაძის სახელს უკავშირდება.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა და სამი სოფლის მცხოვრებლებმა ყრილობა გამართეს. შეხვედრას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა და საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე ესწრებოდნენ. გურიის გუბერნიიდან თავყრილობის მიმართ ინტერესი არ გამოიჩინეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სოფლებიდან წამოსულმა სურებლემა წლების მანძილზე არსებული და დღემდე მოუგვარებელი პრობლემები განიხილეს.

– ერთ-ერთი სოფლის სკოლაში მოხუცმა კარი გააღო, მერხთან ბავშვი არ დახვდა, ფანჯრის რაფასთან მივიდა და ყვავილს წყალი დაუსხა. ზემოსურების სკოლაში 350 მოსწავლე იყო, ახლა 40-მდე ბავშვია. ასეთია მაღალმთიანი რეგიონების ყოფა. ახალ მთავრობას ჯერ არ ვემდური.

– რა დაპირება მოგცათ წინასაარჩევნოდ?

– ბევრი სათქმელი მაქვს, მაგრამ ვერ ვამბობ.

– რატომ ვერ ამბობთ?

– მეშინია არ გადამასახლონ.

– ვინ უნდა გადაგასახლოთ. თქვენმა არჩეულებმა იმედი რომ გაგიცრუოს?

– ბაბუ, 80 წლის ვარ, აწი კი გარდავიცვლები. სოფელს პატრონი თან ჰყავს, თან არა.

– სოფელი დაცლილია, ხანდაზმულები მიდიან, წელს სკოლაში პირველკლასელი არ გვყავს. მეოთხე კლასში 2 ბავშვია, მეცხრეში 4, მეათეში 2. ახალგაზრდებმა აქაურობა დატოვეს.

– თემურ სიხარულიძე – მთავარი პრობლემა უგზობაა, დანარჩენი მოგვარდება. გურიის ყოფილ გუბერნატორ, მიხეილ სვიმონიშვილს მძიმეტონიანი ურალებით დღესაც ამ გზით გადააქვს ხე-ტყე. ჩვენ ზამთრისთვის შეშის მოჭრის უფლებას არ გვაძლევენ. ახლა 15 კუბამეტრი გამოყვეს.

– ვალერი ბარამიძე – 15 ტონიანი მანქანა რომ გაივლის გზას რა მოუვა, სასწრაფოდ ხირეშს უნდა დაყარონ, როგორც ასფალტი ისე იტკეპნება. ყოველწელს 6 000 კუბამეტრი წიფელა და 1500 შეშა გადის, სოფელს მარტო დაზიანებული გზა რჩება.

სატყეო სამსახურის წარმომადგენელი ზვიად ჩხიკვაძე – მიხეილ სვიმონიშვილმა მთავრობის დადგენილებით 2008 წელს 20 წლის ლიცენზია აიღო. ამ გზაზე გავლას ჩვენი სამსახური ვერ აუკრძალავს. ვინც ლიცენზია გასცა, ასეთი პირობა უნდა ჩაედო – სურებში ტყეს რომ მოჭრი, გზა მაინც შეაკეთე.

საინიციატოვო ჯგუფის წარმომადგენელი გოგი ტრაპაიძე – ჩემი ხეობის უსაზღვრო სიყვარულმა მომიყვანა. აქ დავიბადე და გავიზარდე. ყველა ჩემი ახლობელი და ნათესავია. ნოსტალგია მეუფლება, ეს ხალხი რომ მობრუნდება, იქნებ მეც დავბრუნდე.

ჯონი ბარამიძე – ჩვენი შეკრების მიზანი სურების აღორძინებაა, გზა და კომუნიკაციები უნდა მოწესრიგდეს. სურების ხეობა ჩოხატაურის ბაზარს ყველა პროდუქტით ამარაგებდა, ნოყიერი მიწა გვაქვს. დღეს, ზემოსურებში 40-მდე ბავშვი სწავლობს, შუასურებში 19, დიდ ვანში 7. ეს ქვეყნის მკვლელობაა.

ზემოსურების სკოლის რეაბილიტაციის პროექტი სულიკო ბარამიძემ სოფელს უსასყიდლოდ მოუმზადა.

დათო სიხარულიძე – ტონანახევარი თაფლი მოვწურე, ვერ ვყიდი. სახელმწიფო ხელშეწყობის გარეშე არაფერი გვეშველება.

– ნათელა კიკვაძე-ბიბინეიშვილი – აქ 4 ობოლი გავზარდე და გზაზე დავაყენე. ეს ფორმალური შეხვედრაა, ყურადღებას არავინ გვაქცევს, 40 წელი ელექტროენერგია აქ გვაქვს, მთავრობის წარმომადგენლები კახეთის რეგიონს ეხმარებიან, რა დავუშავეთ გურულებმა?!

თხილის მოსავალი არ იყო, ღორი გაგვიწყდა. როდემდე ვიყოთ ასეთ მდგომარეობაში.

– გურამ ეზიეიშვილი – კახეთში ატამი, გორში ვაშლი დაისეტყვა, მთავრობამ კომისია გამოყო. 3 ტონა თხილის მოსავალს ვიღებდი, წელს 15 კილო მოვაგროვე, მისი ფასი სულ მერყეობს, 6 ლარად ჩავაბარე. ტყემალი და ვაშლი საერთოდ არ გვქონდა. ჩვენ არ გვეკუთვნის კომისია, თანხით დაგვეხმარონ.

– მამია ბარამიძე – აქ დავიბადე და გავიზარდე, 8 კლასის დამთავრების შემდეგ შუასურებში გადავედი. ხელისუფლებამ თუ დროულად არ იზრუნა, ამ სოფლებში არავინ დარჩება. გზის საკითხი უნდა მოწესრიგდეს, ხალხი მობრუნდება.

ზურაბ დარსალია – საინიციატივო ჯგუფი 3 თვეა შეიქმნა. უკვე 400 კაცი შევიკრიბეთ. სამივე სოფლიდან 5-5 წევრი ვართ. გვსურს, ჩვენი ხმა ცენტრალურ ხელისუფლებას მივაწვდინოთ, თუ არ მოგვისმენენ, სხვა ღონისძიებებს მივმართავთ და ჩვენ უფლებებს საკანონმდებლო ორგანოს წინ დავიცავთ.

სუფსის ხეობის ყრილობის მონაწილეებმა რეზოლუცია მიიღეს. საქართველოს მთავრობას გზის და ელექტროენერგიის საკითხის მოგვარებას სთხოვეს.

გაუმართავი ჰესი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქეას“ დაფინანსებით აშენდა, სოფლის მკვიდრებისთვის დამატებითი სანერვიულო გახდა. არაერთხელ დაზიანებული გენერატორი, ტურბინა წყლის ძალამ გარეთ მოისროლა. სათავე არასწორად აიგო, წყლის ადიდების დროს იბიდნება, წვრილი მილები ზემოთ დამონტაჟდა, მსხვილი ქვემოთ. ახალ პლატას ადგილობრივები თბილსში მცხოვრებ ჰიდრომშენებელს, ირაკლი წურწუმიას სთხოვენ, ჰესისთვის პროექტი არ მომზადდა, ნახაზების მიხედვით აშენდა, უამრავი შეცდომის გამო სოფელმა არასტაბილური ელექტროენერგია მიიღო, მეზობლებს ერთმანეთში ხშირად კონფლიქტი ჰქონდათ, ვინ უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარდა. ელექტროგადამცემი ხაზის აყვანაა საჭირო, შემდეგ ჰესის სისტემაში ჩართონ, ნებართვა კი ენერგო-პრო-ჯორჯიამ უნდა მისცეს. იმისთვის რომ გამართულად იმუშაოს ჰესის შენობა დაბლაა ჩამოსატანი, კერძო ინვესტორი იპოვონ, ვინც კაპიტალს ჩადებს, ელექტოროენერგიის გაყიდვის ლიცენზიას აიღებს, სოფელს დღის განმავლობაში დაბალი ტარიფით მიაწოდებს, საღამო საათებში ენერგო-პრო-ჯორჯიაზე გაყიდის ამ სამუშაოს შესრულებისთვის ნახევარი მილიონი ლარია საჭირო – აცხადებს ირაკლი წურწუმია. ასეთი ენერგოლაბირინთის ამოხსნა ჰიდროინჟინერსაც კი გაუძნელდება, „ქეას“ და გიორგი რამიშვილის მზრუნველობამ მაღალმთიან სოფლებს მეტი საფიქრალი გაუჩინა. ენერგო-პრო-ჯორჯიის მიერ აბონენტად აყვანა მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ერთობლივი ხელმოწერა უნდა შეაგროვონ და გამრიცხველიანება მოითხოვონ.

მალე ზამთარი დადგება და სურების ხეობა თოვლით გადათეთრდება, სახლებს მგელი უფრო მოუახლოვდება და საღამო საათებში გარეთ გასვლა სახიფათო იქნება. ბუხართან მსხდომები ისევ იკითხავენ – რისთვის მოდიან ჩინოვნიკები ხელისუფლებაში და უპატრონო სოფლებს ვინ დაეხმარება.

ლელა სურმავა

გიგი ტატაშიძე

ზურამ დარსალია

ხალხს ვერაფერს გამოაპარებთ, ვერც კარგს და ვერც ცუდს

„შეგიძლიათ გვიპასუხოთ“? მოიცავს შერეული სახის კითხვებს, რომლებიც ეხება როგორც სამსახურეობრივ, ასევე პოლიტიკურს თუ ცხოვრებისეულს. ალბათ ამ რუბრიკაში ყველა სახის კითხვას უნდა ველოდოთ. ეს ის პასუხებია, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს.

ჩვენი ნომრის სტუმარი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ირაკლი კუჭავაა.**

– ირაკლი, შეგიძლიათ გვიპასუხოთ?

– რა თქმა უნდა, გიპასუხებთ.

– გთხოვთ, მკითხველს თქვენი ბიოგრაფია მოვუყვეთ.

ირაკლი კუჭავა

– დავიბადე ჩოხატაურში1963 წლის 25 აპრილს, დავამთავრე ჩოხატაურის №1 საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება მოსკოვში მივიღე. პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი ვარ. სხვადასხვა პოზიციებზე მიმუშავია. მოსკოვში ვმუშაობდი 2 წლის განმავლობაში. ასევე პროფესიით გავაგრძელე საქმიანობა საქართველოში დაბრუნების შემდეგაც. ვიყავი პოლიტიკაშიც, კერძოდ 1993-1998 წლეებში ჩოხატაურის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. თანამდებობიდან გადავდექი საკუთარი განცხადების საფუძველზე და კენჭი ვიყარე 1998 წლის თვითმმართველობის არჩევნებში. ვიყავი საკრებულოში ფრაქციის თავმჯდომარე.

ვმუშაობდი თბილისში – ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში.

ბათუმში – საქართველოს საზღვაო ბანკის სალიკვიდაციო კომისიაში.

– ყველაზე კმაყოფილი სამსახურეობრივი კარიერის რომელ საფეხურზე იყავით?

– ყველაზე სიამოვნებით ბათუმში, ბანკში მუშაობა მახსენდება, ის ჩემთვის ახალი და ამდენად საინტერესო სფერო იყო.

– თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ, რას გააკეთებდით პირველ რიგში ხალხისთვის, საკუთარი მოსახლეობისთვის?

– პრობლემები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, პირველი რიგისაც და მეორე რიგისაც. მგონია, რომ ჩვენი ერის მთავარი ამოცანა სახელმწიფოსა და სამშობლოს ცნებების ურთიერთშეხამებაა. ანუ როგორ განვითარდეთ ისე, რომ თან წარმატებული ევროპული სახელმწიფოც ვიყოთ და ამავე დროს ცნობიერებით სამშობლოს არ დავშორდეთ. მე ამ პროცესს შევუწყობდი ხელს.

– რომელ კომეტას ეწოდება ადამიანის სახელი, იმ ადამიანის, რომელმაც წინასწარ იწინასწარმეტყველა ამ კომეტის გამოჩენის წელი და რომელ წელს ჩაიარა ამ კომეტამ მზის სიახლოვეს?

– თუ არ ვცდები ეს უნდა იყოს ჰალეის კომეტა, რომელიც მისი აღმომჩენის, ედმონდ ჰალეის სახელს ატარებს. მზის სიახლოვეს რომელ წელს ჩაიარა ამაზე ვერ გიპასუხებთ.

– გამგებლად რომ სხვა კანდიდატი გასულიყო, მიულოცავდით გამარჯვებას?

– აუცილებლად.

– თუ შეიძლება გვიპასუხეთ, – თქვენ მოგილოცეს... გისურვეს შემდგომი წარმატებები?

– ზოგიერთმა კონკურენტმა იმავე საღამოს მომილოცა, ზოგმა – მოგვიანებით, ზოგსაც არ მოულოცია.

– შეგიძლიათ გვიპასუხოთ? – რომელი კონტინენტი იწოდება ქვეყნის მესამე ნაწილად და სადამდე აღწევს მისი საზღვრები?

– ალბათ, ევრაზია, რომელიც მდებარეობს ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებს შორის.

– ხშირად გაგიწვდიათ დახმარების ხელი ადამიანებისთვის?

– იმაზე უფრო იშვიათად ვიდრე ამისი სურვილი მქონდა, რადგან დახმარება ყოველთვის მორალური კატეგორია არ არის, თუმცა ვახერხებდი და ვახერხებ.

– რა და რის ასოცირებას იწვევს თქვენში შემდეგი გამოთქმა – „გახსოვდეს ვისი გორისანი ვართ... საიდან მოვდივართ?

– ეს ფრაზა პასუხისმგებლობის შეგრძნებას ნიშნავს. ამ განცდის გარეშე არასდროს მიცხოვრია.

– თქვენ ხართ გამგებელი, პირველ რიგში რას გააკეთებთ საკუთარი მოსახლეობისთვის?

– ორი თვეა რაც გამგებელი ვარ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენს მუნიციპალიტეტში ორჯერ იმძლავრა სტიქიამ. საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოყოფილი სუბსიდიის ხარჯზე აღდგენითი სამუშაოები დაწყებულია. წელს აუცილებლად გადავჭრით დაბის წყალმომარაგების პრობლემას. მიმდინარეობს დაბა ჩოხატაურის ქუჩების მოასფალტება, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სოფელ ზოტსა და ერკეთში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. მოსაწესრიგებელია აგრარული ბაზარი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ამ საკითხზე სამართლიანად წერდა თქვენი ჟურნალი, მაგრამ აქვე მინდა გითხრათ, ეს ობიექტი ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაშია, შესაბამისი წერილი, მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის მოთხოვნით გაგზავნილი გვაქვს. ქონების ჯერ კიდევ გაუმიჯნაობა ხელს გვიშლის, რომ უსახური შენობებისგან გავწმინდოთ ჩვენი სოფლები, ეს საკითხიც მოსაგვარებელია. მოსამზადებელია კურორტ ბახმაროს განვითარების გეგმა და სივრცითი მოწყობა. მოაგარაკეების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები,

რომელზედაც შენობა-ნაგებობები დგას, უნდა დაკანონდეს, ეს ბახმაროს იერსახესაც შეცვლის და ბიუჯეტშიც თანხა შემოვა. თუმცა, როგორც აღვნიშნე ამას წინ უნდა უსწრებდეს განაშენიანების გეგმა.

პარალელურად ცალკეული მოქალაქეების ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრას ვცდილობთ. 400 – ზე მეტი მოქალაქე მივიღე ამ ხნის განმავლობაში. სტიქიით დაზარალებულ 18 ოჯახს აღმოვუჩინეთ დახმარება. მოქალაქეებთან ინტენსიური კომუნიკაცია მაქვს. თუ საქმიან შეხვედრაზე არ ვიმყოფები, ფაქტობრივად ყველა ზარს ვპასუხობ. მოკლედ, მეც და ჩემი გუნდიც ვცდილობთ, მოვიქცეთ ისე, როგორც დავპირდით ამომრჩეველს, ანუ – ვემსახუროთ. ვნახოთ, რა გამოგვივა, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ, ვერც კარგს და ვერც ცუდს.

– თქვენთვის პრიორიტეტი კარიერაა თუ უპირატესობას ხალხის სამსახურში ყოფნას ანიჭებთ?

– პრიორიტეტი რომ კარიერა იყოს, მაშინ არაერთხელ შემეძლო კომპრომისებზე წასვლა და სანაცვლოდ კარიერული ზრდა. მაგრამ დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულება, რაც ხალხის მსახურებას გულისხმობს, მით უმეტეს პირდაპირი წესით არჩეული პოლიტიკოსისათვის თუ გახდება კარიერული ზრდის წინაპირობა, ეს ნორმალურია.

– როგორც პოლიტიკოსს ვის დააყენებდით პირველ ადგილზე?

– დე-გოლს, რომელიც გადადგა და შემდეგ ისევ გაიმარჯვა.

– ის მთელ სამყაროს მოიცავს, ის უკვდავია და უსულო. მასზე დამოკიდებულნი არიან. ის ბევრ საიდუმლოს მოიცავს. რაზეა ლაპარაკი?

– უსულო, უკვდავი, მთელი სამყაროს მომცველი და მესაიდუმლე არის დრო-ჟამი.

– თქვენთვის აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ მავანი ნაციონალია, მავანი სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელი, თუ პიროვნებას თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის მიხედვით აფასებთ?

– პოლიტიკური ოპონენტები ჩემთვის არჩევნების დროს არსებობენ, შემდეგ ყველასთან მზად ვარ სათანამშრომლოდ, ვისაც უნარი აქვს და საერთო საქმის კეთების სურვილი გააჩნია.

– მომხრე ხართ სამსახურში მეგობარ-ნათესავების დანიშვნის?

– სამსახურში პროფესიული უნარ-ჩვევებისა და წესიერი ადამიანების დანიშვნის მომხრე ვარ. ასეთი შეიძლება მეგობარიც იყოს. ისე უკეთესია მეგობრები გარედან აკვირდნებოდნენ შენს საქმიანობას და მიგანიშნებდნენ შეცდომებზე.

– შეგიძლიათ გვიპასუხოთ, გაქვთ სურვილი კოჰაბიტაციის საბოლოოდ დასრულების?

– კოჰაბიტაცია თავიდანვე არასწორად იქნა გააზრებული ჩვენი საზოგადოების ნაწილის მიერ. კოჰაბიტაცია არის თანაარსებობა სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებს შორის. ამის ბუნებრივი აუცილებლობა მაშინ, არსებობდა როდესაც პრეზიდენტი ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი იყო, თან დამარცხებული პოლიტიკური ძალის, ხოლო პარლამენტის უმრავლესობა გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა, იქვე დასრულდა კოჰაბიტაციაც.

– და ბოლოს, რას ეტყვით საკუთარი რაიონის მოსახლეობას?

– კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ჩოხატაურელებს ნდობისათვის, მათი მხარდაჭერის შედეგი იყო ის, რომ პირველსავე ტურში გავიმარჯვე. ყველაფერს გავაკეთებთ მეც და ჩემი გუნდიც, რომ შევქმნათ უანგარო მსახურების პრეცენდენტი და მომავალ ხელისუფალთ კარგი სასტარტო პირობები დავუტოვოთ.

ირინა რამიშვილი

სოციალურად დაუცველთა სტატუსის მიღების პროცედურები მარტივდება

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში დავით სერგეენკოს უწყებამ ახალი პროექტის ინიციატივა წარადგინა, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით შეიმუშავა. ცვლილებებია სარეიტინგო ქულების დათვლასთან დაკავშირებით, ოჯახებისთვის სოციალური სტატუსის მინიჭების და ქულების დათვლის დროს, საყოფაცხოვრებო ნივთები – მაცივარი, ტელევიზორი და გაზქურა, ასევე სოციალური აგენტის სუბიექტური მოსაზრებები, აღარ იქნება გადამწყვეტი. სახელმწიფო დახმარება იმ ოჯახებს დაენიშნებათ, რომლებსაც შემოსავალი არ აქვთ.

საკომიტეტო მოსმენას დაესწრო გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი, საშა გრაუმანი. „ახალი გამოთვლის მიხედვით, უკიდურესად გაჭირვებული 57 000 ბავშვის მდგომარეობა გაუმჯობესდება. დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც რეალურად საჭიროებენ. აქტიურად ვმუშაობთ მთავრობასთან და ჯანდაცვის სამინისტროსთან, იმედს ვიტოვებ 57 000 ბავშვი, რომლებიც მინიმალური შემოსავლის ნახევარზე ნაკლებს იღებს, სიღარიბეს დაძლევს“.

სარეიტინგო ქულების განსაზღვრის წესი 1 დეკემბრიდან ამოქმედდება, იმ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ საყოფაცხოვრებო ნივთები და დახმარება ვერ მიიღეს, აქვთ უფლება, თავიდან მიმართონ სოციალური დახმარების სააგენტოს და სოციალურად დაუცველის სტატუსი მოიპოვონ.

სტიქია გურიაში

გურიას სტიქია ერთი კვირის მანძილზე თავს ორჯერ დაატყდა. ოზურგეთში მიყენებული ზარალის ოდენობა 6 მილიონ ლარს შეადგენს.

24 სექტემბერს ადრე დილით მოსულმა ნალექმა მდინარე ბჟუჟისა და მისი შენაკადების ადიდება გამოიწვია, რის გამოც მდინარეები კალაპოტიდან გადმოვიდა და სოფელი შემოქმედი დატბორა.

დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება შემოქმედის საჯარო სკოლამ. მდინარე ბჟუჟის შენაკადების ადიდების გამო შეწყდა მიმოსვლა სოფელ გომის მიმართულებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მერაბ ჭანუყვაძის თქმით, მოვლენების ეპიცენტრი სოფელი შემოქმედი იყო, სადაც სტიქიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა, შედარებით ნაკლები, თუმცა გარკვეული პრობლემებია სოფელ ცხემლისხიდში.

სამაშველო სამსახურმა სოფელ შემოქმედში მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. ევაკუირებული იქნა ათი ოჯახი. დაზიანებულია ოზურგეთი-შემოქმედის გზა. შეწყვეტილია მიმოსვლა სოფელ გომის მიმართულებით. პრობლემა შეიქმნა სოფელ ცხემლისხიდშიც.

რამდენიმე ხის გამო ასევე ჩაიხერგა ოზურგეთი-ნატანების გზა. ღამით მოსულმა უხვმა ნალექმა, ოზურგეთში სერიოზული პრობლემები შექმნა. რამდენიმე საათია მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. ადიდებული მდინარე ბჟუჟი კალაპოტიდან გადმოვიდა, დაზიანდა და გზები გადაიკეტა.

ოზურგეთში მომხდარი სტიქიის შედეგად, სოფელ ნატანებში, მოლიანის ტერიტორიაზე არსებული საყანე ფართობების ნაწილი მთლიანად დაიტბორა, განადგურდა სიმინდის მოსავალი. მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის, ბესო ლომინაძის ინფორმაციით, დატბორილია თემის მოსახლეობის კუთვნილი 11 ჰექტარი საყანე ფართობი მოლიანის ტერიტორიაზე. მთლიანად განადგურებულია სიმინდის მოსავალი, რომელიც მოსახლეობას ერთ კვირაში უნდა აეღო.

ანალოგიური მდგომარეობა შეუქმნა სიტიქიამ ლანჩხუთსაც, დაიტბორა საყანე ფართობები, 5 სულიანი ოჯახის საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა, დაზიანდა შიდა გზები და რამდენიმე ადგილას ჩამოწვა მეწყერი.

სტიქია 29 სექტემბერს ისევ განმეორდა, თუმცა ამჯერად მეტი საფრთე ადგილობრივ მოსახლეობას შეექმნა.

სტიქიური ზონებში ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ზურა კოპაძე იმყოფებოდნენ. ხელისუფლების წარმოადგენლები მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას ხვდებიან და ადგილზე ეცნობიან სიტუაცის.

ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით სტიქიამ განსაკუთრებით ორი რეგიონი, სამეგრელო და გურია დააზარალა, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მალევე დაიწყება, ამ ეტაპზე საჭირო ტექნიკის მობილიზება ხდება. ფაქტობრივად, ოზურგეთის 20%-ია დატბორილი.

ძლიერი წვიმის შედეგად დატბორილი სავარგულების შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, გოჩა ცოფურაშვილმა ისაუბრა:

– ჩვენ მოვინახულებთ ყველა იმ ადგილს, რომელიც არის პრობლემური, წინასწარი ინფორმაციით, ზოგან მდინარეს აქვს მიტაცებული სავარგულები, ზოგან სერიოზულად არის დატბორილი და არის იმის საშიშროება, რომ მოსავალი იქაც განადგურდეს. ჩვენი სამსახურები, რომლებიც ახლა ადგილზე მუშაობენ, შეაფასებენ და დაითვლიან ზარალის ოდენობას. რა თქმა უნდა, დაკვირვების ქვეშ დავტოვებთ იმ სავარგულებს, რომლებიც ნაკლებად დაზიანებულია. ვისიც უკვე შეფასებულია და ცნობილია, რომ სავარგულები აღარ არსებობს, ამაზეც შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ“ – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

რა სახის დახმარებას უნდა ელოდეს მოსახლეობა ხელისუფლებიდან და მიიღებენ თუ არა ფულად კომპენსაციას. სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიმდინარეობს ზარალის დათვლა, თუ საჭიროება გახდება, შესაძლებელია გაიცეს კომპენსაცია:

ოზურგეთი ამ წუთებში მიმდინარეობს ზარალის დათვლა, დადგენილი წესების თანახმად გაიცემა კომპენსაცია. თუ სახლი არის მწყობრიდან გამოსული და საცხოვრებლად უვარგისი არის, ან არსებული ზიანის გამო შეუძლებელია იქ ცხოვრება, ამ შემთხვევაში კომისია იმსჯელებს ზარალის ანაზღაურებაზე.

ნინო ონიანი

რატომ გადაიდო საჯარო მოხელეთა კონკურსი?

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საჯარო მოხელეთა შესარჩევად კონკურსის გამოცხადებაზე რიგგარეშე საკრებულოს სხდომაზე იმსჯელა, ამის შესახებ განცხადება საკრებულოს სხდომაზე გაკეთდა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მეცხრე საკითხით თვითმმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე დაინიშნა.

გადაწყდა, რომ კომისიის წევრების შერჩევა უახლოეს დღეებში მოხდებოდა, შემდეგ გამოცხადდებოდა კონკურსის დაწყების ვადები, რომლის შედეგებიც ნოემბრის თვის პირველ რიცხვებში გახდება ცნობილი – განაცხადა ჭანუყვაძემ.

კონკურსი სამ ეტაპიანია: 1. კონკურსანტთა შეჩევა 2. ატესტაცია და 3. გასაუბრება. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს, გამომდინარე მათი კვალიფიკაციიდან, გამოცდილებიდან და პროფესიონალიზმიდან. თუმცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გაირკვა, რომ ოზურგეთის მერიისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონურსი სამი თვით გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის შედეგები ნოემბრის თვის დასაწყისისთვის ცნობილი რომ უნდა ყოფილიყო და საატესტაციო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს მერაბ ჭანუყვაძეს საკონკურსო კომისიის წევრები უახლოეს დღეებში უნდა დაესახელებინა.

კონკურსისთვის მოსამზადებელ საკითხებს განიხილავდნენ ქალაქის საკრებულოს სხდომაზეც.

რიგით პირველ საკითხად „ეთიკისა და იურიდიულ საკითხთა" კომისიის თავმჯდომარე გოჩა ძიმისტარაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს დადგენილების მიღებაზე გააკეთა მოხსენება, უნდა არჩეულიყო კომისიის თავმჯდომარეც, ის ის იყო საკითხი კენჭისყრაზე უნდა დამდგარიყო, როცა სხდომაზე მყოფმა „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის" იურისტმა ირაკლი პაპავამ სიტყვა ითხოვა და საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა მოითხოვა:

– ადმინისტრაციული წარმოების გარეშე როგორ უნდა მიიღოთ ნორმატიული აქტი, ეს ხომ კანონით ბათილად ითვლება და არც ასე მიღებული გადაწყვეტილება ითვლება კანონიერად".

პაპავას საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძემ უპასუხა: „ადმინისტრაცული წარმოება არ დავიწყეთ იქედან გამომდინარე, რომ მის დასრულებას გარკვეული ვადები აქვს, ჩვენ კი დროში ვიყავით შეზღუდულები"

საბოლოოდ საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული წარმოების დაჩქარებული ტემპით წარმართვის შესახებ.

ყველაფრის მიუხედავად, არაოფიციალური, მაგრამ გადამოწმებული ინფორმაციით, საჯარო მოხელეთა კონკურსი შესაძლოა არა თუ სამი თვით გადაიდოს, არამედ მთლიანად მოიხსნას დღის წესრიგიდან.

საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი, ადგილზე უკვე დაწყებული მზადების მიუხედავად, ცენტრიდან განხორციელებული მითითების შემდეგ გადაიდო.

თუ რა ამოძრავებდა ცენტრს, ეს ამ წუთისთვის უცნობია, თუმცა ოფიციალური ინფორმაციით ეს კანონში შესატან რიგ ცვლილებას უკავშირდება.

კონკურსის გადადების მიზეზების შესახებ მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის უფროსი, ეკატერინე მგელაძე გვპასუხობს:

– რატომ გადაიდო კონკურსი?

– კონკურსი არ გადადებულა, ვინაიდან მისი ჩატარების თარიღი დადგენილი არ ყოფილა. პირველ რიგში, მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს საჯარო მოხელეთა რანგირების სისტემა, რათა ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი გამოცხადდეს. მიმდინარეობს წინა საკონკურსო-საორგანიზაციო საკითხების მოსამზადებელი სამუშაოები: უნდა მოხდეს მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება და ასე შემდეგ ეს პროცესი გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. მუნიციპალიტეტის გამგეობა აგრძელებს კონკურსისთვის მზადებას.

– ამბობენ, შეიძლება კონკურსი საერთოდ არ ჩატარდეს, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს?

– ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან კანონმდებლობით დადგენილია, რომ საჯარო სამსახურში თანამდებობის პირები მიიღებიან მხოლოდ კონკურსის წესით.

ნინო ონიანი

ექიმპერსონალით და პაციენტებით დაცარიელებული ჩოხატაურის საავადმყოფო

ზურამ ყაჭეიმშვილი

2010 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ტერიტორიული ორგანოს), სახელმწიფო ორგანოსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო აუქციონის მომწყობი კომისიის მიერ გაიცა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმა №16ა. ოქმიდან ცალსახად ჩანს, რომ „პრივატიზების მიზნით საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტროს საუქციონო კომისიის მიერ 2010 წლის 29 სექტემბერს მოწყობილ საჯარო აუქციონის მიერ შემოთავაზებული საფასურის 550 000 (ხუთასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში საწარმო“-ზე გაცემული (წარმომადგენელი გიორგი მთვარაძე, უფლებამოსილება მინიჭებული აქვს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო საწარმოს“ 2010 წლის 28 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმით) გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში მყიდველი) და მას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით საკუთრებაში გადაეცა შპს „ჯანმრთელობა 2000“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი (საიდენტიფიკაციო კოდი 404381165)“. „ჯანმრთელობა 2000-ის“ ორგანიზაციამ „ადითისათვის“ ერთი ქოლგის ქვეშ მოაქცია საქართველოს 8 მუნიციპალიტეტის – ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ვანის, ხარაგაულის, ასპინძის, ლენტეხის, ქარელისა და დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებები. უძრავი ქონებების მეპატრონე ებრაელი ქალბატონი ლენა გახდა.

გაუჩინარებამდე ქონება ბანკში ჩადო, იპოთეკით დატვირთა და ფული გამოიტანა. რა თანხა გადაიხადა კონკრეტულად ჩოხატაურის და ლანჩხუთის, ან რომელიმე სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ინფორმაცია ოფიციალურად ვერ მივიღეთ, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით „ადითმა“, რომლის უკანაც თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით კეზერაშვილი იდგა, ქონების გასხვისება თითო ლარად მოახერხა. „ადითის“ მფლობელობაში საავადმყოფოები არც გარემონტდა, არც თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა, მედპერსონალი სახელფასო დავალიანების გამო ხშირად გაფიცვას აწყობდა. სახელმწიფომ 8 საავადმყოფოს მართვის უფლება რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს გადასცა, მიუხედავად ამისა მაქინაციით მითვისებული ქონების განკარგვას და საკუთრების უფლების აღდგენას უშედეგოდ ცდილობენ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოს წინ რუსთაველის ცნობილ აფორიზმს წაიკითავთ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ – 1918 წელს აშენებული შენობა დაცარიელებული დაგვხვდა. მედპერსონალმა ხშირ გაფიცვას, ოპტიმალური გზის მოძებნა ამჯობინა, ამიტომ კლინიკა „მამქოლში“ და „მედალფაში“ გადავიდა. საავადმყოფოს ეზოში ქალთა კონსულტაციის აბრა წავიკითხე და კიბეებზე ავედი. კარებთან ბებიაქალი შემომხვდა, სამშობიაროში აღმოვჩნდი, მეან-გინეკოლოგი ზურაბ ყაჭეიშვილი შენობის ერთადერთი დამცველია – მიძნელდება აქაურობის დატოვება, უფუნქციოდ დარჩება – აღნიშნა ექიმმა. პალატები და საოპერაციო დავათვალიერეთ, მან კარგად იცის, როცა აქედან წავა, საავადმყოფოს არსებობის ყველა კვალი გაქრება, ისე როგორც უცნობი ლენა გაუჩინარდა და ვერ იპოვეს. „გურია REGION“-ის რედაქციამ ვითარების შესწავლის მიზნით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მივმართეთ, თუმცა არავინ გამოგვეხმაურა, რაიონული საავადმყოფოების შენარჩუნება მთავრობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ოჯახი ნელ-ნელა კვდება, ზურაბ ყაჭეიშვილს ორი ბიჭი ტრაგიკულად დაეღუპა. დიდი ტრავმის მიუხედავად, ექიმი დღემდე ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული რჩება.

მეანობა უფრო რთულია, ვიდრე ქირურგის საქმიანობა, პატარა მიკროქარხანა, საკვერცხეები, მთელ ორგანიზმს ამუშავებს, ამიტომ ფაქიზად უნდა მოვექცეთ – აღნიშნა ექიმმა და სასაუბროდ თავის კაბინეტში შევედით, კედელზე აბრა ვერ შევნიშნე,

ფორმალურ მხარეს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ის საქართველოში მოღვაწე მეან-გინეკოლოგების ხუთეულში შედის. ესენია: ამირან ქორიძე, დავით გაგუა, მამუკა ნემსაძე, თამაზ ნიკოლაიშვილი და ბატონი ზურაბი. მან ჩოხატაურის №1 საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. მშობლები ცაცა და გალაკტიონ ყაჭეიშვილები ფარმაცევტები იყვნენ, ჩოხატაურის აფთიაქში მუშაობდნენ. ზურაბ ყაჭეიშვილი ყაზახეთის რესპუბლიკაში სამედიცინო ინსტიტუტის სამეანო ფაკულტეტის დეკანი იყო. მუშაობდა რიგით გინეკოლოგად, განყოფილების გამგედ, ცელინოგრადის ოლქში დაინიშნა მთავარ ექიმად. ვ. ბურაკოვსკის გულის ქირურგიის ინსტიტუტში მუშაობდა. დაიცვა სადოქტორო დისეტაცია თემაზე – ორსულის და მშობიარის მართვა გულის მანკით დაავადებულ ორსულებში (გაუტკივარება). გამოქვეყნებული აქვს 58 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც მენა-გინეკოლოგიის დარგის აქტუალურ საკითხებს შეეხება. ასოცირებული პროფესორი ორი მონოგრაფიის და ერთი სახელმძღვანელოს ავტორია. „მოქალაქეთა კავშირის“ პარტიულ სიაში მეთორმეტე იყო, თუმცა პოლიტიკაში ჩართვა არასდროს უფიქრია. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ტყიბულის, თერჯოლის სამშობიაროების მთავარ ექიმად. იყო გურიის რეგიონის მთავარი გინეკოლოგი, პარალელურად ოზურგეთის სამშობიაროს მთავარი ექიმი, ხაშურის სამშობიარო სახლის დირექტორი. რაიონში წამყვანი სპეციალისტი არ ჰყავდათ, ზაურ ოსეფაიშვილის და ანტონ ხუნდაძის თხოვნით ზურაბ ყაჭეიშვილი დროებით ჩოხატაურში ჩამოვიდა, თუმცა მისი აქ ყოფნა დიდხანს გაგრძელდა. ექიმს ერთი ლეტალური შემთხვევაც არ ჰქონია, ძალიან ფრთხილია, თვლის, რომ ჭადრაკის პარტიას ის იგებს, ვინც ბევრ სვლებს გათვლის. ზურაბ ყაჭეიშვილის გათვლა მშობიარის და ახალშობილის სიცოცხლის გადარჩენაა. არის თუ არა ხალხი მისი მადლიერი?! – ისინი სიკეთეს სწრაფად ივიწყებენ – აღნიშნა ექიმმა.

2004 წლიდან ზურაბ ყაჭეიშვილი ჩოხატაურის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი იყო, 5 წელიწადია კოლექტივი რაიონულ საავადმყოფოში გადავიდა, სამეანო გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს 15 თანამშრომელი ჰყავს – 3 ბებიაქალი, 5 ექთანი, 4 სანიტარი, 1 უფროსი მედდა, 1 ნეონატოლოგი, 1 ქალთა კონსულტანტი (ექთანი). ზურაბ ყაჭეიშვილი მთელი თვის განმავლობაში 300 ლარზე მეტს ვერ გამოიმუშავებს. ბებიაქალების ანაზღაურება 10, 15, 20 ლარია. ბათუმელმა და თბილისელმა მეან-გინეკოლოგებმა მუნიციპალიტეტში სამუშაოდ 5000 და 8000 ლარი მოითხოვეს.

– რომ წავიდე, ეს პერსონალი უმუშევარი დარჩება. თქვენ დაათვალიერეთ, როგორ პირობებია, არ არის სკამი, მაგიდა, რბილი და მაგარი ინვენტარები. რაც გვაქვს სამშობიარო სახლიდან გადმოვიტანეთ – აღნიშნა ექიმმა. კლინიკა „მამქოლის“ ადმინისტრაცია სამშობიარო სახლის ფლიგელის მიშენებას გეგმავს. სამშობიარო განყოფილების პერსონალი, ალბათ, იქ გადავა. რაიონული საავადმყოფოს ერთადერთი აბრა – ქალთა კონსულტაციაც გაქრება და საუკუნოვანი ისტორიაც დასრულდება. ასეთია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამედიცინო კაზუისტიკა.

რა ბედი ელის რაიონულ საავადმყოფოებს?! რატომ ვერ ამოხსნეს ვინმე ლენას მაქინაციის რებუსი, რომელმაც უძრავი ქონებები იპოთეკით დატვირთა და დიდი თანხა მიითვისა, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებს განვითარების საშუალება დაუკარგა.

ლელა სურმავა



ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში ერთ თვეში გარდაცვლილი 1 მცირეწლოვანი და 2 ახალშობილი

გასულ კვირას, ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში ორი ახალშობილი გარდაიცვალა. ოჯახის ახლობლები მომხდარ ფაქტს მედპერსონალის გულგრილობით ხსნიან, ერთ-ერთი გარდაცვლილი ბავშვის ოჯახის წევრების მიმართვის საფუძველზე, ექიმის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 116-ე მუხლით აღიძრა, რაც ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობას ითვალისწინებს. ეს უკვე მეორე სისხლის სამართლის საქმეა ბოლო ორი თვის განმავლობაში ექიმის მიმართ აღძრული.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში მცხოვრებ, 19 წლის თინათინ ჩარკვიანს საკეისრო კვეთა, ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში დილით გაუკეთდა. ექიმებმა ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ქალაქ ოზურგეთში, ნინოშვილის ქუჩის პირველ ნომერში მცხოვრებმა, 38 წლის ლეილა ჟღენტმა კი, მშობიარობიდან რამდენიმე საათში, სამედიცინო ცენტრის წინ შეკრებილ ნათესავებს მობილურით აცნობა, რომ ექიმებმა მას ბავშვი მოუკლეს. ორთავე ოჯახის ნათესავები ექიმისა და მედპერსონალის დასჯას ითხოვენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ საქმე დაუდევრობას, დაგვიანებულ მშობიარობას ეხება და ორთავე შემთხვევაში გამოძიების დაწყებას მოითხოვენ.

„ვეხვეწებოდით ექიმს, მშობიარობა ეწყება გვიშველეთო, არ მოგვისმინა, სახლში გაგვიშვა და გვითხრა, დააძინეთ ტკბილად, ახლა მას ძილი სჭირდებაო“ – იხსენებს მშობიარე ლეილა ჟღენტის მეუღლე, ირაკლი გიორგაძე.

მისივე თქმით, მომატებული ტკივილების გამო მეუღლე მაინც მიიყვანა სამშობიაროში, სადაც მალე იმშობიარა კიდეც, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ლეილა ჟღენტის და, მარინა ჟღენტი კი, მომხდარის სასწრაფო გამოძიებასა და ექიმის დასჯას ითხოვს.

იგივე აზრზეა მშობიარე თინათინ ჩარკვიანის დედამთილი, ნონა ჩაჩუა, რომელიც ასევე მედპერსონალის მიერ საკეისრო კვეთის დაგვიანებით დაწყებას თვლის ნაყოფის გარდაცვალების მიზეზად.

ორთავე შემთხვევაში ქალბატონებისათვის ეს პირველი მშობიარობა იყო.

ასევე ორთავე შემთხვევაში ექიმი გინეკოლოგი ერთიდაიგივე პიროვნება იყო.

მანამდე, დაახლოებით 10 დღის წინ ექიმებს გულგრილობასა და დაუდევრობაში 2 წლის ნინი ირემაძის ოჯახის წევრები ადანაშაულებდნენ. პატარა საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ბავშვი ოჯახის წევრებმა ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს. როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, ექიმები მათ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას დიდი ხნის განმავლობაში უმალავდნენ, ახლობლები რამდენიმე საათი რეფერალური სამსახურის რეანიმობილს ელოდებოდნენ, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვი ბათუმში გადაეყვანათ სამკურნალოდ.

საბოლოოდ, საღამოს 18 საათზე ოჯახს ბავშვის გარდაცვალების შესახებ ეცნობა. სამედიცინო ცენტრის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ექსპერტიზის ჩატარება ცხედარზე აუცილებელი იყო, რომ დადგენილიყო ბავშვის გარდაცვალების მიზეზი და გამორიცხულიყო, ან დამდგარიყო მკურნალი ექიმის ბრალეულობა. ბავშვის გარდაცვალების მიზეზი მოგვიანებით გახდება ცნობილი, ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ.

და კიდევ ერთი ფაქტი, აგვისტოს თვის ბოლოს ექიმის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მშობიარე ქალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 130-ე მუხლით აღიძრა, რაც პაციენტის განსაცდელში მიტოვებას გულისხმობს.

„ოთხი წელია არსებობს ჩვენი სამედიცინო ცენტრი და ეს ახალშობლის გარდაცვალების პირველი შემთხვევაა. მესმის, რომ კარგია საერთოდ არ ხდებოდეს მსგავსი ფაქტები, მაგრამ ეს არ არის ბევრი და ხშირი შემთხვევა. მოვითხოვეთ გვამის პათოლოგ-ანატომიური შესწავლა, როცა დაიდება სასამართლო-სამედიცინო დასკვნა, მაშინ გამოჩნდება ვინ არის დამნაშავე. პასუხისმგებლობას არავინ გაურბის. თუ იყო მედპერსონალი დამნაშავე, ბუნებრივია დაისჯება, თუ არ იყო დამნაშავე, საქმე შეწყდება.

გარდაცვლილის ახალშობილებისა და 2 წლის გოგონას ნათესავებისა და ახლობლების ბრალდებებს ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის დირექტორი, დათო მდინარაძე პასუხობს და ამბობს, რომ ექიმს ბრალი არაფერში მიუღძვია, აცხადებს, რომ აუცილებელია ჩატარდეს ექსპერტიზა, იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა ექიმის ბრალეულობა, აგებს პასუხს:

რაც შეეხება 2 წლის ბავშვის გარდაცვალებას, საქმე გვაქვს ბავშვთან, რომელიც იმყოფებოდა ბახმაროს მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ზოტი ყელში და არა ზოტში. როგორც ვიცი, ოჯახმა, გულის რევის შეგრძნებით ბავშვი მიიყვანეს ჩოხატაურის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში. ჩემი ინფორმაციით, იქ აღმოუჩინეს დახმარება, რის შემდეგაც გაეწერა ბინაზე. ისევ დაბრუნებულან სოფელში, სადაც ბავშვი ისევ ცუდად გამხდარა და წამოიყვანეს პირდაპირ ოზურგეთში. მიუხედავად იმისა, რომ ჩოხატაურში ორი სამედიცინო დაწესებულებაა, არც იქ მიუყვანიათ და არც სასწრაფო გამოუძახებიათ. ბავშვი ორის ნახევარზე მოიყვანეს ტერმინალურ მდგომარეობაში. მოთავსდა ინტენსიური თერაპიის პალატაში. არსებობს რეფერალური სამსახური, როცა ექიმი თვლის, რომ საჭიროა უფრო კვალიფიციური კადრი, ამიტომ გაკეთდა გამოძახება ცხელ ხაზზე. პარალელურ რეჟიმში, ექიმმა პედიატრმა

და რეანიმატოლოგმა გააგრძელეს ის ღონისძიებები, რაც სჭირდებოდა იმ შემთხვევაში პაციენტს. ბავშვი გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვაზე, ახლა თუ შემეკითხებით წყალდიდობა რატომ მოხდა ბათუმში და რატომ არ ჩამოვიდა რეფერალურის ბრიგადა, პასუხი არ მაქვს.

– რაც შეეხება კონკრეტულად ორი ახალშობილის გარდაცვალების შემთხვევებს, არანაირად არ ვთვლი, რომ აქ იყო მედპერსონალის ბრალეულობა, კიდევ ერთხელ შევდივარ ყველას მდგომარეობაში, თუ იქნება მედპერსონალის ბრალეულობა, ის დაიჯება. იმ ექიმის ადგილზე, რომ ვიყო იგივე გზას ავირჩევდი, პირველ შემთხვევაში შემოვიდა ორსული, ექოსკოპიით იყო დასკვნა, ნაყოფის არასწორი მდებარეობა, ამ შემთხვევაში უნდა გაკეთებულიყო საკეისრო კვეთა, ექიმმა მარინა გორდელაძემ გააკეთა ყველაფერი ისე, როგორც კეთდება. ამოიყვანა ცოცხალი ახალშობილი, ბავშვი გადაეცა წესის მიხედვით ნეონატოლოგს. ბავშვი დაიბადა მძიმე ასფიქსიაში, დაიწყო რეანიმაციული ღონისძიებები, რაც აღმოჩნდა უეფექტო. იმასაც გეტყვით, რომ ოპერაცია დაიწყო ცოცხალ ნაყოფზე, მკვდარ ნაყოფზე როგორც წესი საკეისრო კვეთა არ კეთდება. რაღაც პრობლემა ჰქონდა ახალშობილს ისეთი, რაც თვალით უხილავია, რაც შეიძლება ექომ ვერ დაინახოს, რაც შესაძლოა სისხლის ანალიზშიც არ გამოჩნდეს. ეს ყველაფერი გამოჩნდება გაკვეთით, დაიდება დასკვნა, იქნება ექიმი დამნაშავე, დაისჯება კიდეც.

– მეორე შემთხვევაშიც შემოვიდა 37 წლის პირველი მშობიარე, ექიმი იყო ისევ მარინა გორდელაძე, რომელიც არის საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი ექიმი, შემოვიდა 25-ში პირველ საათზე, 6 საათზე დაიბადა ახალშობილი ასფიქსიაში, მასაც დაეწყო რეანიმაციული ღონისძიებები და უეფექტოდ. ჩვენ გამოვიძახეთ სამართალდამცავი სტრუქტურები, გარდაცვლილი გადაგზავნილია ექსპერტიზაზე – ამბობს დათო მინარაძე.

ნინო ონიანი

ავორტიზირებული სასწრაფო დახმარების მანქანები და საფრთხის ქვეშ მყოფი პაციენტები

უკვე დიდი ხანია ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს პრობლემები აქვს, მაგრამ დღესდღეობით სიტუაცია უფრო დამძიმებულია. მოსახლეობა ადგილზე დროულად არ მისვლის გამო სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს უჩივის. ამბობენ, რომ სასწრაფო ხშირად აგვიანებს, ან უარეს შემთხვევაში საერთოდ არ მიდის. ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი ამბობს, რომ სასწრაფოს გამოძახება რამდენჯერმე მოუხდათ, მაგრამ დროულად ის ადგილამდე არასოდეს მისულა.

გურიაში სტუმრად მყოფი ქალბატონის თქმით გვიან ღამით მის 3 წლის პატარას ცრუ კრუპი დაემართა, – სასწრაფო გამოძახებიდან 40 წუთში მივიდა, უფლის ნებით ეს კრუპის მსუბუქი ფორმა აღმოჩნდა, თორემ 40 წუთის დაგვიანება შესაძლებელია ცუდად დასრულებულიყო, – ამბობს ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთი რესპონდენტი.

– წნევამ ამიწია, ვერაფერი მოვუხერხე თავს, ნემსიც გავიკეთე, გამოვიძახეთ სასწრაფო, გავიდა ერთი საათი, მაგრამ არ გამოჩნდა, მეორეჯერ გადავრეკეთ, ნერვიულობაზე ჩემი მეუღლესაც წნევამ აუწია, გვითხრეს, რომ გზაშია, გავიდა კიდევ ერთი საათი, მაგრამ სასწრაფოს ბრიგადა არ გამოჩენილა, 3 საათის შემდეგ დაგვირეკეს სასწრაფოდან და გვკითხეს ბრიგადას რაღაც პრობლემა შეექმნა, საჭიროა მათი მოსვლა თუ გაბრუნდნენ უკანო, – ყვება ჩვენთან მეორე რესპონდენტი.

ჩვენი ინფორმაციით დღეს, სასწრაფო დახმარებისთვის არსებული მანქანები, თითქმის ყველა გამოუსადეგარია, ამორტიზირებული და მწყობრიდან გამოსულია, რაც ყველაზე მეტად საფრთხეს უქმნის ავადმყოფებს. სიტუაცია, რასაც გურია REGION-ი შეესწრო ასე გამოიყურებოდა: – გამოძახებიდან დაბრუნებულმა სასწრაფო მანქანის მძღოლმა ეგრეთ წოდებული აკუმულატორი მანქანიდან ამოიღო და სხვას მისცა, შემდეგ გამოძახებაზე ვერსად წავალო დაამატა. როგორც აღმოჩნდა სასწრაფოს მძღოლს აკუმულიატორი ნათხოვარი ჰქონია.

ამ პრობლემას ისიც ემატება, რომ 2012 წლის 1 ივნისიდან სასწრაფო დახმარების კოორდინაცია ცენტრალიზებული გახდა. თუ ადამიანს სასწრაფო დახმარების გამოძახება უნდა, ჯერ რეკავს თბილისში ოპერატორთან, უხსნის მას ვის და რატომ სჭირდება სასწრაფო დახმარება და მანქანა სად უნდა მივიდეს, შემდეგ ოპერატორი თბილისიდან უკავშირდება ოზურგეთში მყოფ ოპერატორს, ინფორმაციას გადასცემს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს სასწრაფო დახმარების მანქანა მზადებას და გადის გამოძახების მისამართზე.

„გურია REGION“-ი არსებულ სიტუაციაზე სასწრაფო დახმარების ბრიგადების ექიმებთანაც შეეცადა ინფორმაციის მოპოვებას, მაგრამ მათ ყოველგვარი კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

მანამდე კი ჩვენს კითხვებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოზურგეთის ფილიალის უფროსი ნანა გოლიაძე პასუხობს:

– ქალბატონო ნანა, ხშირად მოგვმართავენ ადამიანები და ამბობენ, რომ სასწრაფო დახმარება გამოძახების შემთხვევაში ადგილზე დროულად არ მიდის, რა არის ამის მიზეზი?

– ამისი მთავარი მიზეზი მოძველებული, ამორტიზირებული ავტოპარკია.

– რამდენი სასწრაფო დახმარების მანქანა მუშაობს ამჯერად ოზურგეთის კლინიკაში?

– ოთხი მანქანა მუშაობს, მაგრამ ყველა ამორტიზირებულია. ყველა საჭიროებას ხშირ რემონტს, დღეში ორი ან სამი დგება რემონტზე რამდენიმე საათით.

– როგორც ვიცით სასწრაფოს მანქანების რიცხვი 4-ს შეადგენდა, წესით ოთხივე უნდა მუშაობდეს ყოველდღიურად, მაგრამ ასე არაა...

– ავტოპარკი 10 წლის წინ ჩამოყალიბდა და 4 სასწრაფოს მანქანა გვყავდა, ახლა უკვე ყველა მანქანა ამორტიზირებულია და რემონტსაც აღარ ექვემდებარება როგორც მახსოვს თავდაპირველად ახალი ტიპის სასწრაფო დახმარების მანქანები ემსახურებოდა რაიონს, ამჯერად არის ძველი მანქანები...

– როდინდელ ამბავს ამბობთ, ვერ გავიგე, ერთი წლის წინანდელს?

– არა, ვგულისხობ სამი-ოთხი წლის წინანდელ ამბავს...

– არა, არცერთი მანქანა არ შეცვლილა იგივე მანქანებია, – გვითხრა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოზურგეთის ფილიალის უფროსმა ნანა გოლიაძემ.

ჩვენივე ინფორმაციით დღის მანძილზე გამოძახების დროს ორი ან ხშირ შემთხვევაში ერთი სასწრაფო დახმარების მანქანა მუშაობს, რაც ოზურგეთის რაიონისთვის ძალიან ცოტაა. მართალია, ქალბატონი ნანას თქმით, ყველა მანქანა ამორტიზებულია და რემონტს არ ექვემდებარება, მაგრამ სასწრაფო დახმარების ექიმები და მძღოლები საჯაროდ ამ პრობლემაზე საუბარს ერიდებიან.

ცოტა ხნის წინ ოზურგეთს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სტუმრობდა, როგორც მან განაცხადა ახალი წლისთვის, როგორც მთელ საქართველოს, ასევე ოზურგეთს, სასწრაფო დახმარებას ახალი მანქანები ეყოლება. მოსახლეობასაც მოლოდინის მეტი რა დარჩენია.

ნინო ონიანი

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ჩვენი დღევანდელი საგაზეთო დებატების თემა არჩევნების შემდგომი მდგომარეობაა, ასევე ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენს რაიონში სუფევს. შეგვიძლია თემა განვავრცოთ და შევეხოთ არა მარტო ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებს, არამედ მთლიანად თემას და გამოვთქვათ საკუთარი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. ჩვენ ამ თემაზე სასაუბროდ შევკრიბეთ სამივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. წარმოგიდგენთ მათ:

პაიჭაძე ლალი 29.ნ. – ჩოხატაური

დოლიძე ენვერი – 24წ. – ოზურგეთი

ჩხეიძე ნორა – 33წ. – ლანჩუთი

ცინცაძე ლადო 54წ. – ჩოხატაური

კაციტაძე ლუდა 38წ. – ოზურგეთი

ჟურნალ „გურია REGION"-ის საგაზეთო დებატების წამყვანი ირინა რამიშვილი. (ჟ.გ)

ჟ.გ. – როგორია თქვენეული ხედვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ და არა მარტო ქვეყანაში, არამედ თქვენსავე რაიონში. თვლით თუ არა ჩატარებულ არჩევნებს წარმატებულად... ერთი სიტყვით შედგა თუ არა არჩევნები?

ჩ.ნ – საერთოდ ადვილია ლაპარაკი სხვის შეცდომებზე და ჩადენილ დანაშაულებზე.

ელემენტარულ, უბრალო და ყველასათვის გასაგები ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ, შეცდომებს უშვებს ის, ვინც საქმეს აკეთებს...

ც.ლ. – შეცდომა შეიძლება, მაგრამ დანაშაული...დანაშაულის გამართლება დაუშვებელია.

ჩ.ნ. – თუ შეიძლება აზრი დამამთავრებინეთ, ყველას მოვუწოდებ იქონიოს ელემენტარული ზრდილობის წესი და მოსმენის კულტურა. ეს ორი კომპონენტი ყველგან თან უნდა ახლდეს ადამიანს.

ჟ.გ. ძალიან გთხოვთ ნუ შევალთ მწვავე პოლემიკაში და მშვიდად მივყვეთ სასაუბრო თემას. აქვე მინდა მკითხველს განვუმარტო, რომ ინტერვიუს ჩაწერამდე მოწვეულ სტუმრებს შორის ძალიან დაძაბული საუბარი წარიმართა პოლიტიკასთან და არჩევნებთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ არჩევნები მწვავე თემაა და ეს აისახა კიდეც ჩვენს დღევანდელ წარმომადგენლებზე.

ჩ.ნ. – რაც შეეხება თავად კითხვას ვაცხადებ, რომ ამ არჩევნებით ქვეყანამ იზარალა, იზარალა თითოეულმა ჩვენგანმა. არასოდეს მინახავს ხალხი ასე დაბნეული და გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი. უმეტესობას ვერც კი გაეგო თუ რისი არჩევანი იყო ეს, ვინ უნდა აერჩია, რომელი პარტია თუ პიროვნება, რომელი დეპუტატი და დამოუკიდებელი წარმომადგენელი.

ც.ლ. არჩევნების პერიოდში ადამიანები, მართლაც, დაბნეულ და გაურკვეველ სიტუაციაში იმყოფებოდნენ. ეს იყო დაუბალანსებელი და საკითხში გაუცნობიერებელი ადამიანთა კასკადი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია იყო მთიან სოფლებში. საერთო მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ ძირითადად ჩვენმა მოსახლეობამ ამ მხრივ არც მეტი არც ნაკლები წერა-კითხვის უცოდინარობა გამოავლინა. იყო უპრეცენდენტო რაოდენობის გაყალბებული ბიულეტენები.

ჟ.გ. – როგორ ფიქრობთ იყო ამ მხრივ პრობლემა თავად დამკვირებლებსა და სხვა, პერსონალში?

დ.ე. – მოსახლეობის დაბალი დონე ძალიან სამწუხარო ფაქტია, ამას დამატებული კომისიის წევრების და თავჯდომარის რიგ საკითხებში გაურკვევლობა, ეს უკვე ნამდვილი კატასტროფაა, რაც აისახა კიდეც არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

კ.ლ. – რა თქმა უნდა, კომისიის წევრებსა და პირადად თავმჯდომარეზე ბევრი რამაა დამოკიდებული...

ჩ.ნ. – რატომღაც მგონია, რომ ვიჩაგრები, ალბათ, იმიტომ რომ ლანჩხუთიდან ერთი წარმომადგენელი ვარ და აზრის მოზიარე არ მყავს... კითხვა მაქვს თქვენთან, – რატომ არ მოიწვიეთ ლანჩხუთის 2 წარმომადგენელი?

ჟ.გ. – არა მგონია იჩაგრებოდეთ, რადგან თქვენი აზრი შეუზღუდავად დააფიქსირეთ. აქ არც იმისთვის შევკრებილვართ, რომ ერთმანეთის აზრი გავიზიაროთ, არამედ იმისთვის რომ ვიკამათოთ, ვიმსჯელოთ, გამოვთქვათ საპირისპირო მოსაზრება... რაც შეეხება თქვენი რაიონის მეორე წარმომადგენელს, ჩვენ იგი მოვიწვიეთ, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ მოახერხა მოსვლა. აქვე აღვნიშნავ, რომ თუნდაც ეს ქალბატონი ყოფილიყო დღეს ჩვენთან,ეს სულ არ ნიშნავს

იმას რომ იგი თქვენი აზრის მოზიარე იქნებოდა. ჩვენ რესპონდენტები ამ სახით არ შეგვირჩევია. ჩოხატაურის წარმომადგენლებიდან ერთი ნაციონალური პარტიის წევრია, ერთი პატრიოტთა ალიანსის. ასე რომ გული ტყუილად გწყდებათ. მოდით, ახლა ვისაუბროთ შედეგებზე, თუ რას ველით ამ არჩევნებიდან, გაამართლებს თუ არა იმედებს ხალხის მიერ არჩეული გამგებლები და საკრებულოს წევრები. შორს ვარ იმ აზრისგან; რომ პოლიტიკაში აუცილებელია ვინმეს პიროვნულად შეხება. ჩემი თხოვნა იქნება თავი შევიკავოთ ვინმეს ლანძღვისაგან და ვისაუბროთ ზოგად არსებულ სისტემაზე.

კ.დ. – ცოტა ძნელი კი იქნება თუ ვინმეს არ შეეხე, თუ ვინმე არ დაასახელე... ჩვენი თხოვნა იქნება ნუ შეგვზღუდავთ ამ მხრივ და მოგვეცით საშუალება ღიად დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია.

ჟ.გ. – მე არ გზღუდავთ, შეგიძლიათ თქვათ.

დ.ე. – ადამიანებს დღემდე ვერ გაუგიათ, ესა თუ ის პიროვნება, რომელიც სახელმწიფო სამსახურშია და იგი ჩემი ნაცნობი, ნათესავი ან მეგობარია და მე გამოვხატავ უკმაყოფილებას სახელმწიფო მმართველობის მიმართ, ვებრძვი და ვაკრიტიკებ არა მას, არამედ არსებულ სისტემას. ეს მას არ ესმის. მას ესმის ისე, როგორც სურს რომ ესმოდეს, ჯიუტად ადგას აზრს რომ მისი მოწინააღმდეგე ვარ.

ჩ.ნ. – ეს ასე ხდება, მაგრამ თუ შემდეგში ისე განვითარდა მოვლენები, რომ თქვენ აღმოჩნდით სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და ეს თქვენი მეგობარი თუ ნაცნობი ოპოზიციაში, მოვლენები იგივე სცენარის მიხედვით წარიმართება – თქვენ აღმოჩნდებით კმაყოფილ მდგომარეობაში, ის გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას თქვენსა და თქვენი სისტემის მიმართ, თქვენ კი ჩათვლით რომ თქვენი მეგობარი, გემტერებათ, რადგან ამ სისტემამ მოგიტანათ კეთილდღეობა და მისი დამხობა თქვენივე დამხობა იქნება. აი, ამიტომაც ითვლება რომ თავად პიროვნებებს ებრძვიან და არა არსებულ თვითმმართველობას.

ც.ლ. – ეს იმიტომ რომ პიროვნება ქმნის მმართველობას.

ჩ.ნ. – ჩემი აზრით ყველაზე არამართებული კლანური მმართველობაა. მაშინ როცა ადამიანი იკავებს რომელიმე თანამდებრობრივ მდგომარეობას და ირგვლივ იკრებს სანათესაოს. იქმნება ნათესაური და ახლობლური კლანი...

პ.ლ. – აი ასეთი მიდგომა არ მესმის. იქნებ მართლაც ნიჭიერია ადამიანი, აქვს დამთავრებული უმაღლესი, აკმაყოფილებს თანამდებობის შესაბამის კრიტერიუმებს, რატომ უნდა დაიბლოკოს იმის გამო რომ თანამდებობის პირის ახალი ნათესავია?

კ.ლ. – კი მაგრამ ყველა მისი ნათესავი იყოს ხომ არ შეიძლება?

ც.ლ. – ასე არც ხდება.

ჩ.ნ. ხდება ჩემო კარგო, ხდება. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი, აქ რატომღაც გაფრთხილება მოგვცეს არ დაგვესახელებინა პიროვნებები..

ჟ.გ. – უბრალოდ ეს იყო ჩემი თხოვნა...მიმართვა...თუმცა ეს თქვენი უფლებაა.

დ.ე. – აქ არავის არაფერი აუკრძალავს, ადამიანმა მოგვიწოდა უბრალოდ... არც ის მიკვირს თანამდებობის პირი თუ თავის ნათესავს დანიშნავს თანამდებობაზე, არც ის ზედმეტი შემოსავლის წყარო თუ გაუჩნდება.

ჩ.ნ. – და თქვენ ამართლებთ ასეთ მიდგომას?

დ.ე. – ჩვენ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ეს ასე ხდებოდა, ხდება და მოხდება ყოველთვის და ყველა დროში.

ჩ.ნ. – იმიტომაც შეირგო ზოგიერთმა თანამდებობა მოკლე დროის განმავლობაში...

დ.ე. – რატომ გიკვირთ, რატომ გიკვირთ? თქვენც ასე მოიქცეოდით... და საერთოდ პოლიტიკა, უხეშად რომ ვთქვად, ბინძური საქმეა. სუფთა პოლიტიკა არ არსებობს. პოლიტიკოსი ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს. პოლიტიკა უახლოეს ადამიანებსაც კი გადაკიდებს ერთმანეთს და ეს ძალიან სამწუხაროა..

პ.ლ. – გეთანხმებით, ირაკლი ღარიბაშვილი რომ გამოდის ახლა და ამბობს, – „მე მოვედი სუფთა ხელებით და წავალ სუფთა ხელებით," კი ბატონო, შეიძლება მართლაც მოვიდა სუფთა ხელებით, მაგრამ სუფთა ხელებითვე წასვლაზე რა მოგახსენოთ.

ჟ.გ. – როგორ ფიქრობთ გასვრილ ხელებში იგულისხმება, მხოლოდ და მხოლოდ სისხლი, თუ იგივე დაუსაქმებელი და დამშეული ადამიანები... ის რომ პატიმრები ციხეებში იღუპებიან, უსახლკარო რომ უსახლკაროდ დარჩა, დაპირებები რომ არ სრულდება, თავისთავად იგულისხმება თუ არა მასში გასვრილი ხელები?

ნ.ე. – რომელიმე მთავრობის ხელში ხომ მაინც უნდა ვიგრძნოთ შვება ესენი რას ეაძახიან წინსვლას და წარმატებას, ის რომ რაღაც ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი და რომელსაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ჰქვია?

ჟ.გ. – ეს კითხვა უნდა დამესვა, თქვენ კითხვის გარეშე დამასწარით პასუხი. მოდით, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე თუ როგორ გესმით ამ ხელშეკრულების არსი. რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ იმისათვის, რომ გაუტოლდეს ევროპას და დააკმაყოფილოს მისი სტანდარტები?

კ.ლ. – ამას არანაირი წინსვლა და შედეგი არ მოყვება, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. რამდენი წელია ჰყავთ ჩვენი ჯარები საზღვრებს გარეთ, რამდენი წელია, ჩვენი ბიჭები უცხო ქვეყნებისთვის, თუნდაც ამითი რა მივიღეთ? – გაუბედურებული დედები და შვილებმკვდარი საქართველო. კიდევ რამდენი სიცოცხლე დასჭირდებათ სახელმწიფო ინტერესების განსახორციელებლად? აქედან აზრი ერთია, როგორც გვაცეკვებდა რუსეთი თავის დაკრულზე, ასევე ხდება დღესაც, ოღონდ ადგილების გადანაცვლებით, რომლის ადგილიც სხვა ქვეყანამ ჩაანაცვლა.

ჟ.გ. – ფიქრობთ თუ არა ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ნეიტრალიტეტის მიღწევაა; როგორ უნდა შეძლოს და მიაღწიოს ქვეყანამ განვითარების ისეთ ფორმას, რომ სხვისი ინტერესების დაკმაყოფილებაზე დამოკიდებული არ იყოს და ამავდროულად შეძლოს ისეთი სახელმწიფო შექმნას, რომელიც მხოლოდ თავის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებს და გაატარებს?

ჩ.ნ. – ამის განსაზღვა და ჩამოყალიბება ცოტა არ იყოს რთულია, თუმცა მისაღები და მისასალმებელია ასეთი სახელმწიფოს არსებობა, რასაც ახლო პერსპექტივაში ვერ ვხედავ.

ჟ.გ. – თქვენი თვალთახედვით ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა როდესმე მაინც შეძლებს ამის მიღწევას?

ჩ.ნ. – ეს ძალიან რთული პროცესი იქნება, თითქმის წარმოუდგენელი. არა მგონია ოდესმე იმ მდგომარეობის მინიჭება შევძლოთ, რაც შეძლო თუნდაც შვეიცარიამ, სადაც უბრალო დიასახლისს თუ ნებისმიერ არადასაქმებულ პირს გარკვეული სახის კონპენსაცია აქვთ. მე პირადად არჩევანს მონარქიულ მმართველობას მივანიჭებ.

ც.ლ. – ასეა თუ ისე ქვეყნის სათავეში ყველა თავის ჯიბის გასასქელებლად მოდის, რა ვიცი აბა დღემდე ასეა, ხალხისთვის არავინ ზრუნავს.

ჟ.გ. – პირველ რიგში რა მიგაჩნიათ პრიორიტეტად, რაც

შეიძლება ხალხის მსახურებად ჩათვალოთ?

ც.ლ. – დასაქმება... სწორედ, დასაქმებული ადამიანებით შედგება სახელმწიფო, რასაც შეგნებულად თუ შეუგნებლად არ აკეთებენ, თორემ ის თანხები და პრემიები რაც მათ ჯიბეებში მიდის და რაც არამიზნობრივად იხარჯება, საქართველოში იმდენ ფაბრიკა-ქარხანას ააშენებდა, მუშაობის მოსურნე არცერთი ადამიანი დარჩებოდა დაუსაქმებელი.

კ.ლ. – ქვეყანა შიმშილობის ზღვარზეა, ესენი გამოდიან და ევროკავშირში შესვლით გვაიმედებენ და მთელი ამ დროის განმავლობაში მივიღეთ რა?.. თურმე მანქანის ნომრებისა და ფერის შეცვლით, თუ არ ვცდები ფერზეც არის საუბარი, კი არ წყდება ეს საკითხი, არამედ ესაა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, რაც დაგვაახლოებს ევროპასთან და ვიგრძნობთ რომ ევროპელები ვართ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

დ.ე. – რაღაცით ხომ უნდა დაიწყოს, თუნდაც ამით.

ც.ლ. – რამდენი ხანია ამაზეა ლაპარაკი ჯერ კიდევ საკითხავია პროცესის რა სტადიაში ვართ.

ჟ.გ. – გეეჭვებათ ქვეყნის წინსვლა?

კ.ლ. – რა თქმა უნდა, იმის თქმა მსურდა, რომ საკითხავია დასაწყისია ეს თუ დასასრული. ევროპელობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველობას ნამდვილად ვიგრძნობთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებით, ქართული ტრადიციების არმოშლით და არა რაღაც იმ კაზანტიპური ფესტივალების დანერგვით, სადაც ნახევრად შიშველი (სრულიადაც) ქალები და კაცები დატანტალებენ და ამას ზემო ეშელონების მხრიდან გამართლება აქვს, თურმე ნუ იტყვით და საქართველოს პატივად ერგო ამ ფესტივალის მოწყობა და მომავალში მსგავსი სხვა ფესტივალებია დაგეგმილი. აფერუმ თქვენ ამ ყველაფრის ორგანიზატორებო: ქართულ მუსიკას, ცეკვას და ქართული კულტურის აღორძინებას კი არ შეუწყოთ ხელი, არამედ ასე მოტანტალე ქალ-კაცთა ღრეობას. რა ვქნა, რა შემიძლია თორემ... ჩემს აღშფოთებას არ აქვს საზღვარი.

დ.ე. – ნუ რას ვიზამთ ახლა... ამისთვის ღირს აქციების მოწყობა?

კ.ლ. – რატომაც არა, თავში უნდა ვიყვიროთ... სწორედ ახლა უნდა შემოვკრათ განგაშის ზარი..

ც.ლ. – გავიდეთ მაშინ რაღას ვუცდით...

კ.ლ. – სულ არ გვაქვს საქმე სახუმაროდ, კაზანტიპი ახალი უბედურებაა...

დ.ე. – რატომაა უბედურება ერთობა ხალხი.

კ.ლ. – ჰოდა წადი და გაერთე... ესაა ახალი უბედურება, რომელიც სათავეშივე უნდა ამოიძირკვოს, მაგრამ რა ვუყოთ ძველ უბედურებებს, რომლებიც არცერთ მთავრობის მესვეურთა დროს არ აღიკვეთა?.

ჟ.გ. – რა გაქვთ მხედველობაში?

კ.ლ. – თუნდაც ბანკები, ერთი დღის გადაცდომაც რომ საკმარისია ოც ლარიანი ჯარიმის დასარტყამად, ეს კიდევ არაფერი რაც ყოველ მომდევნო დღეს მოაქვს პროცენტული მაჩვენებელით. ზუსტად დათქმულ დღეს ფულის შოვნა კი არა გამიზნული ტყვია არ ხვდება მიზანში... ყაჩაღობაა მეტი არაფერი, რითი განსხვავდებიან თავზეხელაღებული ყაჩაღებისგან, უბრალოდ კულტურული ყაჩაღები არიან. ადამიანი ვერ იხდის თანხას შენ კიდევ ზემოდან უმატებ, ატერორებ, აყაჩაღებ... არ ვიცი რა დავარქვა... ეს არაა ქვეყანა, ეს არაა სახელმწიფო. სახელმწიფოები ვიცი მე,- სადაც თუ მოხდა ისე რომ ადამიანმა დაკარგა სამსახური, ბანკი ითვალისწინებს ამას და მან თვეში ერთი ლარიც რომ შეიტანოს სიმბოლურად, ბანკი ამით კმაყოფილდება და ეს გრძელდება მანამ, სანამ ადამიანს. სტაბილური შემოსავლის წყარო არ გაუჩნდება. ესენი რა ევროპელობაზე მელაპარაკებიან, მთელი მათი საქმიანობა და ასეთ ქვეყნებთან გატოლება ყვითელი ავტობუსების შემოყვანით და ტაქსის მძღოლებისთვის ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნით შემოიფარგლება. უცხო ენის ცოდნა ძალიანაც კარგია, მაგრამ ზედმეტი მოთხოვნაა იმ კატეგორიისთვის, როგორიცაა ტაქსის მძღოლი და დამლაგებელი. მსგავსს მოთხოვნას თავის დროზე რუსეთი გვიყენებდა...

ჟ.გ. – ამ თემაზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, ახლა უბრალოდ დროში, (საგაზეთო ფურცლების არეალში ვერ ვეტევით) იმედი დავიტოვოთ, რომ ქვეყანაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და თქვენი აზრის ღიად დაფიქსირებისთვის.

ირინა რამიშვილი

შეამოწმეთ თქვენი ერუდიცია

1. რა სიტყვებით მიმართავდა გურიაში რძალი დედამთილ-მამამთილს პატივისცემის ნიშნად და როგორ პასუხობდა ის თუ რაიმეს ჰკითხავდნენ?

2. რა ითვლებოდა გურიაში XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემების მიხედვით წამყვან დარგად?

3. რა მისიას ემსახურებოდა გურიაში მედიატორეობის ინსტიტუტი?

4. რა წარმოადგენდა გურიაში იმ საერთო ქონებას, რომლის სარგებლობის უფლება სოფლის ყველა ოჯახს ჰქონდა?

5. რა ითვლებოდა გურიაში ოჯახის გამაერთიანებელ ცენტრად?

სწორი პასუხებია:

1. – ოშოტაძე ძმაო; – ოშოტაძე ძმაო. ოშოტაძე იგ; – დიდებულო ძმაო

2. ვენაკულეობა

3. ურიგოდ იმყოფებოდა ურიგოდ ოჯახებს

4. ნაწილ

5. ეკლესია...

ფუტკრის წარმოშობის ცენტრი საქართველოა

ცხოველთა სამყაროს სისტემატიკის მიხედვით ადამიანის მიერ მოშენებული, თაფლის შეგროვებული ფუტკარი ეკუთვნის ფეხსახსრიანთა ტიპს, მწერთა კლასს, სიფრიფანფრთიანთა რაზმს, ფუტკრისებრთა ოჯახს, ფუტკრის გვარს, თაფლის შემგროვებელ ფუტკრის სახეობას.

იმისათვის, რომ ვიცოდეთ რომელი ჯიშის ფუტკართან გვაქვს საქმე, საჭიროა მრავალი ნიშან-თვისებისა და ექსტრერიერული განაზომების დადგენა ბიომეტრიული სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით. ასეთი ნიშანთვისებებია: ხორთუმის სიგრძე, ფრთების, ფეხების ნაწილების, მუცლის ნახევარრგოლების, სასანთლო სარკეების სიგრძე-სიგანე, კვერცხმდებელობა, სხეულის შეფერილობა, ზამთარგამძლეობა, თაფლის ბეჭდვის სახე, თვინიერება, ნაყრიანობისაკენ მიდრეკილება, ბუდის დაცვა, მუშაობის უნარიანობა და სხვა.

ყველა ჯიშის ფუტკარს აქვს თავისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი და ბინადრობის კერები; მათი გავრცელების საზღვრების შესაყარ ადგილებში ფუტკრის ჯიშობრივი დამახასიათებელი ნიშან-თვსებები ერთმანეთს იმდენად უახლოვდება, რომ ძნელი ხდება ამ საზღვრების ზუსტად დადგენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფუტკრის სისტემატიკის შესწავლის საკითხი ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად. ალბათ, კვლავაც გაგრძელდება მისი დაზუსტება დედამიწის სხვადასხვა ადგილებში დასახლებული ფუტკრის პოპულაციების შემდგომი ღრმა შესწავლის საფუძველზე.

საერთოდ, ინტერესმოკლებული არ არის საკითხი ფუტკრის წარმოშობისა და მისი ევოლუციის შესახებ. სამწუხაროდ, ლიტერატურულ წყაროებში ფუტკრის სახეობების თუ მათი ნაირსახეობების წარმოშობის პირველადი ცენტრების შესახებ სარწმუნო მასალები არ მოგვეპოვება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფუტკრის გვარის პის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები და თავისებურებანი უნდა ჩამოყალიბებულიყო ევოლუციის გზით, 10 მილიონი წლის განმავლობაში, 35-40 მილიონი წლის წინათ, ყვავილოვან მცენარეთა ევოლუციასთან ერთად.

დიდმა მეცნიერმა ჩ. დარვინმა მცენარეთა და ცხოველთა მრავალი სახეობის გეოგრაფიულ გარემოში გავრცელების უამრავი ფაქტის შესწავლაზე დაყრდნობით დაადგინა,

რომ თითოეული სახეობა თავდაპირველად წარმოიქმნება ერთ გარკვეულ ადგილსამყოფელში და შემდგომში ვრცელდება სხვა ადგილებში გარემო პირობების შესაბამისად.

არსებობისათვის ბრძოლაში ევოლუციას განიცდის პოპულაცია, რომელშიც თანდათანობით იზრდება მისი შემადგენელი ინდივიდების ნიშან-თვისებების დაშორება, რასაც დარვინმა დივერგენცია უწოდა. ჯერ იწყება სახეობის შიგნით ახალი სახესხვაობების საწყისის გაჩენა, შემდეგ კი ხდება სახეობის ახალ სახეობებად დაყოფა. ბუნებრივად გადარჩევის პროცესში გამარჯვებულნი გამოდიან ის ფორმები, რომლებიც უფრო მეტად განსხვავდებიან და ნაკლებ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. ესენია: პოპულაციის განაპირა, ანუ კიდური ფორმები, რაც შეეხება მათ შორის გარდამავალ ანუ შუალედურ ფორმებს, ისინი კონკურენციას ვერ უძლებენ და არსებობისათვის ბრძოლაში შედარებით უფრო ადვილად იღუპებიან. ამის გამო კიდურ ფორმებს შორის განსხვავება კიდევ უფრო მკვეთრი ხდება და საბოლოოდ ისინი ჯერ დამოუკიდებელ სახესხვაობად, ხოლო შემდგომ ახალ სახეობად ყალიბდებიან.

ჩ. დარვინის მიხედვით თითოეული სახეობის წარმოშობაში თავდაპირველად ერთი ცენტრის არსებობა არის მისი ბუნებრივი ისტორიული განვითარების კანონზომიერება.

აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი, რომელიც იზიარებდა დარვინის დებულების სახეობათა წარმოშობაში ერთიანი ცენტრის არსებობაზე, ამტკიცებდა, რომ მოშინაურებულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების წარმოშობის ცენტრი მდებარეობს დედამიწის მთაგორიან, დანაწევრებულ რელიეფიან სუბტროპიკულ ზონებში, სადაც მათი არსებობისათვის ხელსაყრელი პირობებია. ამ ცენტრებში დიდია ორგანიზმის მემკვიდრული ცვალებადობის ინტენსიურობა და ბუნებრივი შერჩევის ზეგავლენა. ერთ-ერთ ასეთ ადგილად იგი მიიჩნევდა ამიერკავკასიის სუბტროპიკულ რეგიონს.

მეფუტკრეობაში დიდ ავტორიტეტად მიჩნეული პროფესორის ნ. მელნიჩენკოს აზრით, სწორედ, ამერკავკასიის სუბტროპიკული რეგიონი უნდა ყოფილიყო ის პირველი მსოფლიოს ცენტრი, სადაც მრავალი მილიონი წლის წინ ფუტკრისებრთა ოჯახში ახლად ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის მწერის, თაფლის შემგროვებელი ფუტკრის ახალი სახეობა პის მელლიფერა. ამ ვერსიის დასამოწმებლად

პროფესორს მოჰყავს ის ფაქტი, რომ ამერკავკასია შედარებით ახლოს მდებარეობს ინდოეთის სუბტროპიკულ და ტროპიკულ რეგიონებთან, რომელთა ტეროტორიაზე ამჟამად მოშინაურებული ჰყავთ და ველურ პირობებში ბინადრობს თაფლის შემგროვებელი ფუტკრის სახეობასთან ახლოს მდგომი ინდოეთის საშუალო ფუტკრის სახეობა. პის ინდიცა (აპინდიკა), რომელიც ცერანას სახელითაც არის ცნობილი.

ნ. მელნაჩენკოს აზრით არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ინდოეთის ტროპიკული და სუბტროპიკული რეგიონი ჩაითვალოს ფუტკრისებრთა მთელი ოჯახის პიდეა-ს წარმოშობის პირველად მსოფლიო ცენტრად. აქედან წარმოიქმნა ის პირველი პოპულაცია, რომელიც ბუნებრივი შერჩევისა და დივერგენციის გზით გარდაიქმნა ერთ-ერთ ადგილობრივ სახესხვაობად. იგი ბუნებრივი გადაადგილების გზით ვრცელდებოდა ინდოეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (ირანისა და ავღანეთის ოაზისების გავლით) ამიერკავკასიის რეგიონისაკენ. აქ დასახლებული პირველი გეოგრაფიული ნაირსახეობის ფუტკრები აქაური ბუნებრივი პირობების ზემოქმედებით უფრო სრულყოფილი ხდებოდნენ და თანდათანობით ბუნებრივი შერჩევის გზით თანამედროვე თაფლის შემგროვებელი ფუტკრის პის მელლიფერა („აპის მელიფერა“) სახეობად გადაიქცნენ. ამ სახეობამ თავისი შემდგომი განვითარებისა და გამრავლებისათვის ამიერკავკასიის სუბტროპიკული ზონის ხელსაყრელ პირობებში იწყო სწრაფი გამრავლება და ნაირსახეობის წარმოქმნა, რომლებიც ბუნებრივი ნაყრიანობის გზით ვრცელდებოდნენ ამიერკავკასიის რეგიონის ფარგლებს გარეთ.

ამიერკავკასიიდან ფუტკრის ნაირსახეობების გავრცელება ხდებოდა სხვადასხვა მიმართულებით: ჩრდილო-დასავლეთით ტყიან და ტყეველიან რაიონებში, რუსეთსა და უკრაინაში, კარპატების გავლით დასავლეთ ევროპის მთისა და ბარის რაიონებში, მათ შორის ძველი საბერძნეთის და რომის ტერიტორიაზე, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ირანის, თურქეთის და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. შემდეგ აფრიკის ტერიტორიაზე, მათ შორის ძველ ეგვიპტეშიც. ეს პროცესი მიმდინარეობდა ფუტკრის მოშინაურებამდე მრავალი ათასი წლის წინათ. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ფუტკრის ნაირსახეობის ის ნაწილი, რომელიც ხვდებოდა გადაადგილების პროცესში უდაბნოების გვალვიან და მცხუნვარე პირობებში, მთლიანად გადაშენდა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შუა აზიის რესპუბლიკაში თაფლის შემგროვებელი ფუტკრები არსებობენ მას შემდეგ, რაც ადამიანმა მე-XVIII-ე საუკუნეში რუსეთის ევროპული ნაწილიდან შემოიყვანა და მოაშენა. ასევე სავარაუდოა, რომ ირანის ტერიტორიაზე არსებული ფუტკარი ამერკავკასიიდან უნდა იყოს გავრცელებული.

უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ვერსია იმის შესახებ, თითქოს თაფლის შემგროვებელი ფუტკარი ამიერკავკასიაში გავრცელებულიყოს საბერძნეთიდან ან ეგვიპტიდან შემოყვანის შემდეგ. სინამდვილეში ამეიერკავკასიის მოსახლეობა ფუტკრის მოშენებას მისდევდა ათასეული წლით ადრე, ვიდრე აქ გამოჩნდებოდნენ უცხოელი ვაჭრები და კოლონიზატორები.

ამიერკავკასიის სუბტროპიკული რეგიონის ტერიტორიაზე ბინადრობს თაფლის მომცემი ფუტკრის „აპის მელიფერას“ მრავალი სახესხვაობა და პოპულაცია. ასეთი სიმრავლე სხვაგან არსად გვხვდება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწორედ ეს რეგიონი უნდა ჩაითვალოს თაფლის მომცემი ფუტკრის სახეობის წარმოშობის პირველ კერად. ამ შედარებით პატარა ტერიტორიაზე გავრცელებული ფუტკრის ბიოლოგიური და ექსტერიერული ნიშან-თვისებების დინამიკა იმდენად დიდია, რომ ძნელად თუ მოიძებნება სადმე ისეთი საფუტკრეები, სადაც ყველა ოჯახში თავისი ნიშან-თვისებებით ერთნაირი იყოს მუშა, დედა და მამალი ფუტკარი. ამასთან ერთად ცვალებადობის ასეთი დინამიკის პირობებში მათი მთლიანობა ცალკეულ ნაირსახეობებსა და პოპულაციებში მაინც არ ირღვევა.

ამის მკაფიო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ბინადრობს აბორიგენული ჯიში, მთის რუხი ქართული ფუტკარი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მრავალ გეოგრაფიულ პოპულაციას (მეგრული, აფხაზური, გურული, ქართლური და სხვა). მიზეზი იმისა, რომ საქართველოში (ამიერკავკასიის სუბტროპიკულ რეგიონებში) არსებობს ქართული ფუტკრის მრავალი პოპულაცია, განპირობებული იმით, რომ შედარებით პატარა ტერიტორია ხასიათდება ძალზე მკვეთრად განსხვავებული და ცვალებადი კლიმატური, ეკოლოგიური და სხვა მრავალი პირობებით, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან ბუნებაში ფუტკრის საარსებო ხელსაყრელ ოპტიმალურ საშუალებებს.

ალპური საძოვრების ღრმა სანექტრეებიანი თაფლოვანი მცენარეების სიუხვე, გაზაფხულზე ხანგრძლივი წვიმების, ზაფხულში გვალვა, ხან გაუთავებელი წვიმები, ღამით დაბალი ტემპერატურა, ნოტიო და ხანგრძლივი ზამთარი მთაში და საერთოდ ძალზე ცვალებადი კლიმატი ის პირობებია, რომლებმაც ბუნებრივი შერჩევის გზით წარმოქმნა ის სამეურნეო-სასარგებლო ნიშან-თვისებები, რომელთა მეშვეობითაც ქართულმა ფუტკარმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ქართული ფუტკრის ჯიშობრივი სიწმინდის დაცვისათვის საქართველოს ტერიტორია 1958 წლიდან გამოცხადებულია ნაკრძალად.

ქართული ფუტკრის, ამ მსოფლიო მნიშვნელობის გენოფონდის შენარჩუნებას და სრულყოფას განუწყვეტლივ ესაჭიროება ხელშეწყობა და სახელმწიფოებრივი დაცვა.

ბუდუ მურუსიძე

ქართული ფუტკარი ეროვნული სიმდიდრეა

ტამაზ თავართქილაძე

იმ ქვეყნებში, სადაც მეფუტკრეობას როგორც ერთ-ერთ უძველეს და შემოსავლიან დარგს პატივისცემით ეპყრობიან, წარმატებებს აღწევენ. საქართველოში უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიუხედავად, მას ყურადღებას არ აქცევენ. ქართველი ერი ბუნების ნაჩუქარ ფუტკარს მიიჩნევდა როგორც ღვთიურ მწერს, ამიტომ განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. უკონტროლობისა და დარგისადმი არაპროფესიონალური მიდგომის გამო შესაძლოა ქვეყანამ დაკარგოს მსოფლიო გენოფონდის კუთვნილება – ქართული ფუტკარი და მისი ცალკეული პოპულაციები.

რამაზ თავართქილაძე *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათში დაიბადა, საშუალო სკოლა დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში წავიდა. გურიაში ხუმრობით შინმოუსვლელს ეძახიან. თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტი დაამთავრა. ვეტ-ექიმმა 22 წელი გარდაბნის რაიონში იმუშავა. აზერბაიჯანელებთან საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა. შემდეგ დააწინაურეს და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 22 წელი აპარატში დაინიშნა, მეცხოველეობის აპარატში სამმართველოს უფროსის მოადგილე და უფროსი იყო.*

– მეფუტკრეობა მეცხოველეობის დარგში შედის, როგორ ვითარდებოდა ეს სფერო?

– სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეფუტკრეობის დარგის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობდა. 1966 წელს შეიქმნა საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი. 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ დარგი განადგურდა. გაუქმდა მეფუტკრეობის ინსტიტუტი.

– რა თვისებებით გამოირჩევა თაფლი?

– ყველა თაფლი სამკურნალოა. მასში ბევრი მიკროელემენტი, ვიტამინი არის, რაც ორგანიზმისთვის აუცილებელია. ზოგიერთი თაფლი უშუალო სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. ასეთია ფათალოს თაფლი (სუროს თაფლს ეძახიან) მარტო ჩვენი კავშირის ფუტკრიდან მზადდება. გარდაბნის ნაკრძალში ახლა სუროს ყვავილობის პერიოდია. იქ გვაქვს საფუტკრე. მეცნიერების კვლევით, მკურნალობს ფილტვებს, თირკმლის უკმარისობას, აზოტი ნორმაში მოჰყავს, ნიკრესის ქარი, უებარია ჭრილობებზე.

– რას საქმიანობს თქვენი კავშირი?

– მეფუტკრეთა კავშირის დამსახურებით, ჩვენთან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოდიან, მეფუტკრეობის შემსწავლელ კურსებს გადიან და სწავლობენ.

– რატომ ინტერესდებიან ამ დარგით?

– მთავარი მოტივი მატერიალური შემოსავალია, ეს სფერო უკუგებას სწრაფად იძლევა. ერთ წელიწადში ფუტკარიც შეუძლიათ გაამრავლონ, თაფლი და ფუტკრის პროდუქტები– რძე, შხამი, დინდგელი, ყვავილის მტვერი მიიღონ. 2011 წელს მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარედ ამირჩიეს. საზღვარგარეთ აღვადგინე ურთიერთობა. 2012 წელს კიევში ჩატარდა მსოფლიო კონგრესი, აშშ-ის დაფინანსებით საქართველოდან ორი დეპუტატი მიგვიწვიეს. ჩვენმა კოლეგამ ტომ როლანმა ყველა ხარჯი დაფინანსა. ქართული თაფლი აუქციონზე მოხვდა და 600 დოლარად გაიყიდა. ამერიკელი ჟურნალისტი ჩვენი პროდუქციით დაინტერესდა. ტომმა და მან საქართველოში ჩამოსვლა დაგეგმეს.

– ამ სფეროს განვითარებით დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის სამინისტრო?

– კონგრესზე 110 ქვეყნიდან 11 ათასი დელეგატი მონაწილეობდა, საქართველოდან არცერთი ჟურნალისტი არ იყო.

– ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. საქართველოში წარმოებული პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. რა პროდუქცია უნდა გავიდეს ევროპულ ბაზარზე?

– ღვინო, თაფლი და ფუტკრის პროდუქტები. ევროსტანდარტებზე დაფუძებული ლაბორატორიის შექმნა გადავწყვიტეთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დამამშვიდებელი პასუხი მოგვწერა – ჩვენ შევქმნით და თქვენ მონაწილეობა მიიღეთო.

– საქართველოდან ყოველ წელს კონტრაბანდული გზით 25 მილიონი ლარის თაფლი გადის.

– სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ამ დარგის მიმართ დაინტერესება არ იგრძნობა. სასათბურე მეურნეობებში დმტვერვისთვის ყოველთვის ფუტკარს იყენებდნენ, ის ფლორასა და ფაუნას ინარჩუნებს. ჩინეთში ფუტკარი დაიღუპა, ჩინელები ხელით ამტვერიანებდნენ. ჩვენთან ფულის შოვის მიზნით ბზიკი შემოიყვანეს, რომელიც ფუტკარს ჭამს, ადამიანი თუ დანესტრა, ვერ გადარჩება.

– რა გეგმები გაქვთ?

– ჩვენი წარმომადგენელი კორეაში არის წასული, შეიძლება გავაფორმოთ ხელშეკრულება, დავაინტერესოთ არა მარტო თაფლით, ფუტკრის რძით, ყვავილის მტვერით, სადედით, შხამით, დინდგელით. დღეს, საქართველოში 250 000 ოჯახი ფუტკარი გვყავს, შესაძლოა 500 000-მდე გაიზარდოს. იმედს ვიტოვებთ, ამ დარგს სათანადო ყურადღება მიექცევა და ქართული ფუტკარი გადარჩება.

ლელა სურმავა

ჩვ საიდუმლო დაუმარცს ქუჩუმეაბა ჰიპოკრატეს

ქართული ხალხური მედიცინის ისტორია უძველესი დროიდან მოდის. ჩვ. წ. აღ.-მდე კრიტოს კუნძულზე მრავალათასწლიანი წარსული ჰქონდა. ასევე, მონაცემების მიხედვით, ატლანტიდის ცივილიზაციის დაღუპვის შემდეგ ერთ-ერთი შტო არის კოლხი-იბერიელებია. ამიტომ ისინი გარკვეულ საკრალურ ცოდნას ფლობდნენ, რაც არა მარტო რელიგიას, ყოფა-ცხოვრებასაც ასახავდა, რომლის განუყოფელი ნაწილი მედიცინაც იყო. მის შესახებ ინფორმაციას „ამირანიანის“ და „არგონავტების“ მითებში ამოვიკითხავთ. სამწუხაროდ, სხვა ისტორიული წყაროები დაკარგულია.

თორნიკე აღაშვილი

– ბატონო თორნიკე რატომ დაინტერესდა ჰიპოკრატე შავი ზღვის სანაპიროთი?

– ჰიპოკრატე სწავლობდა ძველ შუმერულ და ეგვიპტურ მედიცინას, რომლებიც თავის ნაშრომში აქვს აღწერილი. მას კოლხური მედიცინაც აინტერესებდა, რადგან ძველი ტრადიციული მედიცინის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ის ორი წელი ცხოვრობდა, მაგრამ ქურუმებმა კოლხური მედიცინის საიდუმლო არ გაანდეს და განაწყენებული წავიდა. რადგან დამალული იყო, ამიტომ ისტორიასაც არ შემორჩა და დაიკარგა.

– მედიცინის სახელწოდება კოლხ მედეას უკავშირდება.

– უძველესი დროიდან კოლხურ მედიცინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გერმანელი ისტორიკოსი, მეცნიერი შპრენგელი მსოფლიო მედიცინის ისტორიას იბერიულ-კოლხური მედიცინით იწყებს. „მედიკო“ ლათინური სიტყვაა, მედეადან მოდის და მკურნალობას ნიშნავს. ტრადიციული მედიცინა სამი ნაწილიდან შედგება – პროფესიონალური ძველი მედიცინა, ეროვნული, რაც ხალხში იყო გავრცელებული და საეკლესიო მედიცინა (სასულიერო პირებმა იცოდნენ). ხალხური მედიცინის შესწავლის დროს გამოიყენებდნენ არა მარტო ხელნაწერით დარჩენილ წყაროებს, არამედ ფოლკლორულ მასალას, რომელიც ხალხში იყო გავრცელებული. ასევე ისტორიულ წყაროებში შემონახულ საეკლესიო მედიცინას.

ზაზა თანასუტელი-ციციშვილი

– როდის დაინტერესდით ქართული ტრადიციული მედიცინის შესწავლით?

– 25 წლის წინ დავიწყეთ შესწავლა, დიდი ყურადღება მივაქციეთ მის თეორიულ-ფილოსოფიურ საკითხებს. ევროპულ მედიცინას განსხვავებული თეორიული საფუძვლები აქვს. რა მნიშვნელობა აქვს თეორიულ-ფილოსოფიურ საფუძვლებს? დასამტკიცებლად მრავალი შრომა მომზადდა. ქართული ტრადიციული მედიცინის აღმოსავლურ სამედიცინო სისტემებთან – ტიბეტური, ჩინური, სპარსული, ინდური, ასევე ჰომეოპათიასთან შედარება მოხდა. რა კავშირი და ანალოგიები იყო მათ შორის. რადგან ობიექტი არის ერთი, ვეცადეთ საერთო ენა მოგვეძებნა. ბევრ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვედით მოხსენებით.

– იპოვეთ კავშირი ძველ ტრადიციულ მედიცინებს შორის?

– რა თქმა უნდა, ამ კავშირის გამოვლენით ჩვენ საერთო საფუძვლებს ვპოულობთ, რაც მედიცინაში ახალ მიმართულებას ანვითარებს, ეს არის ადამიანის ორგანიზმის მიმართ არა ცალკეული, როგორც ევროპულ მედიცინაში არის, არამედ ინდივიდუალური ჰოლისტიკური მიდგომა. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის კონსტიტუციონალური ტიპები, რაც ტრადიციულ სამედიცინო სისტემებს, მათ შორის ქართულსაც ჰქონდა გამოყოფილი. ქართული ტრადიციული მედიცინა სტიქიის მიხედვით – ბალღამისებრი სისხლის და ყვითელი ნაღველის სახით, ოთხ ტიპს გამოჰყოფდა. ეს ოთხი ტიპი რეალურად არსებობს, ის აღწერილია როგორც ჰომეოპათიაში, ასევე აღმოსავლურ ტრადიციულ სამედიცინო სისტემებში. რა თვისებებით ხასიათდებიან ქრონიკული დაავადებებისას, როგორ შეიძლება დიაგნოსტირება და რა მნიშვნელობა აქვს მკურნალობის და ქართული ტრადიციული რეცეპტების ინდივიდუალურად შერჩევის დროს. წამლების გარდა, ხალხურ მედიცი-

ნაში მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრების წესი, როგორ იკვებება, როდის და რა რაოდენობის წყალს იღებს.

– რა რაოდენობის წყალი უნდა მიიღოს?

– ადამიანი თუ ბალღამის ტიპის არის, მისი ორგანიზმი გრილი და ნოტიოა, ბევრი წყალი მავნეა, შესაძლოა მრავალი დაავადება გამოიწვიოს. ასეთმა ტიპმა მინერალური წყლები უნდა დალიოს. სრულიად საპირისპიროა ყვითელი ნაღველის ტიპი, შესაძლოა 3 ლიტრზე მეტი წყალი მიიღოს. არსებობს გარდამავალი ტიპები, წელიწადის 4 სეზონის მიხედვით, გაზაფხულის და ზაფხულის ტიპებს ამ დროს სახსრების ტკივილები, ალერგიული დაავადებები უმწვავდებათ. მათ დიდი წყლის რაოდენობა ესაჭიროებათ, რაც შეეხება შემოდგომისა და ზამთრის ტიპებს, მათთვის ბევრი წყალი საზიანოა.

– ტრადიციული მედიცინის წამლებით მკურნალობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტას.

– ოთხივე ტიპს ინდივიდუალური დიეტა უნდა დაენიშნოს. ზამთრის ტიპი (სპარსულად ბალღამი) საჭიროებს წიწაკიან და მარილიან საკვებს, ნაკელები სითხე და მჟავე, ნაკლებად კალორიული. ზაფხულის ტიპმა უნდა მიიღოს გრილი და მჟავე საკვები. გაზაფხულის ტიპმა უნდა შეზღუდოს ხილი. შემოდგომის ტიპისთვის სასარგებლოა ცხიმიანი და კალორიული საკვები. დიეტა ინდივიდუალურად უნდა დაინიშნოს. თანამედროვე მედიცინა თუ ძლიერია ურგენტული, მწვავე პროცესების მართვაში, ქრონიკული დაავადებების მკურნალობა მედიკამენტოზურად არ ხდება, ამიტომ ქრონიკული დაავადებების მართვა და მკურნალობა უნდა ვისწავლოთ. ქართული ტრადიციული მედიცინა არა მარტო მინერალური და მცენარეული წამალია, არამედ დიეტაც არის.

– განსაკუთრებით ქალბატონებს ხშირად აქვთ ქოლესტერინის მომატების პრობლემა.

– სისხლში ქოლესტერინი შეიძლება მაღალი იყოს, მაგრამ ქოლესტერინის ჩალაგება გულის ან ტვინის სისხლძარღვებში მარტო მაშინ ხდება, თუ იქ არის ანთება – ენდარტერიტი. რასაც სხვა მიზეზი აქვს, ჩვენ საკვებში, მცენარეულ ზეთებში ჭარბი რაოდენობით არის ომეგა 6 ტიპის ცხიმები. ნახშირწყლების გარდაქმნა ცხიმებით ორგანიზმში ანთებით პროცესებს, დიეტოლოგების მიერ დანიშნული ცხიმგამოცლილი საკვები, ათეროსკლეროზს და სხვა დაავადებებს იწვევს. მთავარია, ნატურალური საკვები მივიღოთ, რა თქმა უნდა, თევზი და ცხოველური პროდუქტები, რაც სიცოცხლის ხანგრძლივობას გაზრდის.

დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის თვისებებს, საქართველოს მაღალი ხარისხის წყალი აქვს. მიწისქვეშა არტეზიული წყლები ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

– ყველა ქვეყანა ეწევა წყლის ექსპორტს, რატომ კარგავს საქართველო ასეთ შემოსავალს?

– ქვეყანამ წყლის ინდუსტირია კარგად რომ ააწყოს და მიწისქვეშა წყლები გაყიდოს, წელიწადში ტრილიარდ დოლარს მიიღებს, 2%-ის ექსპორტი ეკოლოგიურ ზიანს არ მოგვაყენებს. ჰიდროგეოლოგები ამ საკითხზე წლების მანძილზე მუშაობენ, დღეს, მთავრობის წინაშე დასვევს ეს საკითხი. ქვეყანამ სწორი პოლიტიკა უნდა განსაზღვროს. იტალიას და საფრანგეთს ბაზარი ათვისებული აქვთ, იოლად არავის შეუშვებენ. მით უფრო ისეთ ქვეყანას, რომელსაც ევროპის შუა გულში ბევრად მეტი წყლის მარაგი აქვს, რაც მთავარია, მაღალი ხარისხის და ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო.

– რაში გამოიხატება ქართული წყლის უნიკალურობა?

– წყალს ბევრი საინტერესო თვისებები აქვს, რა რაოდენობით შეიცავს მძიმე წყალს – დეიტერს და ტრიტიუმს. ნავთობს შესაძლოა სხვა ალტერნატივა გამოუჩნდეს, წყალი, კი, შეუცვლელია, მსოფლიოში ხარისხიან წყალზე მოთხოვნა თანდათან იზრდება.

– ვინ შეიძლება ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტოს?

– ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს შეუძლია კარგი სტრატეგი იყოს. თუ არასწორად გადაწყდება, ამ სიმდიდრის გამო შესაძლოა სამოქალაქო ომი დაიწყოს, გარეშე მტერმა შემოგვიტიოს. ხოლო სასიკეთო რეზულტატის შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. საქართველოში ყოველდღიურად 300 000 ლიტრი მინერალური წყლები იღვრება. მათი ჩამოსხმა და ექსპორტი დამატებით შემოსავალს მისცემს. ამ საკითხებით საზოგადოების ყურადღება უნდა მივიპყროთ, რაც მთავარია, მედიასაშუალებებმა სწორი პოზიცია დაიკავონ, ასეთ შემთხვევაში ქართული ტრადიციული მედიცინა აღორძინდება და ამ სასიკეთო საქმეში ჩვენ წვლილს შევიტანთ.

ლელა სურმავა

ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობის შეჩერებული პროექტი და მუნიციპალიტეტის მიერ ჩარიცხული უკვალოდ დაკარგული 300 000 ლარი. კომპანია **NBG** თავის ვალდებულებას არ ასრულებს



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲬᲘ ᲗᲝᲯᲘᲜᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡᲘ, ᲤᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘ ᲖᲔᲛᲝ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ ვკითხულობთ: „თოჯა“ – თოჯინა დედოფალა (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ) (253, თბ 1974), სულხან საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს სიტყვა „კუკი”, კაცთ სახე ცუდა(დ) ZAB. ჭუპრა შემზადებულ(ნ)ი კაცთა მსგავსნი (მსგავსი cq) ც. ჭუპრი DE (393; თბ. 1966).

საქართველოში კუკების თეატრი თავისი წარმოდგენისათვის ბიბლიის სიუჟეტებს იყენებდა. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ კუკების ქართულ თეატრში რელიგიური მისტერიების წარმოდგენა წინ უსწრებდა, თუ ამაზე მეტი არა 9 საუკუნით ევროპული მარიონეტების ქრისტიანულ-რელიგიურ დრამებს (487; თბ 1948).

ყოველივეს გათვალისინებით თამამად შეიძლება ითქვას ქართული თოჯინის განვითარების გზა მეტად საინტერესო და საყურადღებოა. გურიაში გართობა-თამაშობა წარმოადგენდა სწავლების ერთ-ერთ ფორმას.

სამწუხაროდ, გურულების ეთნოგრაფიულ დახასიათებას, ნაკლებად ვხვდებით ქართულ მწერლობაში. გურული ყოველ დროს ცდილობდა შრომა შეემსუბუქებინა და ყოველგვარ პირობებში სიამოვნება ენახა. შემოდგომაზე, როგორც ყველგან, ზემო გურიაშიც ძალიან მძიმე იყო მოსავლის დაბინავება. შრომაში მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ, ბავშვები ცდილობდნენ მშობლებს გვერდით ამოდგომოდნენ, ამასთანავე დრო გართობა-თამაშობით გაეტარებინათ. რთველის დროს შექმნილი გურულ უნიკალურ სიმღერებს მშობლები თუ შეიძლება ითქვას „თამაშ-თამაშით“ გადასცემდნენ მომავალ თაობებს.

მეცნიერ-მკვლევარი ნ. ღოღობერიძე აღნიშნავს, რომ გურიას განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს სწავლა-განათლებისადმი ბავშვი შეიქმნება თუ არა 6-7 წლის, მაშინვე სკოლაში აძლევენ. უპირატესობას ანიჭებდნენ ისეთ დარგებს, რომელიც გურიაში განსაკუთრებით იყო ფეხმოკიდებული (144; თბ 1980). ეს იყო მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება, საფეიქრო საქმე, მებოსტნეობა და სხვა ბავშვები მშობლებს ეხმარებოდნენ აბრეშუმის პარკის „დახვეწის“ დროს აგროვებდნენ ნარჩენებს, ცდილობდნენ დედოფალების კეთების დროს გამოეყენებინათ. ასევე მეთამბაქოობის დროს ისინი ფოთლებს კინძავდენენ ერთ სწორ ძაფზე ან მავთულზე, ყოველივეს თამაშის ფორმით აკეთებდნენ, ეუფლებოდნენ კერვის ხელოვნებას და სხვა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გართობა თამაშობანი და რიტუალები შემორჩენილია ეთნოგრაფთა და სხვა მკვლევართა ჩანაწერებში. ვარაუდობდნენ, გაერკვიათ რა უფრო ადრინდელია შრომა თუ თამაშობა, როგორც სხვაგან, გურიაშიც საბავშო თამაშობანი წარმოადგენდა იმპროვიზაციას მოზრდილთა ცხოვრებიდან. ეს განპირობებული იყო იმითი, რომ ბავშვები მცირე ასაკიდან ეხმარებოდნენ მშობლებს საოჯახო საქმიანობაში, მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი შვილები თითქმის დამოუკიდებლად ზრდიდნენ უმცროს და-ძმებს.

გოგონები ძირითადად სწავლობდნენ ჭრა-კერვას, სახლებში ბებიების დახმარებით ამზადებდნენ თოჯინებსა და სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებს, რომლებსაც მოარგებდნენ თამაშს, რომლებსაც ასრულებდნენ მეგობრებთან და და-ძმებთან ერთად.

XVIII საუკუნის დასასრულს საქართველოში ცნობილი ყოფილა ცხენკაცობის თამაშობა მოთამაშენი „ხეებს გაიკრავდნენ ტანზედ და ჩითებს გადააფარებდნენ ცხენებივით თავსა და კისერს ხისაგან გააკეთებდნენ შემოახვევდნენ რასმე და კიდებდნენ წვრილ ზანზალაკებს. მეცნიერთა კვლევებიდან დადგინდა, რომ ცხენკაცობა ძველისძველი თამაშობაა, ასრულებდნენ ყველიერობას „კერპობის დროიდან”, მსგავსი ტიპის თამაშები დადასტურებულია რაჭასა და სამეგრელოში, რომელიც იოანე ბაგრატიონს შეუსწავლია და შეუგროვებია (50; თბ, 1948).

მსგავსი ტიპის თამაში ეგრეთ წოდებული ცხენოსნობა გავრცელებული ყოფილა გურიაში, ჯოხზე გადამჯდარი პატარა ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დათქმულ ადგილამდე მისვლაში და ამასობაში ისეთ წვრთანასაც გადიოდნენ, რომ ცნობილი მოჯირითეები ხდებოდნენ. ამ თამაშთან დაკავშირებით გურიაში შეიქმნა ლეგენდა „როგორ გაჩნდნენ ქართველები სტამბულში”, გურული და ეშმაკი ერთმანეთს „ცხენობიაში“ შეეჯიბრებიან; თან მღეროდნენ, სტამბულამდე ჩასულან. ეშმაკს გურული მიუტოვებია და უკან დაბრუნებულა. 1923 წელს საქართველოში სტუმრად მყოფ ფერეიდნელ ქართველს სეიფულა იოსელიანს საზოგადოებისთვის გაუცნია, რომ „პატარძლის მოყვანის დროს მაყრები გადავაჯდებით ჯოხების ცხენებს და ეზოში დავაჭენებთო“ (138; 1980).

ბავშვები თვითონ იკეთებდნენ სათამაშოებს, უმთავრესად ჩალის ღეროსაგან: მშვილდისარს, შურდულს, საბზრიალას, დედოფალას, სამეურნეო დანიშნულების სახვადასხვა საგნებს, ჩიტის დასაჭერ მახეებს, აგებდნენ სათამაშო წისქვილებს, პატარა ოდა სახლებს და სხვა (153; თბ: 1980).

მშობლებიც ცდილობდნენ შვილებს ისეთი თამაშით

გაეტარებინათ დრო, რომელიც შემდეგ მათ ცხოვრებაში სირთულეების დაძლევაში დაეხმარეობდათ (იგულისხმება ტყვეთა ტაცების პერიოდი, გატაცებულს გაჭირვებისათვის გაეძლო და დასხლეტოდა მტერს).

მკვლევართა მოსაზრებით თამაშთა გავლენა ჩანს ამ კუთხის მცხოვრებთა ხასიათზედაც. გურულები მოქნილები, ცქვიტები, გამბედავები, საზრიანები, გონებამახვილები არიან ამ თვისებათა ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო გურულებისათვის საყვარელმა თამაშებმაც. გართობა-შეჯიბრება ვაჟის ფიზიკურ წვრთნას ემსახურებოდა მარგალიტად: წონასწორობა, თითის, ფრჩხილის „წკიპირტი", ბეჭის გატეხვა ცერზე, „კენწლობიე" ფეხით, ჯოხით, უმოძრაო კაცის აყვანა, მჯიღის გახსნა, მუშტებით აყვანა, „მკლავაყვანიე", ფოთლის გატკლეცა, ცურაობა, „ჩორხიალი" და სხვა (131; თბ: 1980).

გოგონები ძირითადად ერთობოდნენ დედოფალებით, რომლებსაც აკეთებდნენ ხისას, ნაჭრებისას, უმთავრესად კი ჩალის ღეროსაგან, თვალების მაგიერ ჩაუდგამდნენ წილობიეს ან ნახშირს. ტუჩებზედ ამ მასალას ხმარობდნენ. თმად აბრეშუმის ჭიის ნაწეს ან სიმინდის ფუჩეჩს უკეთებდნენ. თავზე დაადგამდნენ ხოლმე ან ნაჭრებისაგან შეკერილს ან თიხისაგან გამოძერწილ ქუდს. დედოფალას ხან ქორწილს უმართვადნენ, ხან დღეობას, ხან დაიტირებდნენ და სხვა(147; თბ: 1980).

XVII საუკუნიდან საქართველოში თოჯინის აღმნიშვნელად კუკსა და ჭუპრს ხმარობენ. ხალხში დაცულ ბავშვის სათამაშო თოჯინის აღმნიშვნელ სახელებად ჩანს: კუკი, ჭუპრა, ძონძი-კუკუ (კახეთი სოფ. საბუე), ტიკინა-ტუკნია (ქართლი), შვილუკა (ხევსურეთი, ზემო რაჭა), დედოფალ დიოფალა (რაჭა), გუგა (თუშეთი), სამეგრელოში გუგას უწოდებენ ნაქუჩელას, რისგანაც თოჯინას ამზადებენ (450; თბ. 1948).

მსახიობ სერგი ცაგარეიშვილის მონათხრობიდან ჩანს კახეთში სოფელ შილდაში „როდესაც გვალვიანი დღეები დადგებოდა, ძველად სოფლელებს გამოჰყავდათ ხელზე წამოგებული ორი თოჯინა „გელიოსი" და „მარო", რომლებსაც წყალს ასხამდნენ და ლოცვებს ამბობდნენ" (460; თბ. 1948).

გაზაფხულის დღესასწაულ ბერიკობაში, რომელიც XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს, მოთამაშეებთან ერთად კუკიც მონაწილეობდა, ის მწყემსის ტანსაცმლით იყო მორთული. ბერიკების ნიღბების რკალზე ზოგჯერ თოჯინებიც იყო დაკიდებული.

ნ. მარის განმარტებით მესტიაში „განსაკუთრებულ როლს თამაშობს მესტიაში ალიკაპამოდებული ხახადარებული ლომის ფიგურა, დამზადებულია აბრეშუმისაგან, როცა ჰაერით ივსება და იბერება სკულპტურული ნაწარმოების სახეს ღებულობს მიმაგრებულია ჯოხის ტარზე და დაცულია ადგილობრივ ეკლესიაში, ერთ-ერთი მხედარი იღებს მას და ცხენს მიაჭენებს, „ლომი" ჰაერით იბერება და ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებს, უკან მიჰყვება ასევე ჭენებით 10-15 მხედარი 2-3 ჯერ გაიჯირითებენ და ისევ ეკლესიაში ინახავენ (476; თბ. 1948).

სვანეთში მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ „კათხტაბაკობას" ან, კონჩხობობას" იხდიდნენ სუფრას რომ გააწყობდნენ „სუფრის ბოლოს საპატიო სკამზე წამოსკუპებულია რაღაც არაჩვეულებრივი არსება, როცა კარგად დაუკვირდებით კრივისათვის ჩაუცმევიათ ჩოხა-ახალუხი, გვერდით აუყუდიათ თოფი ურომლისოდაც სვანი არ გაივლის. მუჯირო, ქამარ-ხანჯალი, ჩოხა-ახალუხი ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლისათვის არის მოწყობილი ეს „კათხტაბაკობას" ან, კონჩხობობას".

ხევში კვირეღვთისშვილის ხატში (სოფ. თხლეშე) ციხე-კოშკის ნანგრევში არის ქალის კუკი სიმაღლით 0,54 მ. რომელსაც აცვია თეთრი სამოსი მოკაზმულია მძივებით, ბეჭდებით, საყურეებითა და ზანზალაკებით. დღესასწაულებს აწყობენ ქალები ამაღლების წინა დღეს. მლოცველი ქალები კვირეღვთისშვილის სთხოვდნენ შვილიანობას, ჯანმრთელობას, უშვილო ქალები კერპს სწირავდნენ თოჯინებს.

აფხაზებსა და ქართველებს, კახელებსა და აჭარლებს აქვთ წეს-ჩვეულება გვალვის დროს, წვიმის გამოწვევის მიზნით აბანაონ თოჯინა. წესს მხოლოდ ქალები და ქალიშვილები ასრულებენ მდინარეში ხტებიან ტანსაცმლიანად თოჯინასთან ერთად (478; თბ. 1948).

ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცულია, რამდენიმე წერილობითი მასალა მარო კალანდაძის ჩანაწერი: „წითელა და წითურა ბატონები მძიმე ავადმყოფობა იყო, მარა ბავშვებს გვიხაროდა, ნენე პატარა ტომრებს გატენიდა თივით, ჩამოაცმევდა წითელ კაბას, თავის ფორმას თუ პატარა ღილები ჰქონდა თვალებად დაამაგრებდა, ნახშირით მოხატავდა და საწოლთან დაგვისვამდა. ზოგჯერ მეზობლის ქალებსაც მოჰქონდათ, რავაც დედაჩემმა იცოდა სხვისას წაღება. ამ დროს დამზადებულ თოჯინას განსაკუთრებით ყურადღებით ვექცეოდით, ბატონი რომ არ გაბრაზებულიყო და უკან აღარ შეგვყროდა". განსაკუთრებით გვიყვარდა, ასევე ჭიაკოკონობა (15 თებერვალი) ამ დღისთვის ვემზადებოდით განსაკუთრებით მამა შეშას აგროვებდა სახლის წინ ცეცხლის დასანთებად, წინასაღამოს „მწარე ხაპისგან" გვიმზადებდა სათამაშო ნიღაბს, რომელიც გრძელ ჯოხზე იყო დამაგრებული პირი და თვალების ადგილი ჰქონდა გამოჭრილი, ცხიმში ამოვლებულ ნაჭრებს ვტენიდით ამოჭრილ ადგილებში და ცეცხლს მოუკიდებდით, ღამე როცა კოცონის დაინთებოდა, სახლს ანთებული სათამაშოთი შემოვუვლიდით და მერე კოცონზე დავაგდებდით (სოფელ ხიდისთავის ისტორია).

სოფელ დაბლაციხეში მცხოვრები ქალბატონი ეთერი ცინცაძე (მარი) იგონებს: სად გვქონდა შვილო სათამშოები, მშობლებსაც არ ეცალათ ჩვენთვის დრო რომ დაეთმოთ, საქმე აუარებელი იყო, ამიტომ ჩვენ ვიკეთებდით თოჯინებს, ბებია-ბაბუები გვეხმარებოდნენ. შემოდგომა გვიხაროდა თოჯინის დასამზადებელი ბევრი მასალა გვქონდა სიმინდის „ქურჩენე" და ფუჩეჩი, გადაჭრილი ჩალის ღერო, ზოგი ნედლი იყო და ზოგი ხმელი ესე იგი ფერები სხვადასხვა იყო და ჩვენს დედოფალას ლამაზი კაბა ეცვა. ფუჩეჩს შევაგროვებდით, დავწნიდით და თმებად ვამაგრებდით. ზოგს გაშლილ თმებს ვუკეთებდით. მერე მეზობლის ბავშვები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს თოჯინებს ვუხდიდით დღეობებს, დაგვყავდა სტუმრად, ვუტარებდით მეცადინეობას.

ნათია კალანდაძე

ნაკაშიძეების საგვარეულო შეკრება ციხისფერდთან

ნაკაშიძე გურიის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარი იყო. ასე ახასიათებს ამ საგვარეულოს ვახუშტი ბატონიშვილი. Barone de principali – **წარჩინებული თავადი** – ასევე იხსენიებს იტალიელი მისიონერი პადრე ჯუდიჩე ვახტანგ პირველი გურიელის (1583-1587) „დარბაზისებრთა“ წარმომადგენელს მამუკა ნაკაშიძეს. ქართველ თავადაზნაურთა გვარების „აღწერაში“ (იოანე ბატონიშვილის დაცული ცნობით), „ნაკაშ‘‘ იყო ბახიჩის ადგილით, დიარბექირის წინამძღუარი და თათართაგან ეწოდა „ნაყაშ“, რადგან მხატვრობა იცოდა. ამის შვილნი მოვიდნენ ქართლსა, მეფემან მიიღო თავად და უბოძა ნაყაშიძობა, მისცა ადგილნი გურიასა და არიან მუნიდგან ნაკაშიძედ წოდებულნი 1231 წლიდან.

ნაკაშიძეები გურიაში XIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლიდან მოსულან, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილი ნაკაშიძეებს გურიის ადგილობრივ, მკვიდრ თავადებად თვლის და ამ ქვეყნის ზოგიერთი თავადური გვარის (ამილახვრები, შარვაშიძეები, თავდგირიძეები) სხვა კუთხეებიდან წარმომავლობაზე მიგვითითებს. გვარის ეტიმოლოგიაზე არსებობს მეცნიერთა სხვა მოსაზრებაც – გვარი ნაკაშიძის ძირია „ნაკა“, რაც მეგრულად „ვაკეს“, „მინდორს“ ნიშნავს. იგი ლაზურ (ჭანურ) კილოკავშიც დასტურდება. ნაკაშიძეთა გვარი დოკუმენტურ წყაროებში XVI-ე საუკუნეში ჩნდება. სათავადოც ამავე საუკუნეში ყალიბდება. გურიაში ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა მდინარე სუფსის ქვემოწელი და მდინარე ნატანების აუზი. სათავადო ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სამაჭუტაძოს, აღმოსავლეთით გურიელების მამულს, ნაგომართან და ბაილეთთან და შალიკაშვილების სამფლობელოს. სამხრეთით ტერიტორია მდინარე ჩოლოქამდე ნაკაშიძეთა ხელში იყო. ზღვაზე – შეკვეთილსა და გრიგოლეთის ნავსაყუდელებს გურიელებთან საზიაროდ ფლობდნენ. ნაკაშიძეების სათავადოს ცენტრი იყო გურიანთა, ციხით, საგვარეულო სასახლით, სასაფლაოთი, სამლოცველოთი, ციხის – ღვთისმშობლის სახელზე ნაგები ეკლესიით, ნაკაშიძეების აკლდამით. სათავადოს ზამთრის სასახლე ვაშნარში იდგა. გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ, ფაქტობრივად, 1828 წლის მიწურულში, ფორმალურად კი 1830 წელს ნაკაშიძეთა სათავადოც გაუქმდა ადმინისტრაციულად. ამ საგვარეულოს წევრები 1837 წლამდე არ გაყრილან. ნაკაშიძეთა სათავადო გურიის სამთავროში ერთ-ერთი წარჩინებული ფეოდალური ერთეული იყო. ისტორიული ქრონიკების მიხედვით, პირველი ცნობილი პიროვნება იყო გვარის მამამთავარი, XVI-ე საუკუნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ვახტანგ პირველი გურიელის დარბაზის კაცი. ასევე გიორგი ნაკაშიძე, ალექსანდრე ნაკაშიძე, ალექსანდრეს ძე მამუკა მეორე, ბეჟან ნაკაშიძე, ბახუტა ნაკაშიძე, მამუკა ნაკაშიძე.

ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

XVIII საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველო, გურიის სამთავრო, ერთი მხრივ – თურქეთის, მეორე მხრივ – რუსეთის იმპერიის ექსპანსიას განიცდის. 1771 წელს ნაკაშიძეებმა სხვა ფეოდალებთან ერთად ერთგულება შეჰფიცეს თურქთა წინააღმდეგ მებრძოლ სოლომონ პირველს. 1811 წელს როდესაც გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოსთან ერთად იძულებით შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში, ქაიხოსრო გურიელმა მტრულად განწყობილმა ბეჟან და კაცო ნაკაშიძეებისადმი, რუსეთის სარდლობას გაუგზავნა მის ხელთ არსებული სოლომონ მეორის ბარათი გაგზავნილი ბეჟანისა და კაცოსათვის. ამ ბარათში ქაიხოსრო ნაკაშიძეთა ანტირუსულ საქმიანობაზე მიუთითებდა. სიმონოვიჩმა – იმერეთის მმართველმა, ნაკაშიძეთა დასასჯელად ჯარი გაგზავნა. ნაკაშიძეები საქართველოში ერთ-ერთი დიდი ფეოდალები იყვნენ. სათავადოში 37 გვარის ყმა-გლეხი, 16 აზნაურის გვარი და 7 სოფელი შედიოდა.

იმპერიის სამხედრო სამსახურში ოფიცრის ჩინში ნაკაშიძეთა საგვარეულოს 30-მდე წარმომადგენელი იღწვოდა. უმაღლესი სამხედრო პირები – ალექსანდრე ნაკაშიძე, მიხეილ ნაკაშიძე, ივანე ნაკაშიძე, მიხეილ ნაკაშიძე.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ მეორე-შვილთა თაობა გონს მოეგო და ილია ჭავჭავაძის თავკაცობით ეროვნული თვითგამორკვევის გზას დაადგა. პუბლიცისტი და მწერალი პეტრე და ილია ნაკაშიძეები, ერმილე და დიმიტრი ნაკაშიძეები, ანტონ ნაკაშიძე.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა კრებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, 1921 წელს რუსეთის წითელმა იმპერიამ საქართველო ხელმეორედ დაიპყრო, ბრძოლებში ქართველ თავადაზნაურთა რჩეული ნაწილი დაიღუპა. ვინც გადარჩა 1924- 1937 წლების რეპრესიებს შეეწირა. ნაწილმა ემიგრაციას შეაფარა თავი. დაწვეს, დაანგრიეს, ნაცარტუტად აქციეს ნაკაშიძეთა ნასახლარები, საოჯახო რელიქვიები: ხატები, ჯვრები გაყიდეს.

მიხეილ ნაკაშიძე ერთ-ერთი დიდი პირველი მეწარმე იყო, მისი ხელშეწყობით დაინერგა საქართველოში ჩაის კულტურის წარმოება. ჩაკვში ააშენა პირველი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, ბაღდადში ჰქონდა ხის გადამამუშავებელი საწარმო. ქველმოქმედი ნიჭიერი ახალგაზრდების უცხოეთში სწავლის საფასურს და სტიპენდიებს უხდიდა.

იორდანე ნაკაშიძე 18 ჭაბურღილის მფლობელი იყო, ბაქოდან ნატანებამდე სავაჭრო ცენტრები მას ეკუთვნოდა, რომელიც კომუნისტებმა ჩამოართვეს. ბოლოს ბათუმის ინტურისტის სასტუმროში ადმინისტრატორად მუშაობდა. მისი ძმა, ნიკიფორე იოსებ სტალინთან მეგობრობა,

1990 წელს 94 წლის ასაკში ნიუ-იორკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ქართველოლოგი, პრაღის, ვარშავის, ბუენოს-აირესის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნაკაშიძე. მისი უკანასკნელი სურვილი ერთი მუჭა ქართული მიწა იყო, რომელიც ახლობლებმა სამშობლოდან ჩაუტანეს და სასაფლაოზე განსვენებულს მოაბნიეს.

ნაკაშიძეთა გვარი, ისევე როგორც ქართველ თავადაზნაურთა სხვა საგვარეულოები, ქართველმა ჩეკისტებმა გადაშენების ზღვარზე მიიყვანეს. გადარჩა მცირედი და რეპრესიების შემდეგ დაბადებულნი – ცნობილი ფსიქიატრი ელენე (ლილი) ნაკაშიძე, ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი მერი ნაკაშიძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ნაკაშიძე.

საქართველო სისხლო ჩემო,
ხორცო ჩემო, ვცოცხლობ შენით
წინაპართა ძვლების დარად,
მჯერა შენი გადარჩენის.

2014 წლის 21 სექტემბერს ქალაქ ოზურგეთში ციხისფერდზე არქიმანდრიტმა მამა მიქაელმა ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ეკლესიაში დილით წირვა-ლოცვა აღავლინა. ნაკაშიძეების გვარის წარმომადგენლები სიძველით გამორჩეულ წმინდა ადგილზე უკვე მეთორმეტე წელი იკრიბებიან. ეკლესია XIV-ე საუკუნით თარიღდება. წირვის დასრულების შემდეგ, იქ სადაც ნაკაშიძეების საზაფხულო რეზიდენცია იყო, ახალმა თაობამ წინაპრების ხსოვნა გააცოცხლეს. გამოქვაბულთან მივიდნენ, სუროშემოხვეული დიდი ქვები მათ წასრულის მოგონებას უღვივებდა, 500 წლოვანი ცაცხვის ხეები ახალგაზრდებს თავადურად დასცქერდნენ. ციხის ნანგრევებიდან ხელისგულივით მოჩანდა ოზურგეთი. მოწმენდილ ცაზე ქალაქ ბათუმის პორტში მდგომი გემის დანახვაც არის შესაძლებელი. ნაკაშიძის გორიდან ლამაზ გურიას მოავლეს თვალი ისტორიულად სტრატეგიულ ადგილას თავი სამყაროს მბრძანებელი გგონია – იხუმრა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ.

შემდეგ ისევ ეკლესიის ეზოში დაბრუნდნენ და საგვარეულო გაერთიანების – საქართველო-უკრაინის ასოციაციის დამფუძნებელს რევაზ ნაკაშიძეს საუბარი მოისმინეს.

– ჩვენი მიზანია ნაკაშიძეების გვარის წარმომადგენლების მოძიება, დროთა განმავლობაში ისინი სხვადასხვა ადგილას მიმოიფანტნენ. ბევრს მივაკვლიეთ, ბოლშევიკებთან მებრძოლ ნიკოლოზ ნაკაშიძის შთამომავლები არგენტინაში მოხვდნენ, დები ჩამოვიდნენ საქართველოში (ჩაწერეთ მათი სახელები). საფრანგეთში მცხოვრები ნიკალა ნაკაშიძე, საშა ნაკაშიძის მამა მფრინავი იყო, ომის დროს ქალაქ ტვერში დასახლდა, საქართველოში აღარ დაბრუნდა. გვექნება ვებგვერდი, სადაც ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე განვათავსებთ ჩვენი საქმიანობის შესახებ.

– ბატონო რეზო სულ მალე მისმა უწმინდესობამ თქვენი გვარი უნდა აკურთხოს.

– საბედნიეროდ, აღდგა გვარის კურთხევის ცერემონიალი, ნოემბერში ჩვენ გვარს აკურთხებს.

– ყოველ წელს თქვენი გვარის წარმომადგენლებს ანგარიშს აბარებთ.

– რა თქმა უნდა, მცირე ქველმოქმედებასაც ვეწევით, შეჭირვებულ ოჯახებს მედიკამენტებით ვეხმარებით, რამდენიმე ოპერაცია გავუკეთეთ. პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი ვარ, მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრი, ათამდე სტატიის და მონოგრაფიის ავტორი, პროფესიულ ორიენტაციაში მოვამზადე ფუნდამენტური ნაშრომი. ქალაქ ბათუმში მაქვს მრავალპროფილიანი კოლეჯი და სკოლა. ჩვენი მიზანია, მომავალ თაობას მივცეთ მაგალითი, თუ საით უნდა წავიდნენ, ქვეყნის სიძლიერე ღირსეული ქართველებზეა დამოკიდებული, გვარიშვილობას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ეს უხილავი კავშირი არ უნდა დავკარგოთ. დღეს, კი ახალგაზრდების მთავარი გამოწვევა ცოდნა და პროფესიონალიზმია, რომელიც ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ უნდა მიიმართოს.

– რა გეგმები გაქვთ?

– ის ფუძე, სადაც ჩვენმა წინაპრებმა დიდი კვალი დატოვეს, უფრო თვალსაჩინო გახდეს, ერთიანი ძალისხმევით ეკლესია გადავხურეთ. ადგილობრივები გვეხმარებოდნენ, რამდენიმე სოფელს სალოცავი ვაჩუქეთ, აქ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან ნაკაშიძეები, ქედის და ხელვაჩაურის რაიონებში მცხოვრებლები მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოექცნენ. გვარს ორი გერბი აქვს, რაც იმის დასტურია, რომ ნაკაშიძეები საკმაოდ ძლიერი გვარი იყო. დავწერთ ღვთისმშობლის ხატს და გვარის კურთხევის დროს მივიტანთ.

რეჟისორი ცოტნე ნაკაშიძე – რეპრესირებულ გვართა შორის ჩვენმა გვარმა დიდი ტკივილი გადაიტანა. გამოქვეყნებული მაქვს სტატია „ვისი გორისა ხარ“, სადაც ჩვენი ისტორიაა აღწერილი. ასეთ წარსულს ახალმა თაობამ დადებითი შედეგებით უნდა უპასუხოს, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს პატიოსნებას, გარჯას, შრომის ფასს და ქვეყნის სიყვარულს ვუქადაგებ. სხვა გვარის წარმომადგენლები აღნიშნავენ – ასე სტაბილურად არცერთი გვარი იკრიბებაო. ჩვენს გვერდით არიან უხუცესი 86 წლის ექიმი-პედიატრი მიხეილ ნაკაშიძე, ასევე ლოტბარი ჯემალ ნაკაშიძე, აქვე არიან ახალგაზრდები, რომლებიც ამ კავშირს სამომავლოდ უფრო გაამყარებენ.

– თქვენ ხელთ გაქვთ ნაკაშიძეების გერბი.

– აქ ოთხი სეგმენია, ორ სეგენტში ნაჩვენებია გურიელთა სამთავროს გვარი და გერბი, ერთ-ერთ სეგმენტში არის ის სამი ყურე, რომლებსაც ნაკაშიძეთა საგვარეულო ფლობდა შავი ზღვის პირზე. ეს ფორმები მთვარეს არ ნიშნავს. ნაკაშიძეებს საჩუქრად ფსალმუნების წიგნები დავურიგე, გვარის კურთხევამდე კანონები უნდა წავიკითხოთ.

– ლოტბარი ჯემალ ნაკაშიძე – ჩემი წინაპრების 9 თაობა ვიცი, 1831 წელს 3 ძმა მაკვანეთიდან წამოვიდა და ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჯვარცხმაში დასახლდა.

ნაკაშიძეების შეკრება დასრულდა, საზაფხულო რეზიდენციის ტერიტორიაზე ისევ ადგილობრივები მივლენ, სასულიერო პირები წირვა-ლოცვას აღავლენენ და ნაკაშიძეების სულებს მოიხსენიებენ, ხოლო მათ შთამომავლებს დღეგრძელობას უსურვებენ.

გაზაფხულზე ნაკაშიძის გორაზე ატმის ყვავილობა ახალი სიცოცხლის დაბადების დასტურია. ქართველებს უყვართ და პატივს სცემენ თავიანთ გვარს, წარმომავლობას. ალბათ, სხვა გვარებიც გამოხატავენ ინტერესს, ჩვენ კი მათ წარსულზე და დღევანდელობაზე მოგიყვებით.

ლელა სურმავა

დათო უღრელიძის პერსონალური გამოფენა

ოზურგეთში თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის სურათების გალერეაში, მხატვარ – დავით უღრელიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო. მხატვრის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 50-დე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. დავით უღრელიძე დაიბადა 1959 წლის 3 მარტს, ქ. ოზურგეთში. ხატვა ბავშვობიდან იტაცებდა. 1972 წელს იაპონიაში ბავშვთა საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მისი ნამუშევარი პრიზით დაჯილდოვდა. იგი თითქმის 20 წელია თურქეთში იმყოფება და ნაყოფიერ შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. მას ჰქონდა 30 პერსონალური გამოფენა თურქეთსა და ბულგარეთში. ძალიან ბედნიერია, რომ ამჯერად მის მშობლიურ კუთხეში ოზურგეთში, პერსონალური გამოფენით წარსდგა საზოგადოების წინაშე.

– დათო, როგორ დაიწყო მხატვრობისადმი შენი გატაცება?

– მამაჩემი მხატვარი გახლდათ და ბავშვობიდან ვუყურებდი როგორი გულმოდგინებით ხატავდა. არქიტექტორობაც მიტაცებდა, ჩემი ნათლია გურამ ხუხუნაიშვილი არქიტექტორი იყო. ძალიან შემაყვარა ეს პროფესია, თუმცა საბოლოოდ მხატვრობამ გადაძლია და სამხატვრო აკადემიაში დაზგურ გრაფიკაზე ჩავაბარე. შესანიშნავი პედაგოგები მასწავლიდნენ. მათ შორის გამოვყოფდი ქალბატონ დინარა ნოდიას, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. სტუდენტობის პერიოდში სისტემატურად ვმონაწილეობდი ჯგუფურ გამოფენებში.

– როგორც ვიცით, აკადემიის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ოზურგეთს დაუბრუნდით.

– დიახ, რამდენიმე წელი ოზურგეთში პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი, ასევე პარალელურად ვმუშაობდი ჩოხატაურის სახალხო თეატრში მხატვრად. შესანიშნავ სცენისმოყვარეებთან ერთად იქმნებოდა საინტერესო წარმოდგენები. რამდენიმე სპექტაკლი გავაფორმე და მიხარია, რომ ჩოხატაურის თეატრის იმ პერიოდის წარმატებებში მეც მიმიძღვის გარკვეული წვლილი. არასოდეს დამავიწყდება კულტურის სახლის მაშინდელი დირექტორის ბონდო ბენდელიანის თავდადებული მუშაობა. მისი ხელმძღვანელობით თეატრში ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა და ჩოხატაურის სახალხო თეატრი ერთ-ერთი მოწინავე იყო რეგიონალურ თეატრებს შორის.

– როდის გადაწყვიტეთ თურქეთში წასვლა?

– საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი თურქეთში გავემგზავრეთ, „ბედის საძებნელად“ და აი, თითქმის 20 წელია თურქეთში, ქალაქ ანკარაში ვცხვრობ, სადაც რამდენიმე სამხატვრო გალერეაში კერძო ახალგაზრდებს გაკვეთილებს ვუტარებ. ასევე ინტესიურად ვმუშაობ შემოქმედებითად და ვმონაწილეობ საერთაშორისო გამოფენებში.

– არ გაგიჭირდა უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრება?

– იცით რა, პრობლემა და წინააღმდეგობა ყველგან და ყოველთვის არის, მაგრამ ღვთის შეწევნით ვცდილობ, წინააღმდეგობები გადავლახო. საერთოდ ხელოვანი სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, უპირველს ყოვლისა, აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს და ეცადოს განთავისუფლდეს გარკვეული ჩარჩოებისგან. ეს ადვილი არ არის, მაგრამ ცოდნით და დიდი შრომით მიიღწევა. მხატვრობა ხომ სულის გამოძახილია, ანუ როცა იგი თავისუფალია, იმას გადმოსცემს, რასაც სული კარნახობს. ამ დროს კი მისი შემოქმედება არის სუფთა და ღირებული.

– გამოფენაზე წარმოდგენილ თქვენს ნამუშევრებში, ძირითადად ქალის პორტრეტები დომინირებს. ისინი რეალური პიროვნებებია თუ წარმოსახვითაა შექმნილი?

– ზოგი რეალურია, ზოგი გრძნობაზე და განცდაზეა დამყარებული. ამ ნამუშევრებში უფრო განცდა შეიძლება დაინახო, ვიდრე პიროვნებები. ალბათ, შემოქმედის მეხსიერებაში განცდა უფრო რჩება, რაც შემდეგ ხელოვნების ნიმუშად შეიძლება მოგვევლინოს. ჩემთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკას, როცა ვმუშაობ, მელოდიაზე ვფიქრობ. ზოგჯერ ეს მელოდია არის მხიარული, ზოგჯერ კი ტრაგიკული... რაც მთავარია, როცა ვხატავ ბედნიერი ვარ. ასევე ბედნიერი ვარ დღეს, როცა ჩემს მშობლიურ ოზურგეთში მოეწყო ჩემი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. სულ მეგონა, ამისთვის ჯერ მზად არ ვიყავი, მაგრამ ჩემი მეგობრის ოზურგეთის გალერეის დირექტორის ავთო თავართქილაძის ძალისხმევით ეს გამოფენა შედგა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. ასევე მადლობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ გამოფენის მოწყობაში. გპირდებით, ჩემი ხალხის წინაშე კვლავ წარვდგები საინტერესო და ღირებული ნამუშევრებით.

დავით უღრელიძეს ვულოცავთ ოზურგეთში პირველ პერსონალურ გამოფენას და მრავალ წარმატებას ვუსურვებთ.

ქეთევან კუკულავა

ბურიას ჩემს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს

სპარტაკ ცინცაძე მეუღლესთან ერთად

საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, სპარტაკ ცინცაძეს თავის მშობლიურ სოფელ ზემოფარცხმაში ვეწვიეთ. საგულდაგულოდ მოვლილ ეზოში კოპწია გურული ოდა დგას. სწორედ, აქ შექმნა მხატვარმა მრავალი ღირებული ნამუშევრები, რომლებიც თავისი ორიგინალობითა და შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. მეუღლემ ქალბატონმა მანანა კობიძემ მხატვრის სამუშაო ოთახში შეგვიპატიჟა, სადაც ბატონი სპარტაკი წიგნის მხატვრულად გაფორმებაზე მუშაობდა. მასთან საუბარი ბავშვობის მოგონებებით დავიწყეთ.

– ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიხსენებ ბავშვობას. მახსოვს, პირველად ბაღში დაგვირიგეს ფანქრები და გვითხრეს რამე დაგვეხატა. დიდი მონდომებით შევუდექი დავალების შესრულებას და ბოსტანში მოფუსფუსე დედაჩემი დავხატე. მასწავლებელმა ძალიან შემაქო და ჩემი ნახატი კედელზე გააკრა. სახლში გახარებული მოვედი. შემიძლია ვთქვა, რომ ეს სიხარული დღემდე მომყვება. სკოლის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ჩემი კლასელები იყვნენ: ჯონი ცინცაძე, ნანა კუჭავა, გოგი გოგოლაძე და სხვა. ხშირად ტარდებოდა სასკოლო ღონისძიებები, ვაკეთებდი კედლის გაზეთებს, რადიო ქსელი გვქონდა სკოლაში და ხშირად ვასრულებდი სიმღერებს ფანდურზე. ვმონაწილეობდი სპექტაკლებში. მეც ვწერდი პიესებს. ერთ-ერთი ჩემი პიესა, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა სკოლაში, გახლდათ „მშვიდობის მტრედები.“ ძალიან სახალისო იყო მე და ოთარ ბერძენიშვილმა, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკაზე ჩვენი დაწერილი ტექსტებით ვიმღერეთ... სკოლის პერიოდში სისტემატურად დავდიოდით მე და ჩემი თანატოლები ჩოხატაურის თეატრში. ჩვენზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსახიობები: ვალოდია მგელაძე, თამარ ჯიხვაძე, ძმები ცინცაძეები და სხვები. მათი გარდასახვის საოცარი უნარი დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

– სკოლის დამთავრების შემდეგ არც დაფიქრებულხართ და სამხატვრო აკადემიას მიაშურეთ.

– დიახ, საბუთები სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე შევიტანე. მისაღებ გამოცდაზე გვითხრეს ტილო გადაგვეჭიმა, ეს პირველად გავაკეთე და ცუდად გამომივიდა. ბატონი უჩა ჯაფარიძე მომიახლოვდა და მითხრა, შვილო ასე ძალიან გაგიჭირდებაო. ერთი სიტყვით იმ წელს ვერ მოვხვდი აკადემიაში და ერთი წელი ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში დავდიოდი თავისუფალ მსმენელად. შემდეგ კი წარმატებით ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე. შესანიშნავი პედაგოგები მასწავლიდნენ. ესენი იყვნენ: ლადო გრიგოლია, ლადო კეშელავა, თემო ყუბანეიშვილი, სერგო ქობულაძე და სხვა.

– როგორც ცნობილია, თქვენი გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც მისაღებ გამოცდაზე შეასრულეთ ისეთ მაღალი დონის იყო, რომ აბიტურიენტებს სანიმუშოდ აჩვენებდნენ, როგორ უნდა დაეხატათ.

– დიახ, ასე იყო, რამაც კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა ჩემში პასუხისმგებლობის გრძნობა და ინტენსიურად ვმუშაობდი, თუმცა სტუდენტობის დროს გამოფენებში მონაწილეობას არ ვღებულობდი, მინდოდა სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ყოფილიყო ჩემი ნახატები. ყოველთვის უკმარისობის გრძნობა მქონდა. აკადემიის დამთავრების შემდეგ კი სისტემატურად ვმონაწილეობდი გამოფენებში. ჩემი ნახატები გამოიფინა, როგორც რუსეთის ასევე საზღვარგარეთის საგამოფენო დარბაზებში.

– თქვენ 40 წელი მუშაობდით გამომცემლობა „მერანში” და უამრავი წიგნი გააფორმეთ.

– დიახ, მართლაც ნაყოფიერად ვიმუშავე. ძალიან საინტერესოა წიგნზე მუშაობა. მარტო გარეკანს რამხელა დატვირთვა აქვს. წიგნი ვიზუალურადაც მიმზიდველი და საინტერესო უნდა იყოს. ძალიან ბევრ მწერალსა და პოეტთან მაქვს შემოქმედებით ურთიერთობა დღემდე. წიგნის გაფორმებისას ავტორის გემოვნებაც უნდა გაითვალისწინო და რა თქმა უნდა, შენი დამოკიდებულებაც უნდა გქონდეს ნაწარმოებისადმი. ამჟამად, ვმუშაობ გამომცემლობა საქართველოს მაცნეს დაკვეთით „ოქროს ბიბლიოთეკის” გაფორმებაზე. სულ მალე დავამთავრებ ტოლსტოის რომანის „ომი და მშვიდობა” მხატვრულ გაფორმებას.

– რა ადგილი აქვს გურიას თქვენს შემოქმედებაში?

– ჩემს შემოქმედებაში გურიას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს. ჩემს გულში და ტვინში მშობლიური კუთხე, ჩემი გურია არის ჩაბეჭდილი. ჩემი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ძირითადად გურული ადმიანების პორტრეტები, გურიის პეიზაჟები, ჩემთვის ძალიან საყვარელი კოპწია ოდა-სახლებია. წელიწადის ნახევარს ჩემს სოფელში, ზემოფარცხმაში და დედულეთში – ერკეთში ვატარებ. მიხარია, ჩემი ოჯახის წევრებსაც რომ უყვართ გურია. მყავს ორი ვაჟი ირაკლი და შოთიკო. ორივე ხატმწერები არიან. ირაკლის 8, ხოლო შოთიკოს 6 შვილი ჰყავს. მახარებს ჩემი 14 შვილიშვილი, მინდა ყველა ქართულ ოჯახებს შვილების სიმრავლე და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო.

– რას ეტყვით გურულებს?

– გურიაში ძალიან ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს. მინდა, რომ ყველა ახალგზარდას მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს თავიანთი უნარები. კიდევ იცით რა, ადამიანს ერთი სიცოცხლე ეძლევა და ეს სიცოცხლე აუცილებლად სიყვარულში უნდა გაატაროს.

ქეთევან კუკულავა

იური შაქარიშვილის შვილიშვილობა მეამაყეა

ნათია ჩიკვილაძე, რომლის დედულეთი ჩოხატაური გახლავთ, წელს თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. თუ რა დამოკიდებულება აქვს გურიასთან და ხელოვნებასთან, ამაზე თავად გვესაუბრება.

– ჩემი ბავშვობის მოგონებები ჩოხატაურით იწყება. ამ არაჩვეულებრივი და კოლორიტული კუთხით. ჩემს მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ის ფოტოები, რომლებსაც თითქმის ყოველ დღე ვხედავდი და მიუხედავად იმისა, რომ პატარა, ვიყავი არასოდეს მბეზრდებოდა მათი ცქერა. დღემდე მოხიბლული ვარ ჩემი ბაბუის – იური შაქარიშვილის მიერ გადაღებული ფოტოებით, რომლებიც ღრმად ვარ დარწმუნებული, არასოდეს დაკარგავს აქტუალობას და რაც დრო გავა, მნახველთა უფრო მეტ დაინტერესებას გამოიწვევს. თითოეული სურათი ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც შემოქმედებითი, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. მე ვამაყობ რომ ასეთი ნიჭიერი ბაბუა მყავდა. ბავშვობაში, როცა მე და ჩემს დებს გვეკითხებოდნენ, თქვენ ვისი ხართო, ამაყად ვპასუხობდით: ჩვენ იური ჩაქარიშვილის შვილიშვილები ვართო და ყველანი რომ იცნობდნენ ჩვენს ბაბუას და გვიღიმოდნენ და გვეფერებოდნენ, ძალიან გვიხაროდა. მადლიერი და ამაყი ვარ იმის გამო, რომ გასულ წელს ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში იური შაქარიშვილის სახელობის ფოტო კონკურსი ჩატარდა, სადაც მთავარი პრიზით, ბაბუას აღზრდილი და კოლეგა გურამ სიხარულიძე დაჯილდოვდა.

– ნათია მსახიობობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი?

– საერთოდ ხელოვნებისადმი სიყვარული ბავშვობიდან მქონდა, ხან დიზაინერობა მინდოდა, ხან ფოტოგრაფობა, ბოლოს მსახიობობაზე გავაკეთე არჩევანი და თეატრისა და კინოს დრამის მსახიობის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ალბათ, იმანაც იქონია გავლენა, რომ ბოლო რამდენიმე წელი თეატრალურ სტუდიაში დავდიოდი, ძალიან კარგი რეჟისორი მყავდა გიორგი გამყრელიძე. იგი ზედმიწევნით ზუსტად გვიხსნიდა თუ რა დანიშნულება აქვს თეატრს. საინტერესოდ გვასწავლიდა, ჩავწვდომოდით პერსონაჟის სულიერ სამყაროს და მართალი სახით წარვმდგარიყავით მაყურებლის წინაშე.

– თეატრალურ უნივერსიტეტში ვინ არის თქვენი ჯგუფის ხელმძღვანელი?

– ძალიან გამიმართლა, მე მოვხვდი ლევან წულაძის ჯგუფში. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი პედაგოგი მეყოლება. ძალიან ძლიერი ბავშვები აბარებდნენ, დარწმუნებული ვარ, საინტერესო სტუდენტობა მექნება.

ნათია ჩიკვილაძე

– მშობლებიდან ხომ არ გქონდა წინააღმედეგობა, როცა მსახიობობა გადაწყვიტე?

– არა, ოჯახის წევრებიდან არავითარი წინააღმდეგობა არ მქონია, ჩემი მშობლები ყოველთვის პატივს სცემენ ჩემს გადაწყვეტილებებს

– ნათია, როგორც ვიცი, ძალიან გიყვარს გურია

– როგორ შეიძლება არ მიყვარდეს გურია, თითქმის ჩოხატაურში გავიზარდე. აქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. მიყვარს გურულების სხარტი იუმორი. საოცრად მხიბლავს ეს არაჩვეულებრივი ბუნება...

ჩოხატაურში ძალიან ბევრი ნიჭიერი შემოქმედი ადამიანია. საოცარი გრძნობა გეუფლება, როცა გურულ ხალხურ სიმღერას უსმენ.

კარგად ვიცნობ ჩოხატაურის თეატრალური ცხოვრების ისტორიას. წაკითხული მაქვს მონოგრაფიები, რომლებიც ჩოხატაურის თეატრის რეჟისორების, მსახიობებისა და მხატვრების შემოქმედებით ბიოგრაფიას ასახავს. არაჩვეულებრივი რეცენზიები იწერებოდა სპექტაკლებზე. მარტო ის რად ღირს, როცა ქართული თეატრის კორიფეები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჩოხატაურელი სცენისმოყვარეების მიერ ბუნებრივად და უშუალოდ შესრულებულ როლებს. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩოხატაურის თეატრს გვერდით დავუდგე და ჩემს მეგობრებთან ერთად მოკრძალებული წვლილი შევიტანო ჩოხატაურის სასცენო ხელოვნების განვითარებაში.

ქეთევან კუკულავა

კაშკაშა მზე გაცილებით საშიშია, ვიდრე გვგონია

ადამიანები, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს მცხუნვარე მზეზე ატარებენ, საკუთარ ჯანმრთელობას დიდ საფრთხეში აგდებენ. ამ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები მიუნხენიდან, რომლებიც „Geo Risk Research" პროექტის ფარგლებში ატარებდნენ კვლევებს.

მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ულტრაიისფერი გამოსხივების შეფასების სადღეისოდ გამოყენებული მეთოდიკა კორექტული არა არის, რადგან იგი გარკვეულ ზედაპირზე მხოლოდ პირდაპირი ულტრაიისფერი სხივების მოქმედებას ითვალისწინებს. ამასთან დახრილი ზედაპირიდან არეკლილი სხივების ზემოქმედებას თითქმის უგულებელყოფენ. შეცდომაც სწორედ ამაშია: როგორც აღმოჩნდა, არეკლილი სხივების იგნორირება არ შეიძლება.

„ადამიანის სხეული ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ მას პრაქტიკულად არ გააჩნია ჰორიზონტალური სიბრტყეები," – განაცხადა კვლევის ავტორმა დოქტორმა პიტერ ჰეპემ – „ამიტომ მასზე მოქმედებენ არა იმდენად მზიდან მომავალი პირდაპირი ულტრაიისფერი სხივები, რამდენადაც სხვადასხვა ზედაპირებიდან არეკლილი და ამ ზემოქმედების უგულვებელყოფა დაუშვებელია".

ასეთები ვართ გურულები...

მიქა ჩხაიძე

მომღერალ ბექა ჩხაიძეს ქართველი მსმენელი კარგად იცნობს, განსაკუთრებულ სიმპათიას ის ქალბატონებში იმსახურებს. ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, მომღერალი უშუალო და პირდაპირია, ამპარტავანობა არ ახასიათებს. ალბათ იმიტომ რომ გურულია. ოზურგეთი მისი საყვარელი ქალაქია. ის დიდი ოჯახი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, საშუალო სკოლა დაამთავრა, კარგი მეგობრები შეიძინა. ადამიანში ყველაზე დადებითი თვისება – თბილი ურთიერთობა ისწავლა. ბექას ბაბუა, ბეგლარ ჩხაიძე პროფესიით ჟურნალისტი იყო, გურიის რეგიონის გაზეთ კომუნისტის სპეკკორესპონდენტად მუშაობდა. ოზურგეთში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ჩხაიძეების ოჯახში ჯემალ ჭკუასელი, ანზორ ერქომაიშვილი და სხვა ცნობილი მომღერლები იკრიბებოდნენ, ბეგლარი მათ სიმღერებში ტოლს არ უდებდა. ბაბუამ შვილიშვილი მომღერალ მიშა შავიშვილთან მიიყვანა. ადამიანი რომელმაც მსოფლიოს გურული სიმღერა გააცნო. ბექა ქართულ ფოლკლორს დაეუფლა. 15 წლის ასაკში თბილისში წამოვიდა, ქართული ხმების სოლისტმა გურამ თამაზაშვილმა ბიჭები შეკრიბა და ანსამბლი **ზარები** შექმნა. ათი მომღერალი გადაანაწილა, ბექა „ძირითად შემადგენლობაში“ მოხვდა. გურამ თამაზაშვილს განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს. მან ლაშა ღლონტს ქალაქური მიმართულება ჩააბარა. ბექა ჩხაიძე, გია დავითიანი, მიშა ჭონიშვილი ლაშასთან ერთად ქალაქურ სიმღერებს ასრულებდნენ. 2000 წელს კვარტეტი **ალილო** შეიქმნა, მომღერლებმა მსმენელის ყურადღება მალე მიიპყრეს. კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის სიმღერაზე – საშობაო ალილო პირველი კლიპი შექმნეს. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით კვარტეტს ალილო დაერქვა. პატრიარქი მათ ხშირად ასაჩუქრებს.

მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, ეს ხომ მონატრების ღამეა, ყველაფერი შენთვის მინდა, შენ თუ მოხვედი, საახალწლო – ამ სიმღერებით არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც გაითქვეს სახელი. ბექამ სოლო კარიერაც დაიწყო, სიმღერები – ***ჩემო ფერია და პატარა ფერია*** ახალი არანჟირებით შეასრულა. კვარტეტი ხშირად მიემგზავრება გასტროლებზე, ესპანეთში საქართველო კარგად წარადგინეს, ესპანეთის დედოფლის მოწონება დაიმსახურეს.

გურულების ენაკვიმატობა საქვეყნოდ ცნობილია, ბექამ რამდენიმე კურიოზი მოგვიყვა. ოზურგეთელი ბენო ურუშაძე ავად გახდა, სამეგობრო თავს ევლებოდა, როცა მომჯობინდა და საავადმყოფოდან გამოიყვანეს, ერთ-ერთმა მეზობელმა უთხრა – ხახუტა ღლონტმა ერთხელ არ გნახაო. ხახუტა ბენოს სახლში ესტუმრა, მეგობარმა უთხრა – გარდაცვალების შემდეგ ოჯახს შენს იმედზე ვტოვებდი, როგორ არ მოდი საავადმყოფოში? არ მეგონა, თუ გადარჩებოდი, თორემ როგორ არ ვნახავდი მეგობარსო?!. მაკვანეთში პუტკუნია მეზობლის ეზოში ჩადის, დაბმულმა ავმა ძაღლმა აიწყვიტა და სტუმარს კბენა დაუწყო. ოჯახის ქალი გამოვიდა, ძაღლს ქვა ესროლა და ამ კაცს მოხვდა, შემდეგ სკამი ესროლა და ისევ ამ კაცს მოხვდა. ხმაურზე მეზობელი მივიდა, და ჰკითხა, რა გიშველო? – ეს ქალი მომაშორე და ამ ძაღლს გავგუდავო. ასეთები ვართ გურულები. დარწმუნებული ვარ „კარგი გურულები“ თავისი კუთხისთვის თავს არ დაზოგავენ – ამბობს მომღერალი და საყვარელ ოზურგეთს წინსვლას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უსერვებს.

ნატალია შარაშენიძე

მიქა ჩხაიძე, მიშა ჭონიშვილი, ხახა ამაშიძე, გია დავითიანი და ლაშა ღლონტი

გურული ქალების რამდენი პროცენტი მიიჩნევს თავს ძალადობის მსხვერპლად

ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა ძალადობა განსაკუთრებით ქალთა წინააღმდეგ. ექსპერტები საუბრობენ საზოგადოების მხრიდან გენდერული თანასწორობის მიმართ ან აგრესიულ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე. ყურადსაღებია, სიმრავლე ქალთა ფსიქოლოგიური აშლილობებისა, სუიციდის მცდელობები და თავად სუიციდები, მოზარდ გოგონებში, განსაკუთრებით რეგიონებში. ძალადობა იღებს ჯაჭვურ მახასიათებელს, რაც საზოგადოებაში არსებული ძლიერ დაძაბული ურთიერთობებისა და დეპრესიული ფონის გაძლიერებაში გამოიხატება. განსაკუთრებით იმატა ძალადობამ ოჯახში ქალთა მიმართ (საგანგაშოა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, ბოლო სამი თვის განმავლობაში დაფიქსირდა ქალის მიმართ ძალადობის 14 შემთხვევა, რომელიც სიკვდილით დასრულდა).

ჯერ კიდევ დაბალია მასიური სამართლებრივი კულტურა და განათლება იმისა, რომ ძალადობა ქალთა მიმართ, ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა. საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, გაეროს ადამიანური განვითარების ანგარიშის 2011 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო 187 ქვეყანას შორის 75-ე ადგილზეა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, „ქალთა ფონდის" მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადარჩენილები მომავლისათვის" (ხელმძღვანელი მაია თავაძე), ძალადობის ღია და ფარული ფორმების შესახებ ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" გასული კვირის ხუთშაბათს წარმოადგინა. კვლევა გურიის რეგიონში, კერძოდ: ქალაქ ოზურგეთში, მასში შემავალ ორ სოფელში (ლიხაური, ნარუჯა) ურეკში და დაბა ჩოხატაურში ჩატარდა. კვლევის შერჩევითმა ერთობლიობამ 350 რესპოდენტი მოიცვა. ასაკი – 15-დან 70-წლამდე (15-18; 18-25; 25-40; 40-55; 55-ზევით). დემოგრაფიული მდგომარეობა (დაქორწინებული; დაუქორწინებელი; განქორწინებული; ქვრივი).

კვლევის მიზანი ადგილობრივი სახელმწიფო და თვითმმართველი ორგანოების გენდერული პოლიტიკით დაინტერესება იყო, საკითხის შემდგომი ლობირებისა და ადვოკატირების მიზნით.

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, გენდერული დამოკიდებულებები რეგიონში ჯერ კიდევ ტრადიციული და სტერეოტიპულია. დაბალია გამოკითხულ ქალთა უმრავლესობის განათლების დონე, როგორც გენდერულ საკითხებში, ასევე ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მეტიც, უმრავლესობას გაგონილიც კი არ აქვს კანონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის შესახებ, განსაკუთრებით სავალალოა სოფლებში მცხოვრები ქალები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ საკუთარ შესაძლებლობებს და უფლებებს, რადგან არ ფლობენ რეალურ ინფორმაციას არსებულ შესაძლებლობებზე. ისინი თავს დაუცველად მიიჩნევენ, რადგან ნაკლები ნდობა აქვთ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ (ჩვენი კვლევის მიხედვით 16%), ხოლო ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციებს (32%), რომლებსაც ფაქტობრივად არ იცნობენ -87%.

აღსანიშნავია, რომ ქალების უმრავლესობა, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ფაქტებისა (ღია თუ ფარული,) თუ ოჯახური კონფლიქტების შესახებ აღიარებას გაურბიან, თუნდაც კონფიდენციალობის ფარგლებში. ისინი მეტად გახსნილნი და თავისუფალნი არიან, როდესაც შეკითხვა მიმართულია იმ ძალადობრივი ფორმების შესახებ, რომელიც დომინირებს მათ საახლობლოში, ან სამეზობლოში. საინტერესო ფაქტია, რომ შეკითხვა: ქალის მიმართ ძალადობის რომელ ფორმებს გამოყოფდით თქვენს ირგვლივ (ნაცნობები, ახლო ნათესავები, მეზობლები)? – ყველა ინტერვიუერის მიერ იქნა პასუხგაცემული, ხოლო შეკითხვა, რომელიც ითხოვდა დაკონკრეტებას საკუთარ ოჯახში ძალადობის ფორმების არსებობის შესახებ, 350 გამოკითხულიდან, მხოლოდ 159 გასცა პასუხი (45%), 55%-მა თავი აარიდა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, ისიც, რომ გამოკითხული ქალების უმრავლესობა არ ფლობს საკუთარ ქონებას. მათი ქონებრივი უფლებები უგულებელყოფილია. რაც საბოლოო ჯამში იწვევს, რომ ქალი რომელიც გათხოვების შემდეგ ხდება ძალადობის მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ბრუნდება მამისეულ სახლში. მას ეუბნებიან, რომ ეს არის ძმის სახლი, ან ოჯახის სხვა წევრის, და მისი როგორც მესაკუთრის წილის მოთხოვნა, არ იქნება ანგარიშგაწეული.

შეკითხვას – განგიცდიათ თუ არა დისკრიმინაცია ოჯახის წევრებისაგან, როგორც ქალს, ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით? – დიახ, პასუხობს რესპოდენტთა-45%, არა-24%, ნაწილობრივ-31%.

როგორც კვლევამ აჩვენა, რეგიონში ასევე ადგილი აქვს ქალის საზოგადოებრივი აქტიურობის შეზღუდვას-33%; ამათგან 25% აქტიურობის მოწინააღმდეგედ მეუღლეს მიიჩნევს. 37% ამბობს, რომ არჩევანში შეუზღუდავია, ნაწილობრივ შეზღუდულია-30%. ქალის მიმართ ასეთი დამოკიდებულების მიზეზად 64% მიიჩნევს ტრადიციას, სტერეოტიპს, რომელიც ქალს აიძულებს იჯდეს სახლში და მიხედოს ოჯახს, 11% მამაკაცის კომპლექსს, ხოლო 25% ქალების პასიურობის მიზეზად სოციალურ გარემოს ასახელებს, რომელიც ქალებს თვითრეალიზების საშუალებას არ აძლევს.

კითხვაზე, ძალადობის რომელი ფორმაა თქვენთვის ყველაზე მძიმე, პროცენტული მაჩვენებელი ასე გადანაწილდა: ცემა-65%; მუქარა, ფსიქოლოგიური ძალადობა-17%; სიტყვიერი შეურაცხყოფა-10%, საზოგადოებასთან ურთიერთობის შეზღუდვა-6%; სექსუალური ძალადობა-2%. ხოლო ყველაზე ხშირ ძალადობის ფორმად იმ სოციუმში, სადაც ცხოვრობენ მიიჩნევენ სიტყვიერ შეურაცხყოფას-51%, ცემას-24%, მუქარა, ფსიქოლოგიურ ძალადობას-17%, საზოგადოებასთან ურთიერთობის შეზღუდვას-7%, სექსუალურ ძალადობას-1%.

ნინო ონიანი

ეკვლესიის ვერანა

– მაინც ვინ ხარ... რას წარმოადგენ.

– ის ვინც ერთხელ უკვე მიწოდე, თანაც ტელევიზიით... საქვეყნოდ.

– ახ, სიმართლის მაძიებელი; და იცი ამისთვის რა გელის? – ნიშნისმოგებით მიმართა ტყემალაძემ

– რაც უნდა მელოდეს მე ყველაფრისთვის მზად ვარ.

– ვერ აიტან, პატიებას მთხოვ, – ვარლამის პასუხებმა ლამის აზროვნების უნარი დაუკარგოს

ტყემლაძეს

– ეგ არასოდეს მოხდება

– გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ... გაჩუმდი, ნუ მესმის შენი ხმა, – ლამის გაგიჟდეს ჯუმბერი. გაგულისებით დასცხო ფეხები მიწას, თითქოს მასზე იყრის მუმლაძეზე ამოსაყრელ ჯავრსო.

– აქვე მორჩი საქმე, – თავისას ადგა ვარლამი

ტყემლაძემ ეჭვიანი მზერა მიაპყრო მშვიდად მოსაუბრეს და გაბზარული ხმით მიუგო,

საცაა დაღამდება, ბნელში გაგვიჭირდება სიარული, სჯობს დღის სინათლეზე – ავიდეთ.

მუმლაძე მოულოდნელად დაჰყვა მის ნებას და მორჩილად გაჰყვა უკან. როგორც იქნა მიაღწიეს დანიშნულების ადგილს. უკაცრიელ ადგილას პატარა ფიცრული შენობა იდგა, რომელიც ჟამთა სვლისგან დაშლის პირას იყო მისული.

ჯუმბერი მოულოდნელად მივარდა ვარლამს, ხელები გაუკრა და კუთხეში მიაგდო.

– მშვენიერი სტუმართმოყვარეობის მაგალითია, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი, აკი მთხოვე, – „გამომყევი“, – მეც ვიფიქრე, საქმისთვის ასე აჯობებს... ამას რომ თავი დავანებოთ, გაიხედე რა სანადირო და სათევზაო ადგილებია... თევზაობა და ნადირობა არ სჯობია ერთმანეთის ჯიბრში დგომას და კაცთა კვლას? – რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დადგა ვარლამი.

– თურმე კარგად არ მცნობიხარ, ტაკიმასხარაც ყოფილხარ სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად

– სხვა რაღა დამრჩენია, მხოლოდ და მხოლოდ მისი წყალობით თუ ძალმიძს არ ვიფიქრო მოსალოდნელ შედეგზე.

– სწორად ვერ სჯი მუმლაძე, მოსალოდნელ კი არა გარდაუვალ შედეგზე.

– თუნდაც, – კვერი დაუკრა ვარლამმა.

– თუ კაცი ხარ ჭკუას მოუხმე.

– მერედა ამით სასჯელი შემიმსუბუქდება? – ჩვეული ტონით მიმართა ვარლამმა და მწარედ ჩაიცინა.

ეს რა სალ კლდეს გადაეყარა; ასეთი ნებისყოფის ადამიანი ჯერ არ შეხვედრია ჯუმბერს. იქნებ ხვდება რომ არაფერს დავუშავებ, მაგრამ როგორ... საიდან უნდა ჰქონდეს ამის იმედი, როცა თითქმის ყოველწუთიერად თავის დანაშაულს ახსენებს. შეუძლებელია ადამიანს მსგავსი განცდა არ ზარავდეს, მითუფრო მუმლაძის მდგომარეობაში მყოფს. საკუთარი თავი წარმოიდგინა მსგავს სიტუაციაში... ცივად შეაჟრჟოლა.

– დაჯექი და მიპასუხე, – უხეშად მიმართა ვარლამს ჯუმბერმა, – რატომ ენას კბილი არ დააჭირე?

– მე რაც განვაცხადე აუცილებლად უნდა გაცხადებულიყო, სხვანაირად არ შემეძლო

– როგორ ბედავ,წერას ჰყავხარ აყვანილი, მაინც რისი იმედი გაქვს?

– სიმართლის...

– ეგ სიმართლეა რომ დაგლუპავს შენ... სიმართლის მაძიებელო... კბილებში გამოსცრა ჯუმბერმა და სწრაფად იბრუნა პირი მუმლაძისგან, ვითარცა ქრისტეს მოციქულმა სატანისგან.

მოულოდნელად მუმლაძემ გულზე იტაცა ხელი, სუნთქვა გაუხშირდა, თვალის უპეები ჩაუმუქდა, იქვე ჩაიმუხლა და ვარლამს მავედრებელი მზერა მიაპყრო.

– ცუდად ვარ ეს ოხერი... მგონი გული მღალატობს,– თითქოს თავისთავს ჩაულაპარაკა ჯუმბერმა.

– ამიშვი ხელები და დაგეხმარები, სხვა მხრივ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

„გაბრიყვდეს და აუშვას ხელები? ეს ხომ მარცხია,საქმის უკუღმა შეტრიალება... არადა ფიქრის დრო არ რჩება ჯუმბერს, ძალიან ცუდათაა, სუნთქვა უჭირს, ცივი ოფლი ასხამს, ცოტა წამალიც არ აქვს... მშვენივრად იცის საკუთარი გულის ამბავი, ჩაედო ჯიბეში საგულე საშუალება... მაგრამ გადაავიწყდა... არეულ გუნებაზე გადაავიწყდა. ახლა რა ქნას... ენდოს? ყოველ შემთხვევისთვის იარაღს მოიმარჯვებს... ცოტას მოითმენს კიდევ, იქნებ მოიკეთოს... მაგრამ მეტი აღარ შეუძლია, მეტის მოთმენა შეუძლებელია,დახმარება უნდა თხოვოს და ხელები აუშვას.

– წყალი, – ამოიხავლა ჯუმბერმა.

– როგორ? – გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩჩა ვარლამმა და თვალების მოძრაობით გაკრულ ხელებზე მიანიშნა.

– აჰა, დაიჭი, – შარვლის მარცხენა ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო ჯუმბერმა და ვარლამს ესროლა, თან იარაღი მოიმარჯვა...

ვარლამს ჩაეცინა და იქვე კუთხეში მიგდებულ თუნუქის ჭურჭელს დაწვდა

– პირდაპირ იარე, პირველსავე ჩასახვევში წყაროს წაანყდები, – მისუსტებული ხმით აუხსნა ჯუმბერმა და ძელსკამზე მიწვა.

ვარლამი მალე დაბრუნდა, აჩქარებულ სუნთქვაზე ეტ-

ყობოდა, რომ ერბინა. წყლით სავსე ჭურჭელი ჯუმბერს მიაწოდა და გამომცდელად მიაჩერდა.

– გასწი იქით ეს ეშმაკის მოციქული, – მოხერხებული მოძრაობით გამოსტაცა ხელიდან იარაღი და განზე მოისროლა...

„ვარლამი კეთილად მოეპყრა, უფრო მეტიც, მას თავისუფლად შეეძლო ჯუმბერის მოკვლა დაგაქცევა, იარაღი ხომ ბოლო წუთებში ბოლოს და ბოლოს მის განკარგულებაში აღმოჩნდა, მაგრამ ვარლამს წუთით არ მოსვლია აზრად მსგავსი რამ თავად როგორღა მოექცეს ამიერიდან... რა ხერხით იმოქმედოს მის მიმართ... სიკეთით უპასუხოს თუ არად ჩააგდოს მისი ნდობა და კვლავ განზრახული გეგმის განხორციელება განაგრძოს?.. მაგრამ ეს ხომ უმადურობა იქნება... ნამდვილი არაკაცობა... როგორც არ უნდა მოიქცეს სასჯელს მაინც ვერ აცდება... ამის შიში სდევს ჯუმბერს... ეს ერთიღა. დარჩენოდა, შურისძიების მიზნით რაღაცით მაინც გაემწარებინა მუმლაძე... იარაღიც მის დასაშინებლად წამოიღო თან, თორემ მოკვლა აზრადაც არ მოსვლია.

– გაიყვანეთ, მოათავეთ საქმე, – ბრძანება გასცა მაღალმა, ჭაღაროსანმა მამაკაცმა და დასძინა: – დაე, დანარჩენებმა მაინც ისწავლონ ჭკუა.

აქამდე ქანდაკებასავით მდგომი სიკვდილმისჯილი უსიცოცხლოდ შეირხა საზარელი განაჩენის მოსმენაზე და გაყინული არაფრისმთქმელი მზერა მიაპყრო თავის სიცოცხლის ხელმყოფს... სიცოცხლე ხომ ღმერთმა გვიბოძა მისივე ნებაა მისი მოშთობაც... მაშ ვის აქვს უფლება საკუთარი სურვილით წინ აღუდგეს ღვთის ნებას?. არავის... ასეთებს თავად ღმერთი გასცემთ პასუხს და სწორედ მაშინ გაახსენდება „მსჯავრდებული“ №3, მაგრამ გვიანღა იქნება თითზე კბენანი... სული მისი ვერ ჰპოვებს ვერანაირ შვებას... მოვა დრო და ეს მტარვალი მთელი სიცხადით შეიცნობს თავის დანაშაულს, რომ არ უნდა ჩაედინა ის, რაც მან ჩაიდინა 199... 14.5. გამთენიის ხანს.

ამ ფიქრებში იყო ჩაძირული, სიკვდილმისჯილი, რომ კვლავ გაისმა ბრძანება, – ვერ გამიგია რას უცდით, გაიყვანეთ, მოათავეთ საქმე.

გაფითრებულ, შეგრძნებისგან დაცლილ სიკვდილმისჯილს ორნი ამოუდგნენ გვერდით მკლავში წვდნენ და ოთახიდან გაიყვანეს – ვინც სიცოცხლის ფასი იცის ბევრს არ ლაპარაკობს, – დააწია მსაჯულმა განსასჯელს, სანამ ისინი თვალს მიეფარებოდნენ სიკვდილმისჯილი შედგა, უკან მოხედა ამ სიტყვების მთქმელს დადანანებით წარმოთქვა:.

– სამაგიეროდ უკეთ ვხვდები სიცოცხლის არარაობას, როცა იგი თქვენნაირებს უპყრია ხელთ დაკიდევ მეტად ვხვდები სიკვდილის ფასს, როცა უკვალოდ არ ტოვებ შენს გავლილ გზას მე იქ დიდება მელის, შენ საუკუნო სასჯელი.

– აჰა – ჰა – ჰა გადაიხარხარა უკანონო მსაჯულმა, – ჭკუაც დაკარგე... თუმცა რა გასაკვირია იმის წინ რაც გელის, გაიყვანეთ, გაიყვანეთ, სანამ მთლად არ გაგიჟებულა, ბევრად უკეთესი იქნება ჭკუათმყოფელი ჩაბარდეს მიქელგაგრიელს, თავად იესო რომ გაარჩიოს სხვა წმინდანებისგან, რომელიც მას საუკუნო ნეტარებას ჰპირდება, ისემც მამა უცხონდება... ა – ჰა – ჰა – ჰა.. –

– ურწმუნო, – ზიზღით ჩაილაპარაკა მსჯავრდებულმა და ბედს დანებდა.

– მამედოვიჩ დაესწრებით? – დაეკითხა ერთ – ერთი ჯალათთაგანი თავის მეთაურს

– არ არის საჭირო. მიდით, დროზე მორჩით საქმეს...

– – მუმლაძე მამედოვიჩ? – დაინტერესდა ახალ და ახალ მსხვერპლს დანატრებული ჯალათი.

– მუმლაძეს ტყემლაძე მიხედავს.

– კი მაგრამ ჩვენ... ჩვენ აქ რას ვაკეთებთ მანედოვიჩ, ეს ჩვენი საქმეა, – აშკარა უკმაყოფილება დაეტყო ჯალათს.

– თავად ისურვა ასე, ჩვენც დავუთმეთ, ეგ არაფერი – თავად უფრო იყრის ჯავრს თავის მტერზე, ამათნაირების მეტი რა გამოჩნდება... ეგ მერამდენეა?

– მესამე... ცოტაა მამედოვიჩ, ცოტა, – ხელი ჩაიქნია ჯალათმა და უხეში ხელისკვრით წინ გაიგდო სიკვდილმისჯილი N3.

ხუთიოდე წუთის შემდეგ დაიქუხა ავტომატმა დაგათავდა ადამიანის სიცოცხლე... გათავდა ძალად... განგებისგან ჩაურევლად..

– რა სჯულის ჯალათები არ არსებობენ..არ მეგონა თუ ქართველი ჯალათებიც არსებობდნენ... – იყო სიკვდილმისჯილის უკანასკნელი სიტყვები.

ერთ-ერთ მათგანს ამ სიტყვების გაგონებაზე ხელში ავტომატი შეეყინა, ზეზეულად გაშრა. მეორეს, რომელსაც სისხლის სუნი სიამოვნებასაც კი ანიჭებდა, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია თქმულისთვის და „ალავერდს“ თანამზრახველთან გადავიდა.

– რაღას უცდი, მორჩი საქმეს.

– არ შემიძლია... რაღაც ვერ ვარ. ხომ ხედავ უჩემოდაც იოლად შეძელი.

– ეგ ხო, მაგრამ საკონტროლო შენზეა, ეგ შენც იცი.

– რაღად უნდა საკონტროლო, მკვდარია კაცი.

– წესია ასე.

– არ შემიძლია-თქო გითხარი...

– რა არ შეგიძლია, იარაღის ფეხის გამოშლა?.

– არ შემიძლია და მომკალი, – დუნედ ჩაილაპარაკა ბიჭმა და თვალი თვალში გაუყარა მკვლელობაზე დანატრებულს. ბიჭი ასე ოცდაორი-ოცდასამი წლის თუ იქნებოდა. კარგად თუ ჩაუკვირდებოდით, მიხვდებოდით, რომ მისი თვალებიდან საოცრად კეთილი მზერა იღვრებოდა,თუმცა შეუსაბამოდ ჩაითვლებოდა კეთილი მზერა და ჯალათის სახელი.

– კარგი მასე იყოს, მაგრამ იცოდე მაყარიჩი არ აგცდება.

– ეგ შენი შემოთავაზების გარეშე მქონდა ჩაფიქრებული. ამ საღამოს შვიდ საათზე რესტორანში გეპატიჟები, მოდის?

– მოდის.

ისინი საღამოს შვიდ საათზე შეხვდნენ ერთმანეთს

ლაშამ და გაიოზმა ჭიქები შეავსეს.

– სიკვდილმისჯილი N3-ის აღსრულების შევსვათ, – სასმელით სავსე ჭიქა ზემოთ ასწია გაიოზმა.

დასაწყისი გურია REGION -ის №7.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ირინა რამიშვილი

რა არის თავისუფლება

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-1905 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ესე იგი რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები, საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის? თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავისთავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი. მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი-ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად,– ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა, დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ძარცვამ გვაფიქრებინა, მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა. ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს ჯერ-ჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვა და სხვა.

არ მინდა ვილოცო, ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ

მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას, შევმუსრო ისინი, როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება, აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა. იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ. მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველო!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავგამოდებით – „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ესე იგი თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი, მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს. მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისთვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან, მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად... და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა. თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა რჩება უბედურების მეტი? – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს. ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტა ხანს, რადგან ცხოვრების ლოგიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს, ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვთქვათ, ბედნიერება – წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაძარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდის დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს. გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც ბედნიერება წაართვეს – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს, შემუსროს თავის დამმონებელნი.

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, რადგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მხოლოდ ამაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო-არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედოს სარჩულად. ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირ ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თვითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება და იმარჯვებს. ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხმება. თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს. თავისუფლების მტაცებლობაზეა ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში, რა თქმა უნდა, ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

თავისუფალი უნდა იყოს არა ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ესე იგი ბედნიერი თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

ვაჟა-ფშაველა

რევაზ ცინცაძის პოეზია

რევაზ ცინცაძე დაიბადა 1997 წლის 7 თებერვალს. მე-9 კლასამდე სოფელ იანეულის სკოლაში სწავლობდ. ამჟამად კი არის ჩოხატაურის ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლე. ლექსების წერა ადრეული ასაკიდან დაიწყო. რევაზი 2012 წლის მედიაპროექტ ეტალონის გამარჯვებულია. საგანმანათლებლო პროექტ „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილების“ კონკურსში დაჯილდოვდა. ასევე არის პირველი ხარისხის კონკურსის „აფრას“ გამარჯვებული. ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ რევაზ ცინცაძის ლექსებს.

საკუთარ თავთან საუბარი

გაზაფხულუ ხარ, წვიმის სურნელით შენ ნაზ ენძელას ათრობ,
შენ ღვთაება ხარ, მე კი სანთელი, ლექსის ნათელით გამკობ,
მე სიბნელე ვარ, შენ კი სინათლე, შენ ოცნებებით დარდობ,
მე არავინ ვარ და ილუზიით ჩემს წეულ ფიქრებს განდობ.

მე ცოცხალი ვარ, მაგრამ სიცოცხლე, ჩემს ლექსს ვერაფრით
ართობს,
აუღებელი ციხესიმაგრე ლექსში სამეფოს ამხობს,
მე ფერები ვარ, შენ ცისარტველა, ლექსი მზის სხივად გათოვს,
შენ სიკეთე ხარ, მე ბოროტება, მაინც ოცნება მახსოვს.

მე ხომ წვიმა ვარ და აკორდები, ისევ გაისმის ცაში,
მე ფრაზები ვარ და სტრიქონები ჩემთან არიან ვალში,
შენ ცრემლები ხარ და ლექსს არ უნდა, ისევ იცხოვროს შენში
ისევ დაგხატე მე ოცნებების უკიდეგანო ზღვაში.

რატომ იცინი, კლდიდან ნასროლო და სანატრელო შხეფო?
რატომ ვერ გპოვე, ვერ ამოგძირკვე, ლექსში შენ ჩემო ფესვო.
რატომ მიყვარხარ, ან რატომ მძულხარ, რატომ მიფეთქავს
გული,
იქნებ დრო იყოს, რომ გაეცალოს ჩემს სხეულს შენი სული.

ბოლო მოეღო ბნელეთის კედლებს და ნამსხვრევებად იქცა,
ცა მოიწმინდა და მოიხატა, მწვანედ ბნელეთის მიწა.
მე სიცრუე ვარ შენ კი სიმართლე, მაინც რა გინდა ჩემგან
ერთი იცოდე არ გეყვარებია, გულო, შენ ჩემზე მეტად.

გაზაფხული ხარ, წვიმის სურნელით შენ ნაზ ენძელას ათრობ
შენ ღვთაება ხარ, მე კი სანთელი ლექსის ნათელით გამკობ,
მე სიბნელე ვარ, შენ კი სინათლე, შენ ოცნებებით დარდობ.
მე არავინ ვარ და ილუზიით ჩემს წეულ ფიქრებს განდობ.

* * *

დღეს სიამაყით აღსავსე გულის დიდებით ვტკბებით,
დიდების მომტან წინაპრებს კი აღარც ვიხსენებთ,
ჩვენ ქართველობის იდეალით ვცხოვრობთ და ვკვდებით
თითქოს დაღლილნი სამშობლოს დაცვით, ახლა ვისვენებთ.

ვიცი სამშობლოვ, ჩვენ ქართველობის ღირსნი ვიქნებით,
ვიცი და მესმის შენი ოხვრა, გულის ტკივილი,
შენზე ფიქრების მე მოგონების წამიც კი მტკივა,
სისხლად მდის ცრემლი შენს წინაშე და გეყვედრები.

შენ გეყვედრები ჩემო მიწავ, ჩემო სამშობლოვ,
მსურს გესახურო, რომ შეეწირო შენს სიდიადეს,
მსურს აზრი მივცე ჩემს სიცოცხლეს რომ გიერთგულო,
მსურს, რომ კრწანისთან შენთვის მებრძოლს მქონდეს სამარე.

შენ გეყვედრები ღვთისმშობელო, ჩემო მფარველო,
შენს წინ ანთია საქართველოს წმინდა სანთელი,
გთხოვ, გაუფრთხილდი არ ჩააქრო, არ დაანელო,
ქართული სული, საქართველოს წმინდა სახელი.

* * *

ჩვენს შორის მანძილი არც ისე დიდია
და ზეცა ფერუცვლელს წააგავს სახატეს,
საღამოს ფერები შენს გულში მიდიან,
რომლებიც შენს სულში ათასჯერ დახატეს.

მოდი და ამგლიჯე ის ღილი,
რომელიც ჩემს სხეულს შენს სულზე ამაგრებს,
მოდი დაგხვდები სიკვდილით დაღლილი
და მაინც სიცოცხლით შეგხვდები აფხაზეთს.

მოდი! გთხოვ, გემახი, გემახი ახლოდან,
არ მითხრა - ადრეა, ადრეა ჯერ არა,
იცი, რომ ჩვენში ხარ, ჩვენს სულის მახლობლად,
ხომ იცი ერთდად თუ გვერქმევა „ქვეყანა”
მოდი გთხოვ, სამშობლოს დავირქვათ სახელი,
არ ვიყოთ ერთურთში სისხლისღვრის მნახველი.
არ გვერქვას „გურული,” „აფხაზი,” „რაჭველი,”
ჩვენ ყველას ერთად, დაგვერქვას -ქართველი.

ვიტამინების დეფიციტი გაზაფხულზე შევივსეთ

ზამთარში ვიტამინებით ღარიბ, ჯალორიულ საკვებს მივირთმევთ – რაციონი უმთავრესად ნოყიერი ჯერძებისა და ტკბილეულისგან შედგება. სამაგიეროდ „გაზაფხული მშიერია" – დღესასწაულებიც ჩავლილია და მარხვაც იწყება. ამიტომ ორგანიზმს ვიტამინებით მდიდარი საკვები სჭირდება.

ისპანახის სასარგებლო თვისებებს გაგაცნობთ, დღეიდან თქვენს რაციონში საპატიო ადგილს დაიკავებს.

ისპანახი ირანულ კულტურად ითვლება. მასში უხვად არის ცილები, ნახშირწყლები, ცხიმები, ორგანული ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავები, სახამებელი, შაქარი, A, E, G, H, K, PP და B ჯგუფის ვიტამინები, ბეტა კაროტინი, 100 გრამ ისპანახში 106 მგ კალციუმი, 774 მგ კალციუმის მარილი, 13 მგ რკინა, 82 მგ მაგნიუმი, 13 მკგ სპილენძი, 0,89 მგ მანგანუმი, 1 მკგ სელენი, 55 მგ C ვიტამინი, 24 მგ ნატრიუმი, 83 მგ ფოსფორი, 0, 53 მგ თუთია, ენერგეტიკული ღირებულება კი სულ 24 კილოკალორიას შეიცავს.

ისპანახი მაღლა სწევს ჰემოგლობინის დონეს, ჟანგბადით ავსებს, ასუფთავებს და მინერალებით ამარაგებს ორგანიზმს, აუმჯობესებს კუჭის ლორწოვანი გარსის მდგომარეობას, ასტიმულირებს ნაწლავთა პერისტალტიკას და მავნე ნივთიერებებს ორგანიზმიდან გამოდევნის (ამის გამო ფრანგები მას „კუჭის ცოცხსაც" უწოდებენ). ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას.

ისპანახი სასარგებლოა ანთების, მაღალი ტემპერატურის, კანის დაავადებებისა და იმუნური სისტემის სისუსტის დროს. მაგნიუმის მარილების შემცველობის წყალობით ის ამცირებს ონკოლოგიურ დაავადებების წარმოშობის ალბათობას.

ნატრიუმის მარილები ამაგრებს ძვლებსა და კბილებს, კარგად მოქმედებს კუნთოვან ქსოვილზეც. ისპანახის წვენის მიღება რეკომენდირებულია მშრალი ხველისა და ბრონქული ასთმის დროს.

ევროპელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ისპანახის შემადგენლობაში მჟაუნას მჟავა კალიუმის მარილებს იერთებს, რის შედეგად თირკმელებში შესაძლოა კენჭები წარმოიქმნას. ვისაც კენჭოვანი დაავადებისკენ აქვს მიდრეკილება, ისპანახის ჭარბი მიღება არ არის სასურველი. ასეთ შემთხვევაში მიირთვით ისპანახი რძის პროდუქტებთან ერთად.

ისპანახი შეიცავს ოქსალატებსა და ფოსფატებს, ამიტომ მისი ჭარბი მიღების დროს შესაძლოა არტერიული წნევა მოგემატოთ. უმი ისპანახი განსაკუთრებით სასარგებლოა.

ნიგვზიანი კერი

ხშირად ამზადებენ ნიგვზიან ისპანახს. გაითვალისწინეთ – ის არცთუ მსუბუქი საკვებია. ძმრითა და ნიგვზით კერძს ერთდროულად ნუ შეაზავებთ. ნურც ლიმონის წვენს დაუმატებთ. ცოტაოდენი სიმჟავისთვის ბროწეულის წვენი მოასხით.

დაგჭირდებათ: 500 გ. ისპანახი, 200 გ. ხახვი, 1 ჭიქა ნიგოზი, 2 კბილი ნიორი, ცოტა ძმარი, ქინძი, ოხრახუში, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

გარეცხილი ისპანახი მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი და წამოადუღეთ. კარგი იქნება თუ ხარშვის დროს ცოტა ქინძს დაუმატებთ. ოდნავ რომ მოიხარშება, გადაწურეთ და დაჭერით.

დანაყეთ ნიგოზი, ნიორი და ქინძი, მარილთან ერთად. დაამატეთ პილპილი, დანაყილი მასა შეურიეთ წვრილად დაჭრილ ხახვს, ქინძს, ოხრახუშსა და ისპანახს. მიღებული მასისგან გააკეთეთ გუნდა, დადეთ ფართო თეფშზე და ისე გააბრტყელეთ, რომ თეფშის ფორმა მისცეთ. ბროწეულის მარცვლებით მორთეთ და სუფრასთან ისე მიიტანეთ.

მოხარშული ისპანახი

ხახვთან ერთად მოშუშული ისპანახი კარგად ინარჩუნებს ვიტამინებს. ამ კერძის მოსამზადებლად ოდნავ მოხარშული 1 კგ. ისპანახი დაგჭირდებათ, ასევე – 2-3 თავი ხახვი, გემოვნებით – მარილი, ოხრახუში და ქინძი.

დაჭერით მოხარშული ისპანახი, ტაფაზე მოასხით ზეთი და დააყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მოაყარეთ მარილი. ოდნავ შეწითლების შემდეგ დაამატეთ დაჭრილი ისპანახი, ერთად მოშუშეთ 5 წუთი დაამატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ქინძი და მარილი.

ისპანახის სალათა

ისპანახი 15-30 წუთი შეუდგით გამდინარე წყალს, შემდეგ გარეცხეთ, მოაშორეთ უხეში ღეროები, ფოთლები დაჭერით. შეაზავეთ ხახვით, კამით, ლიმონის წვენით, მარილით, შეგიძლიათ დაამატოთ წითელი ბულგარული წიწაკა, მცენარეული ზეთი და არაჟანიც.

ისპანახის ხორცსაკეპ მანქანაში გატარება არასასურველია, ამ დროს ნადგურდება C ვიტამინი. უმჯობესია ის დანით დაჭრათ, მოხარშული, კი, ხელით დაძენძოთ.

მკურნალობა პომიდვრით

პომიდვრის მოყვარულნი ნაკლებად ავადდებიან სიმსივნით. დაკვირვებამ აჩვენა: ვინც კვირაში არანაკლებ 10 პომიდორს მიირთმევს, მათი პროსტატიტით დაავადების შესაძლებლობა 45%-ით ნაკლებია დანარჩენებთან შედარებით. ნაყოფი შეიცავს სასარგებლო ნივთიერებას – ლიკოლნს, პიგმენტს, რომელიც პომიდორს აძლევს წითელ ფერს და გარკვეული რაოდენობით ყველა წითელი ფერის ბოსტნეულში შედის. ასე რომ მიირთვით პომიდორი და სიმსივნისგან გარკვეულ წილად დაზღვეულნი იქნებით.

ცოცხა რამ ძილის შესახებ

ღამით არანაკლებ 8 საათი უნდა გვეძინოს, მაგრამ ზოგჯერ ვდგებით დაღლილები, ღონეგამოცლილები. რატომ? მნიშვნელოვანია, როგორ მდგომარეობას ავირჩევთ ძილისთვის. უმჯობესია გამოვიძინოთ ზურგზე მწოლარემ: ამ დროს კუნთების ყველა ჯგუფი მშვიდადაა, თავს კარგად ვგრძნობთ. ეს რჩევა განსაკუთრებით ეხება მათ, ვისაც აწუხებს შაკიკი, რადგან ამ დროს თავის ტვინს გადაეცემა სისხლის ნაკადი. ბალიში უნდა იყოს ბრტყელი და პატარა. თუ გადაიღალეთ მძიმე ფიზიკური შრომით, დაიძინეთ მარცხენა მხარეს. გამოკვლევებმა აჩვენა: რადგან სხეულის მარჯვენა მხარის კუნთები უფრო იტვირთება, სჯობს ძილის დროს დაასვენოთ. ექიმები მუცელზე წოლას ურჩევენ მათ ვისაც დღის განმავლობაში ძირითადად მჯდომარე პოზაში უწევს სამუშაოს შესრულება. თუ გაწუხებთ ღვიძლი დაწექით მარჯვენა მხარეს. ამ მდგომარეობაში უმჯობესდება ნაღვლის გამოყოფა.

☺☺☺

გურული ხუმრობები

გურული ნადირობიდან ბრუნდება, წელზე იხვი ჰკიდია, თვალი დალურჯებული აქვს და შუბლზე კოპი აზის.

– სად მოკალი მაი იხვი, გარეულია? – ეკითხება მეზობელი.

– იხვი არა, გარეული, შინაურია, მარა პატრონი ჰყავდა გარეული და გადარეული.

☺ ☺ ☺

გურულს გოგოს მოსტაცებენ. ეძებენ მთელი დღე. დედა გულშეწუხებული გაიძახის: არ დაღამდებოდეს, არ დაღამდებოდესო, ქმარი მოუბრონდა და ეუბნება – ქალო, რას ბოდიალობ, შენ დღეი ნახმარი ქალი არ გინახია?

☺ ☺ ☺

გურულს და მეგრელს საზიარო ყანა აქვთ. ერთ დღესაც სადილი ჩაიტანა მეგრელის ცოლმა ყანაში სანამ სადილობას დაიწყებდნენ, მეგრელი წყალის მოსატანად წავიდა, რომ დაბრუნდა, რას ხედავს, წაუქცევია გურულს მისი ცოლი და კოცნის.

– ხოხ, ხომ უნდა მოგკლა ახლა მე შენ?

– კი ვარ, ძამა, სასიკვდილო, ჩემს საქმეს დევეთხუე და შენსას ვაკეთებ. – აღიარა გურულმა.

☺ ☺ ☺

გურული ცოლ-ქმარი შეთანხმდება, ქილები ავიღოთ და ვინც რამდენჯერ ვუღალატებთ, თითო ბრინჯის მარცვალი ჩავაგდოთო. უკვე მოხუცები არიან. ქმარი კვდება და სიკვდილის წინ ცოლს ეტყვის – მოდი, შედეგები შევაჯამოთო. ქმრის ქილაში 15 მარცვალი აღმოჩნდება, ცოლს მოუბოდიშებს, მაპატიე, 15-ჯერ რომ გიღალატეო. ცოლის ქილაში კი 5 მარცვალი აღმოჩნდება. ქმარი მაინც მადლობას ეტყვის, 5-ის მეტჯერ რომ არ მიღალატეო.

– მაი, შე აბდალა, მასე არაა, შარშან ხომ გახსოვს ილიკო რომ მოკვდა, ყინვები იყო, ქალაქში ვერ წევიდნენ ბრინჯის საყიდლად და ჩემი დაგროვებული ბრინჯით ფლავი გააკეთესო.

☺ ☺ ☺

პატარა გურულს ეკითხებიან, 5-ჯერ 8 რამდენიაო?

გურული პასუხობს:

– ჯვარი აქოურობას და ორმოცია მაი.

☺ ☺ ☺

გურული გამწარებული სვამს წამლებს. ცოლი ეკითხება; რა იყო, კაცო, ამდენ წამლებს რომ სვამ, ცუდად ხომ არა ხარო.

– არა ქალო, დღეს ვადა გასდის წამლებსო.

☺ ☺ ☺

გურულმა სამკითხაოდ ყავა დალია, მაგრამ ჭიქაში ჩატოვება დაავიწყდა, მთლიანად ამოხვრიპა. სამაგიეროდ ენა გამოყო და დაიძახა:

– მოით, აგერ მიმკითხავეეთ.

☺ ☺ ☺

გურული ეკითხება გამყიდველს:

– რა ღირს აი ქლიბი?

– 20 ლარი

– რა ამბავია, კედელზე მიჯაჭვული ამირანიზა კი არ მინდა.

☺ ☺ ☺

გურული ფეხბურთელი ცოლს ეტრაბახება:

– დღეს ძალიან მაგრად ვითამაშე, ორო გოლი გავიტანე.

– რა კარგია, როგორ დამთავრდა თამაში?

– 1:1

☺ ☺ ☺

გურული რძალ-დედამთილი მეზობელ სოფელში იყვნენ გასვენებაში. გზაში შემოაღამდათ. გზა ტყეზე გადიოდა, სადაც ყაჩაღები დახვდნენ, ორივე გაძარცვეს და გააუპატიურეს. რომ წავიდნენ ყაჩაღები, უყურებს რძალ-დედამთილი ერთმანეთს, აღარ იციან, რა ქნან. ბოლოს დედამთილი მოუბრუნდა რძალს და ეუბნება: შენი არ ვიცი ნენა, მარა ორმოცზე უსიკვდილოდ უნდა წამევიდე.

ქვეყნის ეკონომიკა ერთად უნდა ავაშენოთ

ასკანა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სოფელს სამხრეთით მდინარე გულუფა ჩამოუდის. მისი სახელწოდება ერთი ვერსიით უკავშირდება ღვინის ღმერთ ბახუსის შთამომავალს, ენასის ძე ასკანოსს. ამ მოსაზრებას სიტყვების – ასკანისა და ასკანოსის მსგავსება ამყარებს. ერთ-ერთი ხალხური სიმღერის მიხედვით ყურძნის მოსავლის მფარველი ღვთაება – აგუნას ადგილსამყოფელი ბახვი და ასკანა იყო. სხვა ვერსიებიც არსებობს, სოფლის სახელწოდება ასკანის ციხეს უკავშირდება, რომელიც „ასი კანის" გამოცვლის, სიძველის გამო ენოდა. ასეთი ლეგენდაც არსებობს, გურიაში გავრცელებული ეპიდემიის დროს ჯანმრთელი მხოლოდ ამ სოფლის მოსახლეობა დარჩა. ამიტომ მათ ასკანიანები უწოდეს. კიდევ ერთი ვერსიით, ადგილობრივები მეფუტკრეობას მისდევდნენ და სახელწოდების ფუძე არის სიტყვა – სკა.

სიახლეების მუდმივი ძიება ყველა სფეროს საინტერესოს ხდის. მით უფრო თუ აგუნას ადგილსამყოფელში, ასკანაში ანთიმოზ ჩხაიძის მარანში გურული მელვინეობის მუზეუმი გაიხსნება. ამ სოფელში საზოგადო მოღვაწის სოლომონ ჭეიშვილის მადლი ტრიალებს. მან მელვინეობის მომართულებით ჭეიშვილის ვაზიც გამოიყვანა. მეცენატმა შექმნა თეატრი, დაარსა ამბულატორია, საგანმანათლებლო სფეროში აქტიურად მოღვაწეობდა. ანთიმოზს და სოლომონს მცირე ტიპის მარანი ჰქონდათ, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ საპორტო ქალაქ ბათუმში ღვინოს ჰყიდდნენ. ასეთი ისტორიების მოსმენის შემდეგ, ალბათ, ღვინის ღმერთის, ბახუსის შთამომავლის, ენასის ძე ასკანოსის ვერსიას ყველაზე მეტად აქვს არსებობის უფლება. ლეგენდები ყოველთვის გამორჩეულ ადამიანებზე იქმნება.

გურიაში დაგეგმილი ინოვაციის შესახებ ჟურნალმა **გურია *REGION*-მა** მედიასივრცეში პირველმა მოამზადა ვრცელი ინტერვიუ კომპანია „ადგილური ტრადიციული მელვინეობის" დამფუძნებელ ზურაბ ჩხაიძესთან – ქვეყნის ეკონომიკა ერთად უნდა ავაშენოთ, საქართველო ჯერ ჩვენთვის იყოს საინტერესო, შემდეგ სხვებისთვის. რაც ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც. ჟურნალისტებმა ნყალმომარაგების სამუშაოები დავათვალიერეთ, ერთ თვეში ასკანას და მის მიმდებარე სოფლებს ნყალი მიეწოდებათ. მომავალ წელს დაიგება გზა, შემდეგ Roial ასკანას ტერიტორია მოვინახულეთ და ზურაბ ჩხაიძეს გავესაუბრეთ.

– ასკანაში ღვინის მარნის მშენებლობა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

– საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი პროექტია, ღვინის მარანი და სასტუმრო ერთ შენობაში განთავსდება.

– რა სიახლეებით გამოირჩევით?

– მარანს პრემიუმ კლასის ღვინის მისაღებად ვაშენებთ. უმაღლესი სტანდარტის მქონე პროდუქტის შესაქმნელად ფრანგულ და იტალიურ ტექნოლოგიას ვნერგავთ. ჩხაკერის ჯიშის ყურძენს ბუნებრივი გაზი გააჩნია და ის საუკეთესო საშამპანურე მასალად ითვლება. გვსურს, ტრადიციული მეთოდით დავამზადოთ და საშუალოდ, წლიურად 20 000 ბოთლი ჩამოვასხათ. დასავლური ყურძნის ჯიშებიდან – ჩხაკერისა და ცოლიკაურისგან, სპირტს გამოვხდით და მუხის კასრებში დავაძველებთ, საიდანაც საშუალოდ 4000-5000 ბოთლ კონიაკს მივიღებთ და ეს იქნება ბაზრისთვის აბსოლუტურად ახალი პროდუქტი, რომელიც პირველ რიგში საქართველოში გაიყიდება, ტურისტები ადგილზე დასაგემოვნებლად უნდა მოვიზიდოთ.

– პროექტების მშენებლობაზე უმეტესად სხვა რეგიონიდან ჩასული ხალხია დასაქმებული.

– ჩვენ ტექნიკური პერსონალი გვესაჭიროება, რატომ არ უნდა გავზარდოთ ასეთი ახალგაზრდები ასკანაში და მის მიმდებარე სოფლებში?! ოჯახს შემოსავალი გაუჩნდება, მათ შვილებს მოელიანი სკოლა და ბაღი ექნებათ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით საინტერესო პროექტების დაწყებას ვგეგმავ – ბავშვები უცხო ენას კარგად რომ დაეუფლონ მასწავლებლების დონე უნდა ამაღლდეს. რა მიმართულებით სერი პედაგოგებს დახმარება, ჩვენ აუცილებლად მოვუსმენთ. 2015 წლიდან სკოლებში სამეურვეო საგნების სწავლება, კარგი ინიციატივაა, რის შედეგადა სოფელი გადარჩება. ხის სანარმოში საშუალოდ 15 სამუშაო ადგილს ვაცხადებ, კიდრეები დღესვე გვესაჭიროება. საინტერესო ადგილებში მოეწყობა ეკოტურები, ჯგუფს თითო გიდი მოემსახურება. ტურისტებს ზღვიდან ვერტმფრენით ასკანაში აიყვანენ, ერთ საღამოს იქ გაატარებენ, შემდეგ ბახმაროს მთებში გადაადგილდებიან. თქვენ უკვე დაათვალიერეთ, ფუნდამენტის მოჭრის შემდეგ 4-5 თვეში რამდენი სამუშაო შესრულდა, როგორც ამბობენ, მშენებლობა ნელში გადატყდა. საზომავლოდ უფრო მეტი დრო და ყურადღება დიზაინს დაჭირდება. ღვინის მარნის მშენებლობაზე ადგილობრივები არიან დასაქმებული, სოფელს შემოსავალი გაუჩნდა.

– გურიის სამივე მუნიციპალიტეტში მძიმე სოციალური ფონია. რა ეტაპზეა ჩოხატაურში და დაბზუმში ხილის გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობის საკითხი?

– თქვენი ჟურნალის მკითხველს შევახსენებ, ჩვენი დაპირება ძალაშია. ჩოხატაურში ისევ ის ადგილი შევარჩიეთ, მინის ნაკვეთი შევამცირეთ, რადგან უმჯობესია ეს თანხა ნარმოების განვითარებას მოხმარდეს. გარკვეული პროცედურის გავლა იყო საჭირო, როგორც კი ახლადარჩეული საკრებულო შეიკრიბა, საკითხი მეორე სხდომაზე გაიტანეს, ჩატარდა აუქციონი და აგვისტოს თვის დასაწყისში შევიძინეთ. დარეგისტრირდა იურიდიული პირი-KTW – აგროჩოხატაური. მაჯლობას ვუხდით ჩოხატურის მაჟორიტარ დეპუტატს თემურ ჭკუასელს და გამგებელს ირაკლი კუჭავას, აქვე მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სოფლის მეურნეობის სამინისტროს და პროექტების მართვის სააგენტოს. ხილს უკვე ეყოლება პატრონი, ასეთი მშენებლობები საქართველოს ყველა რეგიონში არის დაგეგმილი. ოზურგეთში და ანასეულშიც მსგავსი პროექტი განხორციელდება. ჩოხატაურის ქარხნის მშენებლობა სამ თვეში დასრულდება. საბნუხაროდ, საქართველოში ხილის ნარმოების რესურსი არ გვაქვს, მანქანა-დანადგარების მოძიებისთვის თვეები დაგვჭირდა, შემდეგ ტექნოლოგიების ციკლი ერთმანეთს უნდა ავუნყოთ. ყველა ხილის გადამუშავების საშუალება გვექნება, ჩვენი ჯგუფი დაკავდება და მომდევნო წლები უკეთესი იქნება. არ გვაქვს სხვადასხვა ხილის ციტრუსებრივი და ჯიშობრივი მონაცემები. მოუხედავად ამისა რეინვესტირებას გავაგრძელებთ, ვფიქრობ, მომავალი ნლიდან ნაყარი ხილის პრობლემა მოგვარდება. მოვანყობთ სახდელს და ხილს ადგილზე ჩავიბარებთ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიმართ დიდი პატივისცემით და სიყვარულით დავიწყეთ ეს პროექტი. ნარმოებაში ადგილობრივები დასაქმდებიან.

ჟურნალ გურია REGION-ის სექტემბრის თვის ნომერში ზურაბ ჩხაიძესთან ინტერვიუ მცირე ბარეუზებით დაიბეჭდა, რისთვისაც ბოდიშს ეუხდით ჩვენს მკითხველს.

ლელა სურმავა

ჰომეოპათიის და ქართული - ტრადიციული მედიცინის კლინიკა

ოჯახის მკურნალი

FAMILY DOCTOR

Homeophathy and Georgian Traditional Medical clinic

მხოლოდ ჩვენთან,

საქართველოში საუკეთესო და გამოცდილი

ექიმი - ჰომეოპათები, მანუალური თერაპევტი,

ოსტეოპათი, მასაჟისტი.

მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები

სარგებლობენ შეღავათებით.

ISSN 2346-7606

9 772346 760009

ალინიას ოჯახის მაურნალი-ს მისამართი:
ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №28 ალექსანდრე ჯავჯავაძის №2ა
ტელ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61
www. Curamediana. Ge